ეროვნული ბიბლიოთეკა
ყაზბეგი ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

№029 (12 406)
6 თებერვალი ოთხშაბათი 2008
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

დღეს. 18:00. ეროვნული. საქართველო-ლატვია. ამხანაგური მატჩი

## მოგებით დავიწყოთ!



საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა გუშინაც "ოლიმპის" საფეხბურთო აკადემიის ხელოვნურსაფარიან მოედანზე, "ბორჯღალოსანთა" წვრთნის დასრულების შემდეგ ივარჯიშა. პროცესმა საათნახევარს გასტანა და წინა დღით ჩატარებული წვრთნისგან დიდად არ განსხვავდებოდა. საბედნიეროდ, ნაკრებში ჩამოსული ყველა ფეხბურთელი ჯანზეა. ეროვნულ გუნდს სხვადასხვა საპატიო და არცთუ საპატიო მიზეზებით რამდენიმე წევრი კი გამოაკლდა, მაგრამ ბოლო ორ დღეში არავინ დაშავებულა. გუშინდელ ვარჯიშში ყველაზე დიდი დრო სტანდარტული სიტუაციების დამუშავებას დაეთმო. ბოლომდე დაიტვირთნენ მეკარეები, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ მინდვრის მოთამაშეები კარში მაინცდამაინც ზუსტად ურტყამდნენ.

2


ნუგზარ სუარიძის ფოტოები

9 თებერვალი. საქართველო-რუმინეთი

## ზირაქაშვილი, გორგოძე, გიორგაძე

### სერიოზული შევსება მთავარი მატჩის წინ


საქართველოს ნაკრების გუშინდელი ვარჯიში. ტიმ ლეინი და ლევან ცაბაძე. უკანა პლანზე მამუკა გორგოძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ერთა თასის გათამაშების მორიგი შეხვედრისთვის ემზადება. მომავალი მეტოქე, მთავარი კონკურენტი რუმინეთის ეროვნული გუნდია, რომელიც თბილისში 8 თებერვალს, პორტუგალიელების მსგავსად, საგრძნობლად გადახალისებული შემადგენლობით ჩამოვა.

ბორჯღალოსნები დღეში ორჯერადი ვარჯიშებით ემზადებიან. დილით შევარდენის სარაგბო ბაზაზე ფიზიკურ დატვირთვებს იღებენ, საღამოს კი საფეხბურთო სკოლა „ოლიმპის" ხელოვნურსაფარიან მოედანზე ბურთით ვარჯიშობენ. ჩვენი მორაგბეების ვარჯიშამდე „ოლიმპის" მოედანს საქართველოსა და ლატვიის ვეტერან ფეხბურთელებს დაეკავებინათ. თამაშს დამთავრებამდე 15 წუთით ადრე ქართველები მეტოქეს 3:1 უგებდნენ, მაგრამ თამაშის დარჩენილ დროში სტუმრებმა ანგარიშის გათანაბრება შეძლეს.

გახსენი... ყაზბეგი

www.kazbegi.com

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



# ტოპმიოლერმა ხიზანიშვილს მოსაფიქრებლად დრო მისცა



ლატვიასთან მატჩის წინა დღეს საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა პრესკონფერენცია გამართა.

- მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრისა და კალენდრის გარკვევის მერე შესარჩევი ტურნირისთვის მზადება დავიწყეთ. გვინდოდა ტესტები ძლიერ გუნდებთან გაგვემართა და მიხარია ასე რომ მოხდა. მაისამდე გასამართ მატჩებში ბევრ მოთამაშეს გამოვცდით, მაისის მატჩებს კი გამოვიყენებთ იმ ბირთვის გამოსაკვეთად, ვიზეც ძირითადად გადაივლის შესარჩევი ტურნირი...

- წინა შესარჩევ ციკლში ძალიან ძლიერ ჯგუფში მოვხვდით. იქ წარმატების მიღწევა ურთულესი იყო, თუმცა სასიხარულოა, რომ არაერთი ახალი მოთამაშე შეემატა ნაკრებს - გიორგი მაკარიძე, ლევან ყენია, ლევან მჭედლიძე. მჭედლიძე ძალიან ნიჭიერია და მალე სერია ა-შიც ითამაშებს რეგულარულად, ყენია ისე შეეწყო გუნდს, თითქოს 10 წელია მისი წევრი იყოს, გადავწყვიტეთ მეკარის პრობლემაც. ჯაბა კანკავამ ძალიან დიდი პროგრესი განიცადა. აქვე გეტყვით, რომ ხვალ კარს ნუკრი რევიშვილი დაიცავს. მის გარდა ძირითადში იქნებიან ზაალ ელიავა და გოგიტა გოგუა. შემადგენლობაზე მეტს ვერაფერს გეტყვით...

- ყველა ფეხბურთელს ვუთხარი, რომ გუნდში დიდი კონკურენციაა და თითოეული მათგანისგან დიდი მონდომებაა საჭირო ნაკრებში მოსახვედრად...

- ლატვია საკმაოდ კარგი გუნდია. წინა შესარჩევის ბოლო მატჩი შვედეთთან ჰქონდა სტუმრად. მასპინძლებს მხოლოდ მოგება სჭირდებოდათ და ბალტიისპირელებისგან ძალიან დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ. ეს გუნდი დაცვაში კომპაქტურად თამაშობს და მისთვის გატანა ძნელი საქმეა. ამის მიუხედავად მჯერა, რომ ხვალ მოვიგებთ. მინდა სეზონი მოგებით დავიწყოთ...

- ვისურვებდი ხვალ კარგი ამინდი იყოს და სტადიონზე საქართველოს ნაკრების საგულშემატკივროდ ბევრი ხალხი მოვიდეს. ამის მერე კარგა ხანი არ გვექნება თამაში თბილისში...

- ჩვენი ჯგუფის კალენდრით კმაყოფილი ვარ. დიდი სამუშაო გავწიეთ, გარკვეულ დათმობებზეც წავედით. ხრისტო სტოიჩკოვმაც აღნიშნა, კარგი კალენდარი გაქვთო. სამი საშინაო მატჩი გვაქვს და მათ მოგებასა და კარგი ფსიქოლოგიური განწყობის შექმნას შევეცდებით. ამას გარდა გვინდოდა იტალიას, რაც შეიძლება ადრე შევხვედროდით და ესეც გამოგვივიდა. თუ გახსოვთ წინა ციკლში ლიტვამ სწორედ საწყის მატჩში აართვა მას ქულა...

- ყველა ფეხბურთელი შეკრებიდანაა წამოსული და კარგ ფორმაში არიან. სადღეისოდ დავით კვირკველიას აწუხებს ტრავმა, ნემსის გაკეთებაც კი დასჭირდა. ითამაშებს თუ არა, საბოლოოდ ხვალ გაირკვევა. მცირე პრობლემები აქვთ კალაძესა და ასათიანს. სამივე მათგანი დღეს ცალკე პროგრამით ივარჯიშებს...

- ბერტი ფოგთსმა დამირეკა და ნიგერისთან თამაში შემომთავაზა, თუმცა ამ ვარიანტზე უარი ვთქვით. თითქმის ორკვირიანი შეკრება გვექნება ესტონეთსა და პორტუგალიაში, სადაც ორ მატჩს ვითამაშებთ...

- ჩვენ ჯგუფში ფავორიტი რა თქმა უნდა იტალიაა. კარგი გუნდი ჰყავს ბულგარეთს, სადაც არაერთი მსოფლიო დონის ფეხბურთელი თამაშობს - პეტროვი, ბერბატოვი. შოტლანდიასთან მოგებულმა მატჩმა დაამტკიცა, რომ საქართველოს ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლია...

- კონტრაქტის გასაფორმებლად რაღაც პატარ-პატარა საკითხები დარჩა გასარკვევი და ესეც მალე მოგვარდება...

- ლევან კობიაშვილს ტრავმის გამო დიდი დროით მოუწია უქმობა. მიუხედავად ამისა, მუხლჩაუხრელი მუშაობის შედეგად შევიდა ფორმაში, თუმცა საბოლოოდ მოშუშებული ჯერ კიდევ არ აქვს ტრავმა. მან დამირეკა, მიამბო ყველაფერი და ვურჩიე გერმანიაში დარჩენილიყო და საბოლოოდ გამოჯანმრთელებულიყო...

- ასაკობრივ ნაკრებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას სულ მალე მივიღებთ...

- რაც შეეხება ზურა ხიზანიშვილის საკითხს, ის არასწორად მოიქცა. ახლა მას მოსაფიქრებლად დრო აქვს.

პაატა თოთაძე

# ჩამოსულთაგან არავინ გამოგვაკლებია

პირველი გვერდიდან

ორმხრივი თამაში გუშინ არ ყოფილა, ალბათ იმის გამო, ხელოვნურ მოედანზე ტრავმის მიღების ალბათობა უფრო მაღალია. ვარჯიში სხვებზე ადრე დაასრულეს **კახა კალაძემ, მალხაზ ასათიანმა** და **დავით კვირკველიამ**. სამივეს მიკროტრავმა აწუხებს და **კლაუს ტოპმიოლერმა** მათ მეტი დასვენების საშუალება მისცა. ეს სამეული ისედაც სხვებისგან განცალკევებით ვარჯიშობდა. ჩვენი ნაკრების გერმანელი თავკაცის პრესკონფერენცია ახალი დასრულებული იყო, ამიტომაც წინასამატჩო კომენტარები მხოლოდ ფეხბურთელებმა გააკეთეს.

გაგრძელება მე-3 გვერდზე



კალაძემ, ასათიანმა და კვირკველიამ ცალკე ივარჯიშეს



დნეპრში ახლადგასული კობახიძე ნაკრებთანაა

www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge



მეორე გვერდიდან

კახა კალაძე: "მომავალ შესარჩევ ციკლში გულშემატკივართა წინაშე ახალი გუნდით უნდა წარვსდგეთ. ნაკრების გაახალგაზრდავების პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს, დარწმუნებული ვარ, რომ მალე გაცილებით ბრძოლისუნარიანი გუნდი გვეყოლება. ლატვიასთან შეხვედრა ამხანაგურია, მაგრამ ჩვენთვის შედეგს ახლაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება, ბუნებრივია, მხოლოდ გამარჯვება დაგვაკმაყოფილებს. პირადად მე საკმაოდ კარგ ფორმაში ვარ და ლატვიასთან წარმატებისთვის თავს არ დავზოგავ".

მალხაზ ასათიანი: "თბილისში თამაში ყოველთვის სასიამოვნოა. ყველას ძალიან გვინდა, წელინადი გამარჯვებით დავიწყოთ და იმედია, ამას შევძლებთ კიდეც. შედეგს ჩვენთვის ახლაც დიდი მნიშვნელობა აქვს, ოფიციალურ მატჩებს გაძლიერებული გუნდით უნდა შევხვდეთ".

ზაალ ელიავა: "ძალიან მიხარია, რომ ნაკრებს ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ვუბრუნდები. ლატვიის ნაკრების თამაში არაერთხელ მინახავს და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მისი დამარცხება ჩვენთვის სავსებით შესაძლებელია. იოლ გამარჯვებას არ ველი, მაგრამ მჯერა, რომ გულშემატკივრებს გავახარებთ".

ლევან ჯანეზაშვილი



დღეს პირველი ნუკრი რევიშვილი იქნება

# მომავალ შეხვედრამდე სამხრეთ აფრიკაში

## ლატვიელები ქართულმა სიცივემ გააკვირვა



ლატვიელთა ვარჯიში ვაკეში

- გამოდით ბიჭებო, გამოდით! - შესძახა სტარკოვსმა ფეხბურთელებს გასახდელში. საღამოს შვიდის თხუთმეტი წუთი იყო.

ოცი წუთის მოსულები იყვნენ ლატვიელები ვარჯიშზე და გასახდელში ხალისობდნენ. ასევე გააგრძელეს - მოედანზე სულ სიცილ-კისკისით გამოვიდნენ და მხიარულადვე ივარჯიშეს.

- ვერ გავიგე, აქ, თუ არ ვთამაშობთ, რატომღა ვვარჯიშობთ? - მიუბრუნდა ერთ-ერთი ლატვიელი ფეხბურთელი მწვრთნელს და მისი მომღიმარი სახე რომ დაინახა, უკომენტაროდ გააგრძელა ვარჯიში. ვარჯიში კი სტანდარტული იყო - მოთელვა, „კვადრატი", სტანდარტულებზე მუშაობა, სხვადასხვა კომბინაციების დამუშავება. „კვადრატში" **ალექსანდრ კოლინკოც** ჩაერთო და არც თუ ურიგოდაც - ფეხითაც ჩინებულად მუშაობდა და თავითაც. ერთ-ერთმა თანაგუნდელმა თავისი ადგილიც კი შესთავაზა მოედანზე, მაგრამ მერე დაამატა, კარში მე ვისლა ვჭირდებიო.

- ქართველებთან კარგი ურთიერთობა მაქვს და აქ ჩამოსვლა მესიამოვნა, იმედია ხვალ ჩვენი თამაშით მაყურებელიც ისიამოვნებს, - ვარჯიშის შემდეგ აღნიშნა კოლინკომ, რომელიც ფეხსა და თავზე კარგად ხელებს ხმარობს, ყოველ შემთხვევაში გუშინ თანაგუნდელები გვარიანად გაანვალა - თითებზე ჩამოსათვლელი ბურთები გაუშვა.

სტუმრები თბილისში თითქმის უძლიერესი შემადგენლობით ჩამოვიდნენ, ერთადერთი ტრავმირებული **იურის ლაიზანსი** აკლიათ. ლატვიელთა დელეგაციაშია მათი კომერციული დირექტორი **ვლადიმირ ჟუკი**, რომელიც ადრე „დაუგავაში" თამაშობდა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატისას ქუთაისშიც ყოფილა და ლანჩხუთშიც.

ვარჯიში სტანდარტული კი იყო, მაგრამ სხვებზე დიდი დრო ბალტიისპირელებმა ჯარიმებისა და კუთხურების გათამაშებას დაუთმეს - ეს იმიტომ, რომ ქართველების დაცვის გავლა უშუალოდ თამაშიდან იოლი არ იქნებაო, მინდვრის კიდესთან მდგარმა, დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა ამიხსნა ისე, რომ კითხვას არც კი დალოდებია და მერე ქვეყნის ჭირ-ვარამზე განაგრძო საუბარი.

- მეგონა აქ სითბო იქნებოდა, - თქვა მოედნიდან გამოსულმა **მარის ვერპაკოვსკისმა** და ქუდი დაიხურა - აქ რა, ასე ცივა ხოლმე? - დასვა კითხვა, მაგრამ პასუხს არ დალოდებია, ხელები მოიფშვნიტა და თანაგუნდელებს სირბილით შეუერთდა.

- მემგონი კარგი თამაში იქნება. ამხანაგური კია, მაგრამ ორივე გუნდისთვის აქვს მნიშვნელობა შედეგს. კარგი იქნება ხვალ უკეთესი ამინდი თუ იქნება, სითბოში თამაში უფრო სასიამოვნოა. ჩვენ ჩვენი გეგმა გვაქვს ამ თამაშთან დაკავშირებით, თქვენ - თქვენი. საბოლოო ჯამში ორივენი მატჩს მომავალი შესარჩევი ციკლისთვის მოსამზადებლად ვიყენებთ და ეგებ ყველაფერი ისე აგვეწყოს, რომ სამხრეთ აფრიკაში შევხვდეთ ერთმანეთს, - ეს უკვე ლატვიელთა მწვრთნელმა **ალექსანდრ სტარკოვსმა** განაცხადა ვარჯიშის შემდეგ. იქვე ლატვიელებმა ქალაქის დათვალიერება მოინდომეს და ქართველებს შეუთანხმდნენ, ხვალ, თამაშამდე ერთი საათით ექსკურსია მოგვიწყეთო.

GEO FM 95.1
ავტორადიო თბილისი

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ისტორია

# ჩვენ და ლატვიელები

## ყველასთვის უხერხული მეტოქე

დღევანდელი მატჩით საფეხბურთო სეზონი იწყება; მერე რა, რომ შეხვედრა ამხანაგურია - ქართველ ქომაგებსაც და **კლაუს ტოპმიოლერსაც** სეზონის გამარჯვებით დაწყება სწყურიათ. მით უმეტეს, რომ ჩვენი დღევანდელი მეტოქე სულაც არ არის ხელწამოსაკრავი - ბოლო ათი წლის განმავლობაში ლატვიურმა ფეხბურთმა უდიდესი პროგრესი განიცადა. ჩინებული ფიზიკური მომზადება და სათამაშო დისციპლინის მტკიცე დაცვა - აი, ის ორი ძირითადი კომპონენტი, ლატვიის ნაკრების სათამაშო სტილს რომ განსაზღვრავს.

...საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ისტორიაში ლატვიური ფეხბურთი არასდროს გამოირჩეოდა. ეგ კი არა, ამ გათამაშების ლამის 70-წლიან ისტორიაში მხოლოდ რვაჯერ იყო, ლატვიური ფეხბურთის უპირველესი გუნდი (რიგის "დაუგავა") უმაღლეს ლიგაში რომ ასპარეზობდა. ისიც, ძალიან ადრე: 1947-52 წლებსა და 60-იანი წლების დასაწყისში. ახლა, შედეგებს აღარ იკითხავთ? ფაქტობრივად, "დაუგავა" ათეულში არც მოხვედრილა და საუკეთესო შედეგი მეთერთმეტე ადგილი იყო. 1962 წლის მერე ლატვიური ფეხბურთის ფლაგმანს "დაუგავას" ღრმა კრიზისი დაეწყო და ასე გრძელდებოდა 80-იანი წლების შუა ნახევრამდე. აი, მერე კი ზედიზედ სამი-ოთხი სეზონი ლამის კომიკური სიტუაცია თამაშდებოდა: პირველი ლიგის გათამაშებაში პირველი ტურიდან ლამის ბოლომდე სატურნირო ცხრილს დამაჯერებლად ლიდერობდა რიგის "დაუგავა"; მაგრამ, ბოლო სამ-ოთხ ტურში ეს გუნდი ყველასთან აგებდა და უმაღლეს ლიგაშიც სხვები შემოდიოდნენ. მერე და მერე, საფუძვლიანი ეჭვიც გაჩნდა, რომ "დაუგავას" ფეხბურთელები შეგნებულად თმობდნენ მატჩებს...

...და მაინც, სწორედ ლატვიის ნაკრები იყო ყოფილი საბჭოთა კავშირიდან, ვინც პირველმა მოიპოვა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის უფლება (2004 წელს). თანაც, ნუ დავივიწყებთ, რომ **ალექსანდრ სტარკოვის** შეგირდებს პორტუგალიაში თავი ნამდვილად არ შეურცხვენიათ.

სანამ საქართველოსა და ლატვიის ნაკრებების ურთიერთშეხვედრებზე ვისაუბრებთ, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ისტორიაში თბილისის "დინამო" სულ 13-ჯერ შეხვდა რიგის "დაუგავას". მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი "დაუგავა" ყოველთვის აუტსაიდერთა შორის იყო, "დინამოს" უპირატესობა ნამეტნავად შთამბეჭდავად არ გამოიყურება: რვა გამარჯვება, ოთხი ფრე და ერთი წაგება. საერთოდაც, "დაუგავას" და შემდგომში ლატვიის ნაკრების სათამაშო "კრედო" მარტივზე მარტივი იყო - საკუთარ კარშიც ნაკლებ გოლს უშვებდა და მეტოქისაშიც ნაკლებს იტანდა. აი, ლატვიელებზეა ზედგამოჭრილი - უხერხული მეტოქეაო...

## პირველი შეხვედრა და გამარჯვება

1994 წლის შემოდგომაზე საქართველოს ნაკრებს ოფიციალურ დონეზე დებიუტი ელოდა. ამიტომაც იყო, რომ 7 სექტემბერს მოლდოვასთან ჩასატარებელ მატჩამდე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა მაქსიმალურად მეტ სპარინგ-პარტნიორს ეძებდა. წლის დასაწყისში ჯერ იყო მალტის საერთაშორისო ტურნირი, სადაც სამ მეტოქეს შევხვდით (მასპინძლებს, სლოვენიასა და ტუნისს); მერე ამხანაგური მატჩი სტუმრად ისრაელთან ჩავატარეთ; 11 ივნისს ასევე სტუმრად ნიგერიასთან დავმარცხდით დიდი ანგარიშით (1:5), თუმცა მასპინძლებს მაშინ მართლაც "ოქროს თაობა" ჰყავდათ: **ჯე-ჯე ოკოჩა, ჯორჯ ფინიდი, სანდი ოლისე, რაშიდ იეკინი, დანიელ ამოკაჩი, უჩე ოკეჩუკვუ, სამსონ სიასია** (თუ ვინმე გამოგვრჩა, იმედია, ჩვენი ნიგერიელი მეგობრები გვაპატიებენ). და აი, ამ მარცხიდან ორი კვირის მერე ამჯერად ლატვიელებმა მიგვიწვიეს...

| ლატვია-საქართველო | 1:3 |
|---|---|

1994.26.06 რიგა. "დაუგავა"

0:1 ჯანაშია (13), 1:1 ელისეევი (60), 1:2 კაჭარავა (74), 1:3 ჯამარაული (76)

ლატვია: **რ. ლაიზანსი - ტროიცკი (57. ელისეევი), ასტაფიევი, ზემლინსკი, შევლიაკოვი - სპროგისი, ემელიანოვი, ივანოვი, ბლაგონადეჟდინი - ბაბიჩევი (70. ფედოტოვი), დრუპასი.**

საქართველო: **ზოიძე - ბერაძე, კაციტაძე, ნემსაძე, გ. ჯიშკარიანი - დ. ჯანაშია (85. სეფაშვილი), ინალიშვილი, ჯამარაული, ტუღუში (78. ტყებუჩავა) - ქინქლაძე - კაჭარავა.**

თავდაპირველად, ის უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი ნაკრების მთავარ მწვრთნელს **ალექსანდრე ჩივაძეს** საკადრო პრობლემების გამო, ლატვიაში ექსპერიმენტული შემადგენლობის დაყენება მოუწია. თავად განსაჯეთ: სხვადასხვა მიზეზის გამო ნაკრებს ვერ დაეხმარნენ **კახა ცხადაძე, მურთაზ შელია, დიმიტრი კუდინოვი, ზაზა რევიშვილი, თემურ ქეცბაია** და სამივე **არველაძე!** ამის გამოც იყო, ნაკრებში თელავის "კახეთის" ორი ფეხბურთელი - **მერაბ კაციტაძე** და **ვასილ სეფაშვილი** რომ გამოჩნდნენ. საერთოდაც, ჩვენს ნაკრებში თითქმის ყველა საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელი თამაშობდა; რაც შეეხება მასპინძლებს, მათ არაერთი ლეგიონერი ჰყავდათ და შემადგენლობაც, იმ დროისთვის უძლიერესი დაგვიპირისპირეს. თუმცა, მთელი მატჩი ჩვენების უპირატესობით წარიმართა და საბოლოოდ ეს შედეგშიც აისახა. პირველი გოლი **გოჩა ჯამარაულისა** და **კახა კაჭარავას** აქტიურობას მოჰყვა, როცა ყველაფერი ზუსტი დარტყმით **დავით ჯანაშიამ** დაასრულა. მეორე ტაიმში ჩვენი მცველები ერთხელ შეცდნენ და მასპინძლებმა ანგარიშიც გაათანაბრეს; მაგრამ მერე ორწუთიან მონაკვეთში ჩვენებმა ორი გოლი გაიტანეს და ტერიტორიული უპირატესობა ანგარიშშიც ასახეს. საქართველოს ნაკრებს გოლის გატანის შანსი კიდევ ჰქონდა - თუნდაც **გია ჯიშკარიანის** შორეული დარტყმა რად ღირდა, როცა ბურთი სტუმართა კარის ძელს მოხვდა...

## ოთხი წლის მერე: კვლავ გამარჯვება

დღევანდელი მეტოქეების მეორე დაპირისპირება ასევე ამხანაგური შინაარსის იყო - საქართველო და ლატვია ერთმანეთს მალტის საერთაშორისო ტურნირზე დაუპირისპირდნენ. საინტერესოა, რომ ეს მატჩი საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის - **ვლადიმერ გუცაევისთვის** სადებიუტო იყო!

| საქართველო-ლატვია | 2:1 |
|---|---|

1998.6.2. ლა-ვალეტა. ტაქალი.
3000 მაყურებელი

1:0 ჯამარაული (50), 2:0 ჯამარაული (71), 2:1 ბლეიდელისი (85. პენალტით)

საქართველო: **ტოგონიძე - შეყილაძე, კალაძე, შელია, ჩიხრაძე - ქეცბაია (81. ცქიტიშვილი), ნემსაძე (80. კიკნაძე), ჯამარაული (70. სილაგაძე), გახოკიძე - ა. არველაძე (46. ყაველაშვილი), შ. არველაძე (46. იაშვილი)**



1994 წლის ივნისი. საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბი რიგაში გამგზავრების წინ: რამაზ შენგელია, თამაზ კოსტავა და ალექსანდრე ჩივაძე

ლატვია: **რ. ლაიზანსი - ზაკრეშევსკი, ი. ლაიზანსი, ასტაფიევი (64. სლესარჩუკი), ისაკოვი (80. პოლაკოვი) - ლობანოვი, ბლეიდელისი, ბლაგონადეჟდინი, რიმკუსი (46. ლუკაშევიჩი) - პახარსი, ზეიბერლინში.**

ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად ვლადიმერ გუცაევი მას მერე დაინიშნა, როცა ერთობ ნაყოფიერად იმუშავა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთან. ამიტომაც არავის გაუკვირდა, გუცაევმა თავის სადებიუტო შეხვედრაში ექვსი ის ფეხბურთელი (**კახა კალაძე, ლევან ცქიტიშვილი, გიორგი კიკნაძე, ლევან სილაგაძე, გოგა გახოკიძე და ალექსანდრე იაშვილი**) ათამაშა, რომლებიც ახალგაზრდული ნაკრების ლიდერები იყვნენ. სასიამოვნო იყო, რომ საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის რანგში სადებიუტო მატჩი გუცაევმა მოიგო (ჯამარაულის "დუბლის" წყალობით); მაგრამ, ეს ამხანაგური მატჩი იყო და ყველამ ვიცოდით, რომ იმავე წელს ლატვიელებთან კიდევ ერთი მატჩი გველოდა - ამჯერად უკვე ოფიციალური...

## რევანში... ქართულად

ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ჩვენმა ნაკრებმა წარმატებით დაიწყო - პირველივე მატჩში ალბანეთს მოვუგეთ. ძალიან მძიმე თამაში იყო, რამდენჯერმე გადავრჩით და ბოლოს შეცვლაზე შემოსულმა **არჩილ არველაძემ** გვიხსნა (სხვათა შორის, მაშინაც ბევრს უკვირდა, თუ რატომ არ წყალობდა გუცაევი ჰოლანდიის "ბრედაში" შესანიშნავად მობურთალ არჩილ არველაძეს). მეორე მატჩი კი სტუმრად ლატვიასთან გვქონდა.

| ლატვია-საქართველო | 1:0 |
|---|---|

1998.10.10. რიგა. დაუგავა.
4000 მაყურებელი

1:0 შტოლცერსი (2)

ლატვია: **კარავაევი - ლუკაშევიჩი, ასტაფიევი (71. ისაკოვი), ზემლინსკი, ლობანოვი - ივანოვი, შარანდო, ბლეიდელისი (50. ი. ლაიზანსი) - პახარსი (87. ბულდერსი), ბაბიჩევი, შტოლცერსი.**

საქართველო: **გვარამაძე - კალაძე, შეყილაძე, ნემსაძე, კობიაშვილი - ქეცბაია, ჯამარაული, ქინქლაძე, გახოკიძე (60. დემეტრაძე) - ყაველაშვილი, შ. არველაძე.**

მატჩის დასაწყისშივე ერთობ კურიოზული გოლი გავუშვით და მიუხედავად იმისა, რომ დრო ბევრი იყო, მეტოქეს ვერაფერი მოვუხერხეთ. არადა, ჩვენი შემადგენლობა აშკარად შეტევაზე იყო ორიენტირებული, მაგრამ მასპინძლებმა ტაქტიკურად განსწავლულობა გამოამჟღავნეს, ჩვენს ლიდერებს სივრცეები გადაუკეტეს და მატჩიც გამარჯვებამდე მიიყვანეს. მთავარი ინტრიგა კი სხვა გახლდათ: ლატვიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **რევაზ ძოძუაშვილი** იყო.

## მშვიდობით, იოჰან!

ალბათ, ამის წინ უნდა გვეთქვა: არც მანამდე (დაწყებული 1994 წლიდან) და არც მერე საქართველოს ნაკრებს ასეთი "ტკბილი" ჯგუფი არ შეხვედრია. ჰო, ყოველთვის იყვნენ გრანდები (ხანდახან - ორი ერთადაც), მაგრამ 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე მეორე ქვეჯგუფი რომ იყო, მსგავსი აღარასოდეს შეგვხვედრია. გაგახსენებთ: ჩვენთან ერთად ნორვეგია, სლოვენია, ლატვია, საბერძნეთი (მაშინ **რეჰაგელი** არ წვრთნიდა) და ალბანეთი იყვნენ. და ამ კამპანიაში ჩვენმა ნაკრებმა ბოლო ადგილი დაიკავა! საქართველოს ნაკრების შედეგები არც მაშინ გაუმჯობესებულა, როცა ვლადიმერ გუცაევის ნაცვლად **იოჰან ბოსკამპი** მოვიდა. ჰოლანდიელს მაღალ ტონზე საუბარი უყვარდა და საქმეც რიხით დაიწყო; მაგრამ, მერე რამდენიმე თამაში რომ წააგო, თითქოს თვალებში ცეცხლიც ჩაუქრა. რაც შეეხება ლატვიასთან ჩატარებულ შეხვედრას, ბოსკამპისთვის ის ბოლო თბილისური მატჩი იყო...

| საქართველო-ლატვია | 2:2 |
|---|---|

1999.8.09. თბილისი. ეროვნული.
15000 მაყურებელი

1:0 შ. არველაძე (30), 2:0 ყაველაშვილი (52), 2:1 ბლეიდელისი (62), 2:2 სტეპანოვი (90).

საქართველო: **გვარამაძე - შეყილაძე, კალაძე, წერეთელი, ცქიტიშვილი (70. სიჭინავა) - დიდავა, ნემსაძე, ჯამარაული, კობიაშვილი - ყაველაშვილი (75. ა. არველაძე), შ. არველაძე (72. დემეტრაძე).**

ლატვია: **კოლინკო - ზემლინსკი, სტეპანოვი, ლობანოვი, ივანოვი - ბლეიდელისი, ი. ლაიზანსი (83. ბულდერსი), ისაკოვი (60. ბაბიჩევი), რუბინსი - პახარსი, შტოლცერსი (74. შარანდო).**

**გია ტუხაშვილი**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ი. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



პფლ-ის გამგეობის სხდომა. პრესკონფერენცია

# რაჭველებს დააგვიანდათ და ლიგიდან გააგდეს

## გუნდებს ფულები, მედიაკომპანიას კალენდარი

გუშინ პროფესიული ფეხბურთის ლიგის გამგეობის სხდომა გაიმართა. ლიგის პრეს-სამსახურის ინფორმაციით, სამი საკითხი განიხილებოდა:

1. საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მეორე წრის კალენდრის დამტკიცება.
2. რაჭის „ფაზისის" და ტყიბულის „მეშახტეს" პირველ ლიგაში დატოვების მიზანშეწონილობა.
3. სადისციპლინო კოდექსში ცვლილებები.

გამგეობის სხდომის შემდეგ ლიგის ოფისში პრეზიდენტმა **დიმიტრი რამიშვილმა** და გენერალურმა მდივანმა, **პაატა ბურჯალიანმა** პრესკონფერენცია გამართეს.

დიმიტრი რამიშვილი:

- დღეს პირველად ფეხბურთის ისტორიაში მოხდა ისე, რომ ჩემპიონატის კალენდარი მედიაკომპანია „კოლხიდასთან" ერთად დავამტკიცეთ. არსებობს შეთანხმება, რომ წინასწარ ორი წლის კალენდარი შევათანხმოთ, რაც „კოლხიდას" საშუალებას მისცემს პარტნიორებთან უფრო მშვიდ გარემოში წარმართოს მოლაპარაკებები.

სეზონი 23 თებერვალს დაიწყება და 18 მაისს დასრულდება, თასის ფინალი კი 26 მაისს ჩატარდება. რაც მთავარია, ტური ორი დღის განმავლობაში ჩატარდება, უკეთ რომ გაშუქდეს.

ჩვენი პარტნიორი კომპანიებისა და „კოლხიდას" დახმარებით, შესაძლებელი გახდა უმაღლეს ლიგაში 200000-ლარიანი საპრიზო ფონდის დაწესება. სამი წლის შემდეგ, ანუ 2011-ისთვის კი ფონდი მილიონ ლარამდე გაიზრდება.

საპრიზო ფონდი უმოტივაციოებს მაქსიმალურად შეამცირებს. თანხა კი ასე გადანაწილდება:

| |
|---|
| 1 ადგილი - 40000 |
| 2 ადგილი - 30000 |
| 3 ადგილი - 25000 |
| 4 ადგილი - 22000 |
| 5 ადგილი - 20000 |
| 6 ადგილი - 18000 |
| 7 ადგილი - 16000 |
| 8 ადგილი - 12000 |
| 9 ადგილი - 10000 |
| 10 ადგილი - 7000 |
| 11 ადგილი - 0 |
| 12 ადგილი - 0 |
| 13 ადგილი - 0 |
| 14 ადგილი - 0 |

- თუნდაც ის ფაქტი, რომ მეექვსე ადგილოსანი მეათეზე გასულთან შედარებით 11 ათასი ლარით მეტს მიიღებს, მგონი, ურიგო სტიმული არაა.

ჩვენი მიზანი ყველა ტურნირის სრული კომერციალიზაციაა. მიხარია, რომ ეს მოვახერხეთ და მალე ეს ყოველივე კლუბების ბიუჯეტებზეც აისახება. სუპერთასის მონაწილეები პრემიებს აქამდეც იღებდნენ, ახლა ჩემპიონატშიც იგივე მოხდება და იმედია, რომ ეს ფაქტი ეროვნული ჩემპიონატის პოპულარიზაციას ხელს შეუწყობს.



დიმიტრი რამიშვილი

გაიზარდა სუპერთასის საპრიზო ფონდიც: აქამდე მისი გენერალური სპონსორი „ფოლკსვაგენი" გახლდათ, შარშან დეკემბერში კი „ვითიბი ბანკი ჯორჯიასთან" გავაფორმეთ ხელშეკრულება და მისი დახმარებით, გამარჯვებული, ათი ათასის ნაცვლად, 25 ათას ლარს მიიღებს. თავად სუპერთასს კი ამიერიდან „ვითიბის თასი" დაერქვა.

### პაატა ბურჯალიანი:

- დღეს რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მივიღეთ. უპირველესად, მსურს სადისციპლინო კოდექსის გამკაცრებაზე ვისაუბრო. კოდექსი ისედაც მკაცრია, მაგრამ ამ შემთხვევაში ისეთი საკითხი განვიხილეთ, რაც უდისციპლინობის შემცირებას შეუწყობს ხელს.

სადისციპლინო კოდექსში შეტანილი ცვლილებით, მატჩის ჩაშლისთვის სასჯელი მკაცრდება. უმაღლესი ლიგის გუნდი 20 ათასი ლარით დაჯარიმდება, პირველლიგელი კი - 10 ათასი ლარით.

ბოლო პერიოდში აქტიურად განიხილებოდა, დარჩებოდა თუ არა ტყიბულის „მეშახტე" და რაჭის „ფაზისი" პირველ ლიგაში. არც ერთ მათგანს მონაწილეობის საწევრო არ გადაუხდია, რაჭველებს კი ჯერ კიდევ შარშანდელი არ გაუსტუმრებიათ.

სამწუხარო და მძიმე გადაწყვეტილების მიღება მოგვიხდა, მაგრამ ქართული ფეხბურთში საერთო ვითარების გასაჯანსაღებლად ასე იყო საჭირო. რაჭის „ფაზისი" პირველი ლიგიდან მოხსნილია, რადგან მას არანაირი სახსრები არ გააჩნია. თანხა არა ჩვენთვის, არამედ მატჩის მომსახურე პერსონალის, მსაჯებისა და დამკვირვებლებისთვისაა საჭირო და მათ თამაშებზე უფულოდ ვერ გავუშვებთ.

ტყიბულის „მეშახტეში" გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა და ლიგაში დავტოვეთ, რადგან გასული წლის დავალიანება არ გააჩნიათ და გარდა ამისა, წლეულსაც მნიშვნელოვანი ნაწილი გაისტუმრეს.

...ჯერ კიდევ ზაფხულში, ლიგამ სატელევიზიო კომპანია „კოლხიდასთან" კონტრაქტი გააფორმა. შეთანხმების მიხედვით, საქართველოში გამართული ყველა ოფიციალური ტურნირის (ეროვნული ჩემპიონატის, თასის და სუპერთასის) მატჩების სატელევიზიო ჩვენების უფლება „კოლხიდას" გადაეცა. გარიგება 200 ათას ლარად შეფასდა და მაშინვე ითქვა, რომ სატელევიზიო კომპანია გაზაფხულიდან საფეხბურთო მიმოხილვას მოამზადებდა.

საგაზაფხულო ეტაპი მალე განახლდება, „კოლხიდას" ჩანაფიქრზე კი ჯერ კიდევ არაფერი ვიცით, ხომ არ გადაიდო პროექტს განხორციელება, რომელ არხზე აჩვენებენ მის პროექტს და ა.შ. ამ კითხვით დიმიტრი რამიშვილს მივმართეთ:

- როგორც ვიცი, სტუდია უკვე მუშაობს, ჩამოტანილია ის ტექნიკა, რომელიც მისი სრულყოფილი მუშაობისთვის იყო საჭირო, შეარჩიეს წამყვანები, მოლაპარაკებები დაწყებულია პოტენციურ პარტნიორებთან. ამის მიუხედავად, ჯერ ვერ გეტყვით, კონკრეტულად როდის ამუშავდებიან, რომელ არხზე გავა გადაცემა და ა.შ. ამის შესახებ თავად მალე პრსკონფერენციას გამართავენ და ყველაფერს მოგახსენებენ.

თუმცა, შემიძლია გითხრათ, რომ პროცესში ჩართული ვიყავი და რასაც ვამჩნევ, სწორ გზაზე დგანან და პროექტის ასამუშავებლად მზად არიან.

**მერაბ მამულაშვილი**



ზურაბ მენთეშაშვილი

### ბეგლარიშვილი აიაქსში მიდის

საქართველოს 19-წლამდელთა და რუსთავის „ოლიმპის" ფეხბურთელი ზაქარია ბეგლარიშვილი ამსტერდამის „აიაქსში" მიდის გასასინჯად. ახალგაზრდა ქართველ ფეხბურთელს ამ საქმეში შოთა არველაძე დაეხმარა, ახლა ყველაფერი თავად ბეგლარიშველზეა დამოკიდეული, რომლისთვისაც კარიერის „აიაქსში" გაგრძელება იდეალური ვარიანტი იქნება.

### მუჯირის საგოლე პასი

სამარის „კრილიადან" მოსკოვის „ლოკომოტივში" ახლახან გადასულმა **დავით მუჯირმა** ახალ გუნდში თავი გამოიჩინა. დათომ ბოლო ამხანაგურ მატჩში საგოლე პასი მიითვალა.

ესპანურ შეკრებაზე მყოფი „ლოკომოტივი" „აუსტრიას" დაუპირისპირდა და 1:0 მოიგო. ერთადერთი გოლი 53-ე წუთზე **ერიკ კორჩაგინმა** სწორედ მუჯირის პასით გაიტანა.

### მენთეშაშვილმა ვარჯიში განაახლა

„ვენტსპილსის" ოფიციალურმა ვებ გვერდმა გუშინ გუნდის მთავარ მწვრთნელ **რომან გრიგორჩუკთან** ინტერვიუ გამოაქვეყნა. ვენტსპილსელთა თავკაცი გუნდში არსებულ ვითარებასა და სამომავლო გეგმებზე საუბრობს. ის აცხადებს, რომ საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი **ზურაბ მენთეშაშვილი**, რომელსაც კუნთის დაჭიმვის გამო გარკვეული პერიოდი გაუცდა, უკვე ჩაერთო საწვრთნელ პროცესში. მენთეშაშვილი სრული დატვირთვით ვარჯიშობს და გუნდთან ერთად 19 თებერვალს, მოსამზადებელ შეკრებაზეც გაემგზავრება.

### ჯიქია, ნავალოვსკი და ბარაბაძე თურქეთში

მახაჭყალის „ანჟიმ" თურქეთში გუშინ მორიგი მოსამზადებელი შეკრება დაიწყო. **ომარ თეთრაძის** გუნდი იქ 19 თებერვლამდე იქნება. „სპორტ ექსპრესის" ცნობით „ანჟის" შეკრებაზე რამდენიმე ახალწვეული გაჰყვა. მათ შორის სამი ქართველი - **რევაზ ჯიქია, გიორგი ნავალოვსკი** და **რევაზ ბარაბაძე**. ქართული ტრიო მახაჭყალელებს წინა შეკრებაზეც ახლდა და საკონტროლო მატჩებშიც მიიღო მონაწილეობა.

### დემეტრაძის ორი საგოლე

კიევის „არსენალმა" მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა. **გიორგი დემეტრაძის** გუნდმა ყაზახური „ჟეტისუ" 5:0 გაანადგურა. ქართველი ფორვარდი სასტარტო შემადგენლობაში კვლავ არ ყოფილა, 46-ე წუთიდან ჩაერთო თამაშში და ორი საგოლე პასის გაკეთება მოასწრო. კიეველებმა პირველი ტაიმი ორი ბურთით მოიგეს. ბოლო ორი გოლი კი დემეტრაძის ასისტენტობით გავიდა. ჩვენებურმა ჯერ „არსენალის" მთავარმეგოლე **სელეზნიოვს**, ბოლოს კი რიბალჩენკოს გაატანინა.

### დინამო კარპატისთან დაზავდა

| დინამო-კარპატი | 1:1 |
|---|---|

1:0 მერებაშვილი (31), 1:1 კირილჩიკი (74).

დინამო: ოვონო, შ. კაშია, გ. კაშია, კრშკო, დობეში, სპასოევიჩი (77. ქანთარია), ხმალაძე, დილმელაშვილი, მერებაშვილი, ხუციშვილი, აკირემი.

თურქულ შეკრებაზე მყოფმა თბილისის „დინამომ" გუშინ მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა. დინამოელები ლვოვის „კარპატს" დაუპირისპირდნენ და ფრედ 1:1 ითამაშეს.

**დუშან უჰრინს** დაბადების დღე ჰქონდა და ყველას უნდოდა მწვრთნელისთვის მოგებით მიელოცათ, მაგრამ... ანგარიში მერებაშვილმა 31-ე წუთზე გახსნა და ის ტაიმის ბოლომდე აღარც შეცვლილა. ლვოველებმა მეორე ტაიმში შეძლეს ანგარიშის გათანაბრება - 74-ე წუთზე. მატჩის მიწურულს კი „კარპატი" გოლისგან ძელმა იხსნა. მართალია „დინამომ" ვერ მოიგო, მაგრამ უჰრინი გუნდის თამაშით კმაყოფილი დარჩენილა.

დასკვნით ამხანაგურ მატჩს „დინამო" უკრაინის უმაღლესი ლიგის კიდევ ერთ წარმომადგენელ „ნეფთიანიკთან" გამართავს. 9 თებერვალს კი სამშობლოში გამოემგზავრება.

### იმერლები არკადიის თასის ფინალში

ბელექში მიმდინარე "არკადიის თასზე" "ზესტაფონი" წარმატებულ ასპარეზობას განაგრძობს. თემურ მახარაძის გუნდმა გუშინ გუშინ კორეულ "ჯეჟუ იუნაიტედს" 1:0 სძლია და ფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე ან უნგრული "ჰონვედი" იქნება, ანაც რუმინული "ფარული".

კორეელებთან მატჩმა მხოლოდ 70 წუთს გასტანა, თამაში გუნდური ჩხუბის გამო ჩაიშალა, გამარჯვებულად კი ფეროელები იმიტომ გამოცხადნენ, რომ 25-ე წუთზე ვეტერანმა **ზურაბ იონანიძემ ნიკა კვასხვაძისა და გოგი ფიფიას** კომბინაცია დააგვირგვინა.

"ზესტაფონის" შემადგენლობა ასეთი იყო: **ჭანტურია, საჯაია, თოდუა, ლობჟანიძე, რ. ონიანი, ვიეირა, კესანი (46. ბენაშვილი), დაუშვილი, ნ. კვასხვაძე, ფიფია, იონანიძე.**



დღეს ფაბიო კაპელო ინგლისის ნაკრებს პირველად გაუძღვება

ინგლისის ნაკრები

# ჯერარდი კაპიტნად

## კაპელომ ბექჰემზე საუბარს თავი აარიდა, ის შეგირდებთან ინგლისურა, ჟურნალისტებთან კი ისევ იტალიურად საუბრობს...

**ფაბიო კაპელომ** ინგლისის ნაკრების კაპიტნად სტივ ჯერარდი დაასახელა. მისი წინამორბედის, **სტივ მაკლარენის** დროს, სამკლაური **ჯონ ტერის** ეკეთა ხოლმე. "ჩელსის" ცენტრალური მცველი დაშავებულია. ის შვეიცარიასთან ამხანაგურ მატჩს გამოტოვებს. კაპელომ თქვა, რომ ჯერარდი მუდმივი კაპიტანი არ იქნება. მომდევნო შეხვედრისას, რომელიც მარტის მიწურულს საფრანგეთში გაიმართება, ინგლისს შეიძლება სხვა ფეხბურთელი გაუძღვეს. იტალიელი მწვრთნელი მუდმივ კაპიტანს მხოლოდ ზაფხულის მიწურულს შეარჩევს, იმ დროს, როცა მუნდიალის შესარჩევი ტურნირის პირველ მატჩამდე (ანდორასთან) სულ რამდენიმე დღე იქნება დარჩენილი. ჯერარდი ნაკრებში 64-ე მატჩს ჩაატარებს. მას სამკლაური მხოლოდ ექვსჯერ მოურგია, აქედან ინგლისელებმა მხოლოდ ორი მატჩი მოიგეს და ოთხი წააგეს. მიმომხილველების აზრით, კაპიტნობის ყველაზე მეტი შანსი კვლავ ტერის აქვს. ერთ-ერთი კანდიდატია მანჩესტერელი ცენტრალური მცველი **რიო ფერდინანდი**.

დონ ფაბიო იმედოვნებს, რომ სექტემბრამდე დაგეგმილ ამხანაგურ მატჩებში გუნდის ხერხემალს შექმნის. მწვრთნელს სურს, ფეხბურთელების ამ ჯგუფმა ალღო აუღოს მის ტაქტიკას, რომელმაც "მილანს", "იუვენტუსს, "რომასა" და "რეალს" დიდი წარმატებები მოუტანა. დანარჩენ ფეხბურთელებს უბრალოდ ძირითადი ბირთვისათვის მოუწევთ ფეხის აყოლება. ამ ბირთვში კაპელო ნამდვილად მოიაზრებს ჯერარდსა და ფერდინანდს. ალბათ, ტერისაც. სხვა ფეხბურთელების ვინაობა კი ნელ-ნელა გაირკვევა.

პრესკონფერენციისას კაპელოს **დევიდ ბექჰემზე** ჰკითხეს. მწვრთნელმა შეკითხვას თავი აარიდა: *"მას (ბექჰემს) დიდ პატივს ვცემ. ვამაყობ იმით, რასაც "რეალში" მუშაობისას მივაღწიეთ, მაგრამ ვფიქრობ, უკეთესი იქნება, თუ დღეს იმ ფეხბურთელებზე ვისაუბრებთ, რომლებიც გუნდში არიან."* მწვრთნელს ისიც ჰკითხეს, ნაკრებში შემოღებული ქცევის წესები ძალიან მკაცრი ხომ არ არისო. დონ ფაბიომ მიუგო, გასაოცარი არაფერი მომითხოვიაო. კაპელომ ფეხბურთელებს აუკრძალა მობილური ტელეფონებით სარგებლობა თავიანთი ოთახების გარეთ. ამას გარდა, ცოლების, მეგობარი გოგონებისა და აგენტების იმ სასტუმროში მიყვანა, სადაც გუნდი თამაშების წინ გაჩერდება. მწვრთნელს არაფერი უთქვამს იმ სანქციების შესახებ, რომელიც წესების დამრღვევ მოთამაშეს დაეკისრება. ერთ-ერთმა ინკოგნიტო ვარსკვლავმა ჟურნალისტებს განუცხადა, ამ მოთხოვნებს რომ გავეცანი, თავი საბავშვო ბაღში მეგონაო. კაპელო დისციპლინის ფანატიკოსი დამცველია. ის ყოველთვის მკაცრად სჯიდა იმ შეგირდებს, რომლებიც მას არ ემორჩილებოდნენ: *"ეს ძალიან ელემენტარული წესებია. ნაკრებში მხოლოდ რამდენიმე დღით ვიკრიბებით. ამ ხნის განმავლობაში არა მხოლოდ მინდორზე უნდა მოვახერხოთ ერთმანეთის უსიტყვოდ გაგება, არამედ მის გარეთაც. საქმის ერთად კეთებას უნდა შევეჩვიოთ - ერთად სადილობას, მაგიდიდან ერთად ადგომას, პუნქტუალობას - მოკლედ, ერთმანეთის პატივისცემას. არა მგონია, რომელიმე პროფესიონალი ფეხბურთელისათვის ამ მოთხოვნების შესრულება შეუძლებელი იყოს. თუ მათ სურთ, იყვნენ ერთი მთლიანი ორგანიზმის ნაწილი, მაშინ გარკვეული უფლებების დროებით შეზღუდვასაც უნდა შეეგუონ. თუ წესებს მივყვებით, გუნდის ჩამოყალიბებას წინ ვერაფერი დაუდგება. მე სწორედ ამისათვის დამიქირავეს."*

ცნობისათვს, დონ ფაბიო ჟურნალისტებს ისევ თარჯიმნის მეშვეობით ესაუბრებოდა, მაგრამ დაიტრაბახა, ფეხბურთელებს ინგლისურად ველაპარაკებიო. კითხვაზე, როდის ჩაატარებს პრესკონფერენციას ინგლისურად, მწვრთნელმა მიუგო: *"მხოლოდ მაშინ, როცა ყველა აუცილებელ სიტყვასა და ფრაზას ზუსტად შევისწავლი. თქვენ (ჟურნალისტებს) სიტყვების უცნაური ინტერპრეტაცია გიყვართ. ამიტომ ძალიან ყურადღებით ვიქნები. ფეხბურთელებთან პრობლემა არ მაქვს. მათ სათქმელს გაცილებით მარტივად ვუხსნი."* მწვრთნელმა ინგლისში გატარებული ერთი თვე მოკლედ ასე დაახასიათა: *"საფეხბურთო ასოციაცია, სასტუმრო და სტადიონები"* და იმედი გამოთქვა, რომ მალე უფრო მეტის ნახვასაც მოახერხებს. დღევანდელი მატჩის შესახებ კი ასეთი კომენტარი გააკეთა, თამაშის წინ ცოტას ვინერვიულებ, მაგრამ როგორც კი ის დაიწყება, მთელ ყურადღებას მოედნისაკენ გადავიტან და დავმშვიდდებიო: *"შვეიცარიას ძლიერი გუნდი ჰყავს. იოლ გასეირნებას ნურავინ ელოდება. მათი თამაში რამდენჯერმე ვნახე. მეტოქის ფეხბურთელები მაღალი კლასისანი არიან. ისინი უკიდურესად სახიფათოდ თამაშობენ კონტრშეტევებზე."*

მეტოქეთა სავარაუდო შემადგენლობები ასეთია:

**ინგლისი:** ჯეიმსი, ეშლი კოული, რიო ფერდინანდი, ლესკოტი, რიჩარდსი, ჰარგრივსი, ბენტლი, ჯერარდი, ჯო კოული, რუნი, ოუენი.

**შვეიცარია:** ბენალიო, ლიხტშტაინერი, ეგიმანი, სენდეროსი, შპიხერი, ინლერი, ჟელსონი, ჟიგაქსი, ჰაქან იაკინი, ბარნეტა, ნუნფო.



კაკა

მილანი. ტრავმები

# არსენალთან კაკასა და პატოს გარეშე?

## მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს ოთხთვიანი შვებულება ემუქრებაო...

"მილანის" ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ **ალეშანდრე პატო** ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალისათვის გამოჯანმრთელდება. 18 წლის თავდამსხმელი "ფიორენტინასთან" ბოლო ტურის მატჩისას (1:0) დაშავდა. პატო მინდორზე შეცვლაზე შევიდა და ტრავმის მიღებამდე გამარჯვების გოლი შეაგდო. ლიგის მერვედფინალში მილანელები "არსენალს" ეთამაშებიან. პირველი მატჩი 20 თებერვალს, ლონდონში გაიმართება. მატჩამდე ორი კვირაზე ცოტა მეტი დროა დარჩენილი. "როსონერის" ტრავმების ეპიდემიამ გადაუარა. პატოს გარდა, დაშავებულები არიან **ჯენარო გატუზო, რონალდო, კლარენს ზეედორფი** და **ფილიპო ინძაგი**. ამ უკანასკნელს მსუბუქი ტრავმა აქვს. მილანელები თავს იზღვევენ. მათ თავდასხმის გასაძლიერებლად სარეზერვო გუნდიდან 17 წლის **ალბერტო პალოშის** უხმეს. ის ძირითადის განაცხადში იქნება, მაგრამ ლიდერების დაბრუნებისთანავე მეორე გუნდს მიაშურებს. პალოშიმ იტალიის თასზე რამდენიმე მატჩი ჩაატარა და მიმომხილველების მოწონება დაიმსახურა.

ინძაგისაგან განსხვავებით, სერიოზულად დაშავდა **კაკა**. მისთვისაც ფლორენციელებთან მატჩი აღმოჩნდა საბედისწერო. "კორიერე დელო სპორტი" პესიმისტურ პროგნოზს აკეთებს. ბრაზილიელ ვარსკვლავს, შეიძლება, ოთხი თვე გაუცდესო. მიზეზი მუხლის ტრავმაა, რომელიც კაკას დიდი ხანია, აწუხებს. ექიმები მას საფუძვლიან გამოკვლევას ჩაუტარებენ. შესაძლოა, ფეხბურთელს ოპერაცია დასჭირდეს. ასეთ შემთხვევაში, ხანგრძლივი იძულებითი შვებულება გარანტირებულია. "მილანს" კაკას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დამატებითი ინფორმაცია არ გაუვრცელებია. "ფიორენტინასთან" მატჩის შემდეგ **კარლო ანჩელოტიმ** იმედი გამოთქვა, რომ ბრაზილიელი ნახევარმცველი, პატოს მსგავსად, "არსენალთან" თამაშს მოახერხებდა.

### ლივერპული საზაფხულოდ ემზადება

"ლივერპული" ვერდერელი **დიეგოთი** დაინტერესდა. ბრაზილიელ ნახევარმცველს "იუვენტუსი" და "რეალიც" ეპატიჟებიან. მიმომხილველები ფავორიტად სამეფო კლუბს მიიჩნევენ. ინგლისური სააგენტოები გვაუწყებენ, რომ მერსისაიდელები მზად არიან, მადრიდელებზე მეტი ფული გადაიხადონ. "ლივერპულმა" "ბლექბერნისა" და პარაგვაის ნაკრების თავდამსხელი **როკე სანტა კრუსიც** მოიკითხა. ის ინგლისში გასულ ზაფხულს, ბაიერნილად გადავიდა. "მირორის" ცნობით, მერსისაიდელები სანტა კრუსის სანაცვლოდ 7 მილიონ გირვანქას გადაიხდიან.

### კრისტიანოს ახალი მანჩესტერული სამფლობელო

**კრისტიანო რონალდო** მანჩესტერიდან ფეხსაც არ მოიცვლის. სპეკულაციების მადრიდის რეალში მისი მოსალოდნელი ტრანსფერის თაობაზე, საბოლოოდ დაესვა წერტილი. ორიოდე დღის წინ "იუნაიტედმა" მას ახალი კონტრაქტი შესთავაზა - 2014 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში ფეხბურთელს 44 მილიონ გირვანქას აღუთქვამენ. სარფიანი გარიგებით კმაყოფილმა ვარსკლავმა ფული აღარ დაინანა და 4 მილიონ გირვანქად მანჩესტერის მახლობლად, ოლდერლიში საკუთარი სახლი შეიძინა. მას ხუთი საძინებელი, საცურაო აუზი, ჯაკუზი, საუნა, ტრენაჟორების ოთახი და კინოთეატრი აქვს. სახლი სამსართულიანია და მისი ვერანდიდან ჩინებული ხედები იშლება. რონალდოს მეზობლად **რიო ფერდინანდი** ცხოვრობს, ხოლო ორი მილის მოშორებით - **სერ ალექს ფერგიუსონი**.

ესპანეთის ნაკრები

# არაგონესს მეხსიერების პრობლემა აქვს?

**ჩვენი** გაზეთის გუშინდელ ნომერში ესპანეთის ნაკრების შესახებ ვრცელი მასალა შემოგთავაზეთ. მოგახსენებდით, რომ **ლუის არაგონესმა** საფრანგეთთან სათამაშოდ "ლივერპულიდან" **არბელოა** გამოიძახა. გაირკვა, რომ "წითელი ეშმაკების" ნახევარმცველი "ასტონ ვილასთან" მატჩში დაშავდა და ორი კვირა ვერ შეძლებს თამაშს. ბუნებრივია, ასეთმა გაუგებრობამ ასაკოვანი სპეციალისტი სასაცილო მდგომარეობაში ჩააგდო. გაჩნდა მოსაზრება, არბელოა ტრავმის მომიზეზებით ეროვნულ გუნდში თამაშს თავს ხომ არ არიდებსო. ამით შეძრწუნებულმა ლივერპულელმა "დიარიო მარკას" რედაქციაში თავად დარეკა და **ფელიქს დიასსთან** გასაუბრება მოითხოვა: *"თუ ვინმეს ჩემს ტრავმაში ეჭვი ეპარება, შეუძლია ინგლისში ჩამოვიდეს და ყველაფერი თავად შეამოწმოს. ვერ ვიტან ასეთ უპასუხისმგებლობას. როცა არაფერი არ იცი, ადამიანს ცილი არ უნდა დასწამო. ესპანეთის ნაკრები ჩემი საოცნებო გუნდია. თუ ავადმყოფობა ხელს არ შემიშლის, მისი ღირსების დაცვაზე უარს არაფრის გამო არ ვიტყვი. ამ კონკრეტულ შემთხვევას რაც შეეხება, არაგონესს ჯერ კიდევ იქამდე ვესაუბრე, მანამ ნაკრების შემადგენლობას გამოაქვეყნებდა. სენიორ ლუისმა შესანიშნავად იცოდა, რომ ტრავმა მქონდა და ამჯერად "სელექსიონს" ვერაფრით დავეხმარებოდი. წარმოდგენა არ მაქვს, ამ ჩვენი საუბრის შემდეგ რა მოხდა. ძალიან მიხარია, რომ არაგონესს გავახსენდი, მაგრამ აბსოლუტურად უძლური გახლავართ. ტრავმირებული ფეხით ვერ ვითამაშებ."*

არბელოას გულახდილმა განცხადებამ ესპანეთის ეროვნული გუნდის თავკაცი კიდევ უფრო კომიკურ მდგომარეობაში ჩააყენა. რა გამოდის, თუ "ლივერპულის" ნახევარმცველმა მას წინასწარ უთხრა, რომ დაშავებული და ვერ ითამაშებს, ესე იგი, სენიორ ლუისს ასაკთან ერთად სკლეროზიც შეპარვია. სხვა ახსნას უბრალოდ ვერ ვპოულობთ. როგორც ჩანს, მას მართლაც დაავიწყდა, რომ არბელოამ ტრავმის შესახებ გააფრთხილა.

ამასობაში, ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის პრესსამსახურმა **ბოიან კრკიჩის** ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით ახალი ინფორმაცია გაავრცელა. სანამ მას გაგაცნობდეთ, გეტყვით, რომ "ბარსელონის" ახალგაზრდა ფორვარდი "სელექსიონში" მწვავე ფალარათით გამოცხადდა და თან კატალონიელი ექიმების წერილი მიიტანა. ისინი მთელი კატეგორიულობით მოითხოვდნენ, რომ ნაკრების ექიმების ნებართვის გარეშე არაგონესს ბოიანი არც ევარჯიშებინა და არც ეთამაშებინა. ზუსტად ერთი დღის შემდეგ კრკიჩის მდგომარეობა გაუმჯობესდა, თუმცა უმნიშვნელოდ. ამიტომ, მას ნაკრების ბიჭებთან ერთად ერთხელაც არ უვარჯიშია. პრესსამსახურის წერილში ვკითხულობთ: *"ბოიანი ფალარათს ისევ მკურნალობს. ექიმებმა ჩათვალეს, რომ მან არ უნდა ივარჯიშოს, თუმცა "ბარსელონის" თავდამსხმელის სანაკრებო დებიუტს საფრთხე არ ემუქრება. დარწმუნებულები ვართ, თამაშის დღეს ის კარგად იგრძნობს თავს და მოედანზე მცირე ხნით მაინც გავა. ლუის არაგონესს გადაწყვეტილი აქვს, ბოიანს შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსი მისცეს."*



ლუის არაგონესს გულმავიწყობა დასჩემდაო, წერენ ესპანელი მიმომხილველები

ესპანელები ალბათ, იმის გამო ჩქარობენ, რომ სასწაული არ მოხდეს და კრკიჩმა კარიერის პირველი სანაკრებო ორთაბრძოლა მამამისის სამშობლოს, სერბეთის მაისურით არ ჩაატაროს. თუ დღეს არაგონესი მას ერთი წუთით მაინც შეუშვებს მინდორზე, აღნიშნული საფრთხე სამუდამოდ გაქრება. მოგეხსენებათ, კლუბებისგან განსხვავებით, ფიფას რეგლამენტით ნაკრებიდან ნაკრებში გადასვლა აკრძალულია.

დასასრულს, ესპანეთისა და საფრანგეთის ნაკრებების სავარაუდო შემადგენლობებს შემოგთავაზებთ:

**ესპანეთი:** კასილიასი, რამოსი, მარჩენა, ჟუანიტო, კაპდევილა, ინიესტა, ფაბრეგასი, ალბელდა, ჩავი, ვილია, ტორესი.

**საფრანგეთი:** ლანდრო, სანიოლი, ტურამი, გალასი, აბიდალი, ლასანა დიარა, მაკელელე, როტენი, ბენ არფა, ანელკა, ანრი.

ბაიერნი

# თითქმის გადაწყვეტილია: ჰიტცფელდი შვეიცარიაში!

## ვერდერთან მატჩის წინ რეკორდმაისტერს არაერთი საკადრო პრობლემა აქვს...



ოტმარ ჰიტცფელდი სავარაუდოდ შვეიცარიის გზას გაუყვება...

გასულ უქმეებზე, „ბაიერნმა“ გერმანიის ჩემპიონატის მეორე წრეში საკმაოდ კარგი სტარტი აიღო და უშუალო მდევარ „ვერდერს“ სამი ქულით გაასწრო. მაგრამ მომდევნო ტურში ბავარიელები ბრემენულ კლუბს ხვდებიან და სწორედ ამ მატჩის წინ გამოუჩნდა „ბაიერნს“ საკადრო პრობლემები, რის გამოც მთავარი მწვრთნელი ოტმარ ჰიტცფელდი ერთობ ანერვიულებულია. გუშინდელ ნომერში ფრანკ რიბერის ტრავმაზე ვწერდით, დღეს კი უნდა გაცნობოთ, რომ ლაზარეთშია კრისტიან ლელიც. ამასობაში, ჰიტცფელდმა ოფიციალურად განაცხადა, თითქმის გადაწყვეტილია, რომ შვეიცარიის ნაკრების დამრიგებელი გავხდებიო.

დღეს სანაკრებო მატჩები იმართება და ალსანიშნავია, რომ „ბაიერნმა“ სანაკრებო შეკრებაზე 12 ფეხბურთელი გაუშვა. **ჰიტცფელდი** არ მალავს, რომ არ უყვარს, როცა მისი ფეხბურთელი ნაკრებში მიემგზავრება, რადგან ეს დამატებითი რისკია და „გენერალსაც“ ეშინია, ემანდ, რომელიმე მათგანი ტრავმირებული არ დამიბრუნდესო. მაგრამ კლუბის მწვრთნელს ამ მხრივ გავლენის მოხდენა არ შეუძლია და „გენერალსაც“ ისღა დარჩენია, იმედოვნოს, რომ ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელი დაუბრუნდება.

ყოველ შემთხვევაში, ოტმარს "ვერდერთან" მატჩისთვის გარკვეული მონახაზების გაკეთება უკვე შეუძლია. გადაწყვეტილია, რომ ბრემენულ გუნდთან ვერ ითამაშებს **ფრანკ რიბერი**, უდიდესი კითხვის ნიშნის ქვეშაა ბრაზილიელი **ლუსიოს** ასპარეზობაც, რომელსაც ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი. ლუსიო ამის გამო ვერც ბრაზილიის ნაკრებში გაემგზავრა და ვერც ვარჯიშს ახერხებს. რიბერისა და ლუსიოსთან ერთად დიდი შანსია, რომ ბავარიულ გიგანტს „ვერდერთან“ **კრისტიან ლელიც** დააკლდეს, რომელსაც გრიპი აქვს. გუშინ ლელს და ლუსიოს არ უვარჯიშიათ, რიბერიზე ხომ საუბარიც ზედმეტია.

მაგრამ გუშინვე, „ბაიერნის“ ქომაგებმა ერთი მეტად სასიამოვნო ინფორმაციაც შეიტყვეს: ორთვენახევრიანი იძულებითი პაუზის შემდეგ გამოჯანმრთელდა და სრული დატვირთვით ვარჯიში განაახლა **მარსელ იანსენმა**, მაგრამ ჰიტცფელდი მიიჩნევს, რომ იანსენს ახლა ფორმის აღდგენა სჭირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ „ვერდერთან“ მარსელი ალბათ არ ითამაშებს ან თუ ითამაშებს, მხოლოდ შეცვლაზე.

გუშინვე, „ბაიერნის“ ოფიციალურმა ვებ-გვერდმა ჰიტცფელდის ოფიციალური კომენტარი გამოაქვეყნა, სადაც „გენერალი“ ასეთ რამეს ამბობს: *„საქმე იქითკენ მიდის, რომ ევროპის ჩემპიონატის დასრულებისთანავე შვეიცარიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი გავხდები. მეტსაც გეტყვით, ეს თითქმის გადაწყვეტილია.“ ვფიქრობთ, აქ ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია.* ჩვენის მხრივ მხოლოდ ამას დავამატებდით: ტენდენცია იმისა, რომ ოტმარი „ბაიერნიდან“ წასვლის შემდეგ შვეიცარიაში გადაბარგდებოდა, მაშინ გამოიკვეთა, როცა მიუნხენიდან მისი აბარგება ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი.

რიბერის ტრავმაზე გუშინდელ ნომერშიც ვწერდით, მაგრამ არაფერი დაგვიკონკრეტებია. ექიმებმა მიახლოებითი დიაგნოზი დასვეს და როგორც იცით, ფრანგ ნახევარმცველს სამკვირიანი იძულებითი პაუზა გამოუწერეს. თუმცა ეს ფრანგი ექიმების დიაგნოზი გახლდათ. მიუნხენში დაბრუნების შემდეგ კი, რიბერიმ შემოწმება „ბაიერნის“ მთავარ ექიმ **ჰანს-ვილჰელმ მიულერ-ვოლფარტთან** გაიარა, რომელმაც თქვა, ჯერჯერობით არ ვიცით, რამდენ ხანს დაისვენებს რიბერიო. დოქტორმა იქვე დაამატა, ყველაფერს ვილონებ, რომ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი რაც შეიძლება მალე დავაყენო ფეხზეო.

### შვაინშტაიგერს სევილიაც გამოუჩნდა

„კიკერის“ ინფორმაციით, **ბასტიან შვაინშტაიგერის** მსურველთა სიას ესპანური „სევილიაც“ შეუერთდა. როგორც იცით, აქამდე შვაინის გადაბირებით მილანის „ინტერი“ და „ვერდერი“ იყვნენ დაინტერესებული. 23 წლის შვაინშტაიგერს ბავარიულ გრანდთან კონტრაქტი წელიწადნახევრის შემდეგ უმთავრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ მიუნხენელები მასთან ახალი ხელშეკრულების გაფორმებას არ აპირებენ (ჯერჯერობით საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ არ გაუგრძელებენ), მაშინ ზაფხულში უნდა გაყიდონ. წინააღმდეგ შემთხვევაში , 2009 წელს ბასტი „ბაიერნიდან“ უფასოდ წავა. არადა, მის სანაცვლოდ სოლიდური თანხის აღებაა შესაძლებელი. ჩვენი გერმანელი კოლეგების აზრით, შვაინშტაიგერის უკანასკნელი შანსი ევროპის ჩემპიონატია და თუ იქაც ვერ გამოიჩინა თავი, მინიმუმ „ბაიერნში“ არ დარჩება. ხოლო ის ფეხბურთელი კი, რომელიც შვაინშტაიგერს საჭიროების შემთხვევაში შეცვლის, „ბაიერნს“ უკვე ჰყავს – საუბარია **ტიმ ბოროვსკიზე**, რომელიც რეკორდმაისტერს ზაფხულში მიაშურებს.

### ბეკენბაუერი: მხოლოდ პოლდი და შვაინი? ლამიც აღარ ვარგა!

დაახლოებით ერთი კვირის წინათ **მარიო ბასლერის** სვეტი შემოგთავაზეთ, სადაც სუპერმარიო **ბასტიან შვაინშტაიგერსა** და **ლუკას პოდოლსკის** მედგრად აკრიტიკებდა. შვაინისა და პოლდის კრიტიკა გერმანულ მედია სივრცეში არაახალია, ზუსტად ისე, როგორც აბსოლუტურად ჩვეულებრივი მოვლენა იყო მათი ქება 2006 წლის მუნდიალის შემდეგ. მაგრამ ამ შემთხვევაში ბასლერის კრიტიკას თვით **ფრანც ბეკენბაუერი** გამოეხმაურა და რაც ყველაზე საინტერესოა, მარიოს მოსაზრებები ფაქტობრივად 100 პროცენტით გაიზიარა. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ბეკენბაუერმა შვაინისა და პოლდის გვერდით **ფილიპ ლამიც** ამოუყენა. *„2006 წელს შვაინშტაიგერმა, პოდოლსკიმ და ლამმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ფაქტობრივად იდეალურად ითამაშეს და მთელი მსოფლიო აალაპარაკეს. მათ უკვე ისე ვიხსენიებდით, როგორც უპირველეს და უმაღლესი დონის ვარკსვლავებს. შესაძლოა, ამ მართლაც ნიჭიერ ფეხბურთელებზე ამ ყველაფერმა უარყოფითად იმოქმედა. ყოველ შემთხვევაში, მე სხვა მიზეზს ვერ ვხედავ, გარდა ფსიქოლოგიურისა. ასეა თუ ისე, ფაქტი ის არის, რომ ეს სამეული დღეს გაცილებით ცუდად თამაშობს, ვიდრე მაშინ, მუნდიალზე. შვაინშტაიგერი, პოდოლსკი და ლამი შესაძლებლობების 50 პროცენტსაც ვერ ავლენენ. იმედს ვიტოვებ, რომ ევროპის ჩემპიონატზე ძველებურად გაიბრწყინებენ,“* – განუცხადა კაიზერ-ფრანცმა„ ბილდს“.

აქვე გეტყვით, რომ ბეკენბაუერის აზრით, პოდოლსკის გერმანიის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში არაფერი ესაქმება. „ბილდის“ კორესპონდენტს ბეკენბაუერმა თამამად განუცხადა, რომ მისი აზრით, ბუნდესგუნდის თავდასხმაში **მიროსლავ კლოზესთან** ერთად დუეტში თამაშის ღირსი დღესდღეობით პირველ რიგში შალკელი **კევინ კურანია**, და რომელიმე მათგანის პირველი შემცვლელი კი შტუტგარტელი **მარიო გომესი** უნდა იყოს...

**გოტფრიდ ლენცი**

გერმანიის ნაკრები. ავსტრიასთან მატჩის წინ

# ბალაკი ბრუნდება, გაუმარჯოს ბალაკს!

## ლიოვი: მიხაელს შარმი და ენით აუწერელი ქარიზმა აქვს...



ავსტრია. ვენა. გერმანიის ნაკრების კაპიტანი მიხაელ ბალაკი

**„პირადად ჩემთვის ეს მატჩი ერთი ჩვეულებრივი, ამხანაგური შეხვედრაა და არა უდიდესი მნიშვნელობის საკონტროლო მატჩი,“ – ეს სიტყვები გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ იოახიმ ლიოვს ეკუთვნის, განცხადება კი, როგორც მიხვდით, დღეისთვის დაგეგმილ ტესტ-მატჩს ეხება, რომელშიც გერმანიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის მასპინძელ ავსტრიას (ვენაში) დაუპირისპირდება.**

ამ სიტყვებით **ლიოვს** იმ ფაქტისთვის სურს ხაზის გასმა, რომ ეს არ არის და ვერ ჩაითვლება ბუნდესგუნდის გამოცდად, რადგან გერმანელებს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლიათ და რამდენიმეც ძალიან ფრთხილად უნდა იყოს, რადგან მათ ტრავმები არც ისე დიდი ხნის წინათ მოიშუშეს. მიუხედავად ამისა, ლიოვი ამბობს, რომ ბუნდესგუნდმა 2008 წელი აუცილებლად გამარჯვებით უნდა დაიწყოს, რაც ბევრის აზრით, იოგის სამწყსოს მოკრძალებულ ავსტრიასთან, სადაც დღენიადაგ იმაზე შიშობენ, ევროპის ჩემპიონატზე შევრცხვებითო, არ გაუჭირდება.

გერმანიას **კრისტოფ მეტცელდერი, ტორსტენ ფრინგსი, არნე ფრიდრიხი, კლემენს ფრიტცი და მარსელ იანსენი** აკლია. *„ასეთი დანაკლისის კომპენსირება იოლი როდია?“* – ამბობს ლიოვი და იქვე ამატებს, საუკეთესო შემადგენლობით რომ ვიყოთ, ამ შეხვედრას სულ სხვა დატვირთვა ექნებოდაო. თუმცა იოგის საბოლოო შემადგენლობის შესარჩევად კიდევ ერთი ტესტ-მატჩი ექნება, სადაც იმედი აქვს, რომ ყველა საუკეთესო ფეხბურთელს დაიხმარს, რის შემდეგაც უკვე თამამად გადაწყვეტს, რომელი მოთამაშეები იახლოს ავსტრიასა და შვეიცარიაში. ეს არის მატჩი ევრო 2008-ის კიდევ ერთ მასპინძელ შვეიცარიასთან (26 მარტს).

ხანგრძლივი იძულებითი პაუზის შემდეგ გერმანიის ნაკრებს კაპიტანი **მიხაელ ბალაკი** დაუბრუნდა. ბუნდესკაპიტანი ჩინებულ ხასიათზეა, მაგრამ მანაც იცის, რომ *„ტრავმირებული ფეხბურთელების 100 პროცენტით შეცვლა ფაქტობრივად შეუძლებელია. ამის გამო მწვრთნელი იძულებული ხდება, რომ მუდმივად იმპროვიზაციას მიმართოს. მართალია, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი სწორედ ასეთი ვითარებით გავიარეთ და იმპროვიზაცია თითქმის ყოველთვის ამართლებდა, მაგრამ ევროპის ჩემპიონატი სულ სხვა კალიბრია, სადაც გაათმაგებული ყურადღება და კონცენტრაცია გვმართებს,“* – ასეთია ბალაკის განცხადება.

ბალაკის დაბრუნება უკლებლივ ყველა ბუნდესფეხბურთელს ძალიან ახარებს. ამრიგად, მიხაელი კვლავ აიღებს პასუხისმგებლობას და **ერნსტ ჰაპელის** სახელობის სტადიონზე, რომელიც ალბათ პირთამდე არ გაივსება, გერმანიის ნაკრების თავი იქნება. *„ვფიქრობ, ის ნებისმიერი ჩვენგანისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა. მას აქვს რაღაც შარმი და ქარიზმა, რომელსაც ენით ვერ აგიწერთ. როცა ბალაკი გუნდთან ერთადაა, ყველა თვალებში შესციცინებს, ყველა უსმენს, ყველა უჯერებს,“* – აქებს ლიოვი თავის კაპიტანს.

ბუნდესმწვრთნელმა მატჩისწინა პრესკონფერენციაზე ძირითადი შემადგენლობის შესახებ საუბარი არ ისურვა. უფრო სწორად, მან არ დააკონკრეტა, თუ ვის ათამაშებს ავსტრიასთან. იოგი არ გამორიცხავს, რომ გუნდი სამი თავდამსხმელით ათამაშოს. ასეთ შემთხვევაში სასტარტოში კლოზესთან ერთად სავარაუდოდ **მარიო გომესი** და **კევინ კურანი** ითამაშებენ. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, დაცვის მარჯვენა ფლანგზე არნე ფრიდრიხის ნაცვლად ლიოვი ლევერკუზენელ **გონსალო კასტროს** ენდობა, რომელიც ჩინებულ ფორმაშია. დაცვის ცენტრში კი, მიმომხილველები **პერ მერტეზაკერისა** და **მანუელ ფრიდრიხის** წყვილს ელიან. სასტარტოში მოხვედრის შანსი აქვთ ბუნდესგუნდის შალკელ ახალწვეულებს, მცველ **ჰაიკო ვესტერმანს** (მარცხენა ფლანგზე) და საყრდენ ნახევარმცველ **ჯერმეინ ჯონსსაც**.

რაც შეეხება ავსტრიულ მხარეს. ავსტრიის ნაკრების თავკაც **იოზეფ ჰიკერსბერგერის** თქმით, მას არ უნდა, რომ მისმა სამწყსომ ბუნდესგუნდი დაამარცხოს (?!). აი, რას ამბობს ჰიკერსბერგერი: *„გერმანია თანამედროვე ფეხბურთს თამაშობს და ჩვენ ბუნდესგუნდს შემტევ ფეხბურთს შევთავაზებთ. ისე კი, გერმანიასთან მოგება ჩვენთვის არც ისე კარგი იქნებოდა, რადგან ასეთ შემთხვევაში შეიძლება, მთელმა მსოფლიომ ფავორიტებად ჩაგვთვალოს, რაც ჩემი აზრით ფეხბურთელებზე ცუდ ზეგავლენას მოახდენს!“*

*„გერმანიასთან მატჩი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ვფიქრობ, მეზობლების „გაბრაზება“შეგვიძლია“* – ეს კი ავსტრიის ნაკრების კაპიტან **ანდრეას ივანშიტცის** განცხადებაა.

### სავარაუდო შემადგენლობები

**ავსტრია**: მანინგერი, პოგატეცი, შტრანცლი, პრიოდლი, გარიკსი, ზოიმელი, აუფჰაუზერი, შტანდფესტი, ლაიტგები, ივანშიტცი, ლინცი.

**გერმანია**: ლემანი, კასტრო, მერტეზაკერი, მ. ფრიდრიხი, ლამი, ბ. შნაიდერი, ბალაკი, ჰიტცლშპერგერი, შვაინშტაიგერი, კლოზე, გომესი.

**მსაჯი**: პაოლო დონარდინი (იტალია).

**გოტფრიდ ლენცი**




ბუნდესგუნდის ახალწვეულები შალკედან: ჰაიკო ვესტერმანი და ჯერმეინ ჯონსი

ინტერვიუ დავიდ ვილიასთან

# ვლოცულობ, ალბელდა დიდ ფეხბურთს დაუბრუნდეს

## ღამურების ფორვარდს იმედი აქვს, რომ მისი გუნდი კრიზისს დაძლევს და ესპანეთის სამეფო თასს მოიპოვებს...

გასულ უქმეებზე "ვალენსიამ" "ვალიადოლიდთან" გასვლით შეხვედრაში ნანატრი გამარჯვება მოიპოვა. მანამდე "ღამურებს" ზედიზედ ცხრა ტურის განმავლობაში ერთხელაც არ მოეგოთ. კასტილიელების დამარცხებაში მთავარი როლი დავიდ ვილიამ ითამაშა. ასტურიელმა ფორვარდმა 11-მატჩიანი პაუზის შემდეგ პირველად შეაგდო. გარდა ამისა, ის სხვა მხრივაც გამოირჩეოდა. მოკლედ, ვილიამ ძალიან კარგი შეხვედრა ჩაატარა და "დიარიო ასს" თავი შეახსენა. მადრიდული გაზეთის კორესპონდენტებმა ის ესპანეთის ნაკრების ბაზაზე მონახეს და ვრცელი ინტერვიუ მოამზადეს. ჩვენ მხოლოდ ყველაზე საინტერესო ფრაგმენტებს გაგაცნობთ.

**- ჯერ კიდევ "ატლეტიკოსთან" სათასო მატჩის დასრულების შემდეგ მინდოდა, ინტერვიუ ჩაგვეწერა, მაგრამ გადავიფიქრე. გავიგე, "ვალენსიის" პრესმდივნისთვის გითქვამთ, ჟურნალისტებს ვალიადოლიდის მერე შევხვდებიო...**

- მართალი ბრძანდებით. პრესსამსახურს ნამდვილად ვუთხარი, რომ ვალიადოლიდამდე არავისთან შეხვედრა არ მსურდა. არ მინდოდა, ნახევარფინალში გასვლით გამოწვეული ეიფორია დიდ ხანს გაგრძელებულიყო, რადგან "ელ სორილიაზე" უაღრესად საპასუხისმგებლო შეხვედრა გვქონდა. მადლობა ღმერთს გავიმარჯვეთ და განწყობა გავიუმჯობესეთ.

**- იმ ღამით კარგად გეძინათ?**

- დიახ. მამაჩემი ყველაზე მეტად და ყველაზე დაუნდობლად მაკრიტიკებს. იმ საღამოს კი მითხრა, ყოჩაღ ახლა გაცილებით უკეთ თამაშობო. ამ სიტყვების გაგონებამ ძალიან დამამშვიდა. მან ისიც აღნიშნა, რომ მთლიანად გუნდი გამოცოცხლდა. აი, ეს არის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი.

**- მამათქვენი რატომ გაკრიტიკებთ მაშინ, როცა კრიტიკა პრესაშიც არ გაკლიათ...**

- მამაჩემი ჟურნალისტებისგან განსხვავებით ყოველთვის სამართლიანად მაკრიტიკებს. იმ სტატიებს, რომლებიც გაზეთებში იბეჭდება ლანძღვა უფრო ეთქმის. მამა კარგად ხედავს როდის რა მიჭირს. რა თქმა უნდა, მუდამ ცდილობს მაქსიმალურად დამეხმაროს და მინუსებზე თვალი ამიხილოს. ნუ მიწყენთ, მაგრამ თქვენი კოლეგები მხოლოდ ლანძღვით იფარგლებიან, რთული მდგომარეობიდან გამოსასვლელ გზებს კი ვერ ხედავენ. ეს უფრო ვალენსიელ ჟურნალისტებზე ითქმის. თორემ საერთო ნაციონალურ მედიას სულაც არ ევალება ცალკეული გუნდების პრობლემების მოგვარებაზე იფიქრონ. ადგილობრივებს კი სრული უფლება აქვთ თავიანთი ქალაქის გუნდებს უქომაგონ და მხარში ამოუდგნენ. მათი გაზეთები ხომ მხოლოდ ვალენსიაში იყიდება და "ბარსელონის" ინჩასი ვერ ეტყვის, მიკერძოებული ხარო. უნდა ნახოთ, რა ღვარძლითა და გესლით წერენ ჩვენზე.

**- იმედია, ბოლო წარმატებების შემდეგ ოდნავ მაინც დაცხრებიან...**

- (იცინის) იმედია.

**- მაშინაც კი, როცა პრესა ყველაზე მეტად მძვინვარებდა, მე და ჩემი კოლეგები ვამბობდით, ვილია ნაკლებადაა დამნაშავე, რადგან თანაგუნდელები მომენტებს ვერ უქმნიანთქო...**

- საქმე მხოლოდ სხვების არასახარბიელო თამაშში არ არის. გეთანხმებით, "ვალენსია" ცუდად გამოიყურებოდა და შეტევაში ფაქტობრივად, ვერაფერს აკეთებდა. ხშირად ყოფილა მომენტები, როცა მიფიქრია, აი, ახლა პასი რომ მოენოდებინათ, გავიტანდი-მეთქი... მაგრამ მეორე მხრივ, ჩემს ნაკლოვანებებზეც უნდა მოგახსენოთ. არ დავმალავ, ფიზიკურად ცუდად ვიყავი მომზადებული. ნურავინ იფიქრებს, ვარჯიში მეზარებოდა. უბრალოდ ხშირმა ტრავმებმა გამანამა. მეგონა, მორჩენილი ვიყავი, ვარჯიშს ვიწყებდი და ისევ ლაზარეთში ვბრუნდებოდი. ბუნებრივია, ამ პირობებში სასურველ კონდიციებს ვერ მივაღწევდი. სანახევროდ მომზადებული ფორვარდი კი პრიმერა დივიზიონში შორს ვერასოდეს წავა. სამწუხაროდ, ყველა უბედურება ერთმანეთს დაემთხვა და ჩვენი საყვარელი "ვალენსია" კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. უდიდესი ამბიციების მქონე გუნდი გასავარდნ ზონას მიუახლოვდა. ამას, რა თქმა უნდა, ვერავინ წარმოიდგენდა. იმედია, მომავალში მაინც გაგვიმართლებს. ნავსი გავტეხეთ, "ვალიადოლიდი" გასვლაზე დავამარცხეთ. მთავარია, ტრავმა არ მივიღო და არნახულად ბევრს ვიმუშავებ. მოტივაცია და ენთუზიაზმი არასოდეს მაკლდა. მით უმეტეს, ახლა, როცა კლუბის პრესტიჟი შეილახა. მოგვიწევს ხელახლა დავამტკიცოთ, რომ "ვალენსია" ძლიერია და ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლია. მჯერა, ჩვენზე კიდევ ალაპარაკდებიან...

**- კუმანის მოსვლის შემდეგ გუნდი ძირითადად ნახევარდაცვაზე ზრუნავს. საინტერესოა, ფორვარდი დავიდ ვილია ამ ცვლილებას როგორ შეეგუა?**

- მოდით, იმ კითხვაზე პასუხის გაცემას ნუ მომთხოვთ, რომელიც ჩემს კომპეტენციას ცილდება. მთავარია, ფეხბურთელები როგორ გრძნობენ თავს და ახალი ტაქტიკა როგორ მუშაობს. მე არ შემიძლია მოგახსენოთ კუმანის სტრატეგია კარგია თუ ცუდი. ამას დრო დაგვანახებს.

**- ის მაინც ხომ უნდა გვითხრათ, შეტევაში მარტოდ ხომ არ გრძნობთ თავს?**

- ვერ გეტყვით, თუმცა ფაქტია, ადრე უფრო დიდ დახმარებას ვგრძნობდი. ფაქტია, კუმანამდე "ვალენსია" თითქმის ყოველთვის ორი ფორვარდით გადიოდა მოედანზე, ახლა კი წინ მარტო ვარ.

**- აი, ამის მოსმენა მინდოდა, სხვა არაფრის...**

- მესმის, მაგრამ არ მინდა, ისეთი ინტერპრეტაცია მოახდინოთ, თითქოს ვამბობდე, "ვალენსია" პრობლემებს იმიტომ წააწყდა, რომ ორი ფორვარდით აღარ თამაშობს. არამც და არამც. მე უბრალოდ ფაქტს აღვნიშნავ. ახლა თავდასხმაში მხოლოდ მე ვარ.

**- კიდევ ერთი საკითხი, წლები ისე გადიოდა, ტრავმას პრაქტიკულად არ იღებდით. ახლა კი მუხლი და ტერფი ერთმანეთის მიყოლებით იტკინეთ. მანამდე რამდენჯერმე ბარძაყის კუნთი გაგიწყდათ. რაშია საქმე?**

- არ ვიცი. ალბათ, ადრე მეტად მიმართლებდა. ახლა კი ბედი არ მწყალობს.

**- სხვათა შორის, თქენ ერთადერთი ვალენსიელი არ ხართ, რომელიც გახშირებულ ტრავმებს უჩივის. ამბობენ, კლუბის ექიმები არასწორად მუშაობენო. გაიხსენეთ, ვისენტეს მიერ მოწყობილი ისტერიკა...**

- არ მსიამოვნებს ჩემს გუნდზე ასეთი ტონით საუბარი. ვისენტე ვისენტეა და მის ნაცვლად მე ვერანაირად გიპასუხებთ. დავიდ ვილიას "ვალენსიის" ექიმებთან აბსოლუტურად არანაირი პრეტენზია არ გააჩნია. ისინი უდიდესი პროფესიონალები არიან და ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ფეხბურთელებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები არ შეგვექმნას.

**- ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და დიდი ხნის უთამაშებელი დავიდ ალბელდა "სელექსიონში" მიიწვია. დავიდი "ვალნსიის" ბაზაზე კუმანის იმ სკანდალური პრესკონფერენციის შემდეგ აღარ გამოჩენილა. არაგონესის წყალობით საშუალება მოგეცათ, მეგობარი გენახათ. რა უთხარით მას?**

- მივულოცე ნაკრებში გამოძახება. ძალიან მიხარია, რომ თამაშის საშუალება მიეცემა. ახლა ჩვენთან ერთადაა, ვარჯიშობს და თავს ბედნიერად გრძნობს, მაგრამ ეს ზღაპარი მალე დასრულდება და ვშიშობ, რომ დავიდს კვლავ დეპრესია შეიპყრობს. ვლოცულობ, ალბელდა დიდ ფეხბურთს დაუბრუნდეს. ის არ იმსახურებს იმ ბედს, რომელიც ცხოვრებამ არგუნა.

**- კუმანის გადაწყვეტილებას როგორ აფასებთ?**

- მთავარი მწვრთნელის გადაწყვეტილებების შეფასება ჩემი საქმე არ არის.

**- ვერ დავიჯერებ, რომ თქვენს კლუბში მომხდარ სკანდალურ ფაქტებზე საკუთარი პოზიცია არ გაგაჩნიათ...**

- რა თქმა უნდა, გამაჩნია, მაგრამ გაუმართლებლად ვთვლი ამ საკითხებზე საჯაროდ საუბარს. არ დავმალავ, მე რომ კუმანის ადგილზე ვყოფილიყავი, ბიჭებს არ გავუშვებდი. ჩემი აზრით, ალბელდა, კანისარესი და ანგულო ესპანეთის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელები არიან, მაგრამ კუმანი გუნდის ცხოვრებას ჩვენგან დამოუკიდებლად განაგებს. ეს მისი გადაწყვეტილებაა და ვალდებულები ვართ, დავემორჩილოთ. ასეა, თუ გუნდის კეთილდღეობა გსურს, მე უნდა დაჩრდილო და საერთო საქმეს ჩუმად მოემსახურო.

**- 2004 წელს ესპანეთის სამეფო თასს დაეუფლეთ. შესაძლოა, ეს ტურნირი თქვენთვის იმდენად მომხიბვლელი აღარ არის, როგორიც იმ ვალენსიელებისთვის, რომლებსაც თასი არასოდეს მოუპოვებიათ. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ესპანეთის სამეფო თასის გათამაშება დაბალი დონის ტურნირია და მისი მოგება ბევრს არაფერს ნიშნავს?**

- არა, მე ასე არ ვფიქრობ. თასზე ამას გრანდების ფეხბურთელები ამბობენ. ჩემთვის კი აღნიშნული ტურნირი ძალიან ლამაზი და საამაყოა. გამარჯვება კიდევ ერთ პრესტიჟულ ტიტულთან ასოცირდება. თუ ფინალში მოიგებ, კლუბის მუზეუმს გაამდიდრებ. განა ეს ცოტას ნიშნავს? ყველაფერს გავაკეთებთ, რათა "ბარსელონას" ვძლიოთ და ფინალში "სანტიაგო ბერნაბეუზე" ვითამაშოთ.

**- კატალონიელების დამარცხება რეალური ამოცანაა?**

- ტურნირს ოთხი საუკეთსო გუნდი შემორჩა. ახლა იმის დრო არ არის, "ბარსას" სიძლიერეზე ვიფიქროთ. უბრალოდ, უნდა მოვემზადოთ და თასს დავეუფლოთ. ჩემი აზრით, შანსები თანაბარია. კატალონიური გრანდი ერთი შეხედვით ფავორიტია, მაგრამ მონდომებით ნებისმიერი ბარიერის გადალახვაა შესაძლებელი.

**- კუმანთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

- პირადი ცხოვრების დეტალებზე არ ვსაუბრობთ, მაგრამ გუნდის ტაქტიკასა და პრობლემებზე გულწრფელად და მშვიდად ვლაპარაკობთ.

**- სამი თანაგუნდელის მოკვეთის მიზეზები არ გაუმხელია?**

- არა, ამ თემაზე მას არც ჩემტან და არც არავისთან არ უსაუბრია.

**- გასულ წლებში არაერთი გრანდის წინადადება უარყავით და "ვალენსიის" დატოვებაზე უარი განაცხადეთ... თუმცა ახლა ხმები დადის, ვილია ევროპის ჩემპიონატის შემდეგ გუნდს შეიცვლისო...**

- ტრადიციულ ულიმლამო პასუხს გაგცემთ, მოდით ზაფხულს დაველოდოთ და შემდეგ ვისაუბროთ. ვნახოთ, რა მოხდება. ძალიან მინდა, "ვალენსიასთან" ერთად წარმატებებს მივაღწიო, გოლები გავიტანო და რომელიმე ტიტული მოვიპოვო. გარდა ამისა, რა თქმა უნდა, ესპანეთის ნაკრებზეც ვფიქრობ. ღმერთმა ქნას, ევროპის ჩემპიონები გავხდეთ. ვგონებ, დადგა დრო, როცა "სელექსიონმა" ნავსი უნდა გატეხოს და დიდ ტიტულს დაეუფლოს.

**ილია ნიკოლაიშვილი**



დავიდ ვილია

რეალი

# ვის დარჩება ტიაგო?

## მიატოვიჩს პასიურობა ძვირად დაუჯდება

რამდენიმე დღის წინ **რობინიოსა** და **ტიაგო სილვას** მენეჯერის **ვაგნერ რიბეიროს** მადრიდში ვიზიტის შესახებ მოგახსენეთ. ისიც გითხარით, რომ ტიაგო ბრაზილიური ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად ითვლება. თებერვლის ბოლოს მას "სანტოსთან" კონტრაქტი ეწურება და ეგრეთ წოდებული თავისუფალი აგენტი ხდება. რიბეირო ყვლანაირად ცდილობს **პრედრაგ მიატოვიჩი** დაარწმუნოს, რომ მის ახალგაზრდა კლიენტს სასწრაფოდ გაუფორმოს ხელშეკრულება. წინააღმდეგ შემთხვევაში კონკურენტებისგან სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდება. სამეფო კლუბის გენერალური დირექტორი დღემდე ფეხს ითრევს. სეუ ვაგნერის წინასწარმეტყველება კი ახდა. გუშინ გავრცელებული ინოფრმაციის თანახმად ტიაგოს გადაბირების სურვილი "ვალენსიასა" და "სევილიას" გაუჩნდათ. რიბეიროს მტკიცებით ისინი მზად არიან, 18 წლის ფორვარდს ზღაპრული ხელფასი დაუნიშნონ. ცნობილია, რომ ტიაგოთი "მილანიცაა" დაინტერესებული, თუმცა იტალიურ გრანდს არაევროკავშირელებისთვის დაწესებული ლიმიტი უქმნის პრობლემას. არ გამორიცხავენ, **ადრიანო გალიანიმ** ფორვარდი გადაიბიროს და შემდეგ რომელიმე კლუბში გაანათხოვროს. ერთი რამ ნათელია, ტიაგოს კატეგორიული მოთხოვნით რიბეირო პირველ რიგში "რეალის" მესვეურებს დაუკავშირდა და მადრიდშიც კი ჩააკითხა. მიატოვიჩი რატომღაც დღემდე ფეხს ითრევს. არადა, ბრაზილიელს უკლებლივ ყველა სპეციალისტი საუკეთესოდ ახასიათებს. მას ფენომენალურ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ბატონი პრედრაგი ასე თუ გააგრძელებს უნიჭიერესი ყმაწვილი, რა თქმა უნდა, სხვა გუნდს დარჩება.

სერია A

# ვინ არის ნამდვილი ლიდერი?

## გაძეტამ ქულები სხვანაირად დაითვალა

"გაძეტა დელო სპორტმა" სერია A-ს ჩასწორებული ცხრილი გამოაქვეყნა. პოპულარული გაზეთის მიმომხილველები დასხდნენ, კლუბების მიერ დაგროვებულ ქულებს მიამატეს, ან გამოაკლეს ის ქულები, რომელიც მათ აქტივში ჩაიწერა ან ვერ ჩაიწერა მსაჯების შეცდომების გამო და ერთობ საინტერესო სურათი მიიღეს. მიმატება-გამოკლების შემდეგ, "გაძეტამ" იტალიის ჩემპიონატის ლიდერად "იუვენტუსი" გამოაცხადა და მას 48 ქულა დაუწერა - შვიდით მეტი, ვიდრე ნამდვილ ცხრილში აქვს. ნამდვილ ლიდერ "ინტერს" კი რვა ქულა გამოაკლო და მეორე ადგილზე ჩამოაქვეითა. "გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტები, როგორც ჩანს, იზიარებენ იტალიაში ფართოდ გავრცელებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მსაჯები ყველაზე მეტად "ნერაძურის" სწყალობენ და მათ სასარგებლოდ ხშირად ცდებიან.

ჟურნალისტების აზრით, არბიტრები ყველაზე უსამართლოდ "მილანს" ეპყრობიან. "როსონერის" ნამდვილ ცხრილში მეხუთე ადგილი უკავია და 33 ქულა აქვს. "გაძეტას" მიერ ჩასწორებულ ცხრილში კი მას 41 ქულა უწერია და მეოთხე ადგილზე იმყოფება. "გაძეტას" ვერსიით, სატურნირო ცხრილის პირველი ათეული ასე უნდა გამოიყურებოდეს (თვალსაჩინოებისათვის, ფრჩხილებში გუნდების აქტივში რეალურად არსებულ ქულებს მივუთითებთ): *იუვენტუსი 48 (41); ინტერი 45 (53); რომა 45 (45); მილანი 41 (33); ფიორენტინა 36 (37); ატალანტა 33 (29); პალერმო 28 (28); სამპდორია 28 (28); უდინეზე 28 (33); ნაპოლი 27 (27).*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ჯოვანი ელბერთან

# რასაც მივაღწიე, ამისთვისაც მადლობელი ვარ

## ბრაზილიელი არაფერს ნანობს და მხოლოდ იმაზე წუხს, რომ სელესაოში 15-ზე მეტი მატჩი ვერ ჩაატარა...



**ჯოვანი ელბერმა, რომელიც დღეს 35 წლისაა, ბუნდესლიგის 260 შეხვედრაში 133 გოლი გაიტანა, 2001 წელს „ბაიერნთან" ერთად ჩემპიონთა ლიგა მოიგო და 4-ჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონი. ბრაზილიის ნაკრებში კი 15 მატჩი ჩაატარა. დღეს ელბერი „ბაიერნის" სკაუტი გახლავთ სამხრეთ ამერიკაში. მას მიუნხენური გუნდისთვის ტალანტების აღმოჩენა ევალება. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც გამოცემა „ველტმა" გამოაქვეყნა.**

**- ჰერ ელბერ, რა იყო თქვენი ესოდენ წარმატებული კარიერის საიდუმლო?**

- ჩემი განვითარებისთვის ნელი აღმავლობა იყო გადამწყვეტი. თავდაპირველად „მილანში" ჩავირიცხე, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ვერ მოვხვდი. მილანიდან ციურიხის „გრასჰოპერსში" გამანათხოვრეს, სადაც ევროპული ფეხბურთი უკვე სრული სერიოზულობით შევიცანი. „გრასჰოპერსიდან" „შტუტგარტში" გადავედი, სადაც ადაპტაციის გავლა არ გამჭირვებია, რადგან ენა უკვე კარგად ვიცოდი. „შტუტგარტიდან" კი ბაიერნში ალმოვჩნდი, სადაც კარიერის უმშვენიერესი წლები გავატარე.

**- იყო თუ არა „ბაიერნში" გატარებული დრო თქვენთვის საუკეთესო?**

- ძნელი სათქმელია, რადგან ყველა გუნდში კარგად ვგრძნობდი თავს. როდესაც „გრასჰოპერსში" გადავედი, მეგონა, რომ მაღალ დონეზე თამაშს ვერ მოვახერხებდი, მაგრამ შემდეგ ყველაფერი კარგად აეწყო და გოლი გოლზე გამქონდა. ასევე კარგი წლები გავატარე შტუტგარტში, სადაც ოჯახთან ერთად ვცხოვრობდი.

**- და ყოველივე ამის შემდეგ „შტუტგარტი" დატოვეთ და მიუნხენში გადახვედით...**

- მე ყოველთვის მეტის მიღწევას ვცდილობდი. მინდოდა, გამეგო მოვახერხებდი თუ არა მსოფლიო კლასის გუნდში მაღალ დონეზე თამაშს. ვგონებ, ეს შევძელი (იცინის). „ბაიერნში" ძალიან ბევრი რამ ვისწავლე, რაც შემდეგ ცხოვრებაში გამომადგა. ჯოვანი ტრაპატონისთან ვისწავლე ტაქტიკური, დაცვითი თამაში და მივხვდი, რომ მარტო შეტევით თამაშებს ვერ მოიგებ და რომ თავდამსხმელი დრო და დრო დაცვაზეც უნდა ზრუნავდეს.

**- შეგიძლიათ, იმდროინდელი „ბაიერნი" დაგვიხასიათოთ?**

- 1997 წელს, როდესაც „ბაიერნში" გადავედი, გუნდი სავსე იყო მებრძოლი ფეხბურთელებით, მაგრამ შემდეგ მოვიდა ოტმარ ჰიცფელდი, რომელმაც გუნდში სრული ჰარმონია დაამყარა. ჰიცლფელდი გენიალური ადამიანი, შესანიშნავი ფსიქოლოგი და იდეალური მწვრთნელია. მან ისიც, როგორ მიუდგეს ფეხბურთელებს. ჰიცფელდის დამსახურებაა ის, რომ „ბაიერნს" მაშინ ასეთი წარმატებული პერიოდი ჰქონდა. მადლობელი და ბედნიერი ვარ, რომ ვიმუშავე ისეთ გენიალურ მწვრთნელთან, როგორიც ოტმარია და ვთამაშობდი ისეთ შესანიშნავ ფეხბურთელებთან ერთად, როგორებიც არიან შტეფან ეფენბერგი და ოლივერ კანი.

**- თქვენ ოლივერ კანი და შტეფან ეფენბერგი ახსენეთ და ალბათ ფიქრობთ, რომ ასეთი მოთამაშეები ყველა გუნდს უნდა ჰყავდეს...**

- დიახ, ეფეს და ოლის დარი ფეხბურთელები ნებისმიერ გუნდში ლიდერები გახდებიან. ჩვენთან ყველა პოზიციას თავისი ლიდერი ჰყავდა. კანი დაცვას და მთელს უკანა ხაზს ხელმძღვანელობდა, ეფენბერგი ნახევარდაცვას, მე კი თავდასხმის ლიდერი ვიყავი. ოლივერ კანი ჩემი აზრით ყველა დროის საუკეთესო მეკარეა. ის ეფენბერგთან ერთად „ბაიერნის" სიმბოლოა.

**- რა როლი გქონდათ სტადიონს მიღმა ?**

- ასე ვთქვათ, მხიარული ჩიტი ვიყავი. მაგრამ ყოველთვის ვიცოდი, რომ თამაშზე კონცენტრირებული და ფსიქოლოგიურად მომზადებული უნდა ვყოფილიყავი. სულ რაღაც მქონდა მოფიქრებული. გასახდელში ენას არ ვაჩერებდი, მუდმივად რაღაც სახალისოს ვყვებოდი. ეს ჩემი სტილი იყო – მოთამაშეები აუცილებლად უნდა გამეხალისებინა, სხვანაირად არ შემეძლო.

**- გავიხსენოთ 1998/1999 წლების ჩემპიონთა ლიგის ფინალი, რომელიც "ბაიერნმა" "მანჩესტერ იუნაიტედთან" წააგო. ინგლისელებმა მატჩის მინურულს 2 წუთში 2 გოლი გაიტანეს. როგორ შეეგუეთ ამ დრამას?**

- თამაშის წინ ტრავმამ შემაწუხა, რის გამოც ბიქსენ ლიზარაზუსთან ერთად ტრიბუნაზე ვიჯექი. 89-ე წუთზე ჩვენთან უეფას იმდროინდელი პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი მოვიდა და გამარჯვება მოგვილოცა. მე ლიზარაზუს გადავხედე და ვუთხარი, ლიზა, ქვემოთ უნდა ჩავიდეთ, ზეიმი იწყებამეთქი, მაგრამ მერე დიდი ტრაგედია დატრიალდა. 2 წუთში ტედი შერინგემმა და ოლე გუნარ სოლსკიაერმა 2 გოლი გაგვიტანეს. ეს ყველასთვის ძალიან მძიმე პერიოდი იყო. 2 წლის შემდეგ "ბაიერნმა" მაინც მოახერხა ლიგის მოგება. 2001 წელს ფინალში "ვალენსია" დავამარხეთ...

**- გჯერათ თუ არა, რომ დღევანდელ "ბაიერნს" შეუძლია ისეთივე წარმატებული იყოს, როგორც მაშინ?**

- დიახ, მე მჯერა ამის. სამწუხაროდ, წელს "ბაიერნი" ჩემპიონთა ლიგის მიღმაა, მაგრამ გუნდს ძალიან კარგი ფეხბურთელები ჰყავს და მე მჯერა, რომ ისინი მოახერხებენ უეფას თასის მოგებას. "ბაიერნი" ჩემპიონთა ლიგაში თამაშს იმსახურებს. ზაფხულში რეკორდმაისტერმა რიბერი და ტონი დაიმატა. ვგონებ, ამ ორ ფეხბურთელს ბევრი გუნდი ინატრებდა.

**-2003 წელს "ლიონს" მიაშურეთ და მერე "ბაიერნს" გოლიც კი გაუტანეთ, მაგრამ საფრანგეთში გატარებულ წლებს ისე არ ჩაუვლია, როგორც თქვენ შეგეფერებოდათ...**

- ჰო, პირველ სეზონში გაკვირვებული ვიყავი - არა გუნდით, არამედ საკუთარი თავით, საკუთარი შესაძლებლობები ვერ გამოვავლინე. პირველ სეზონში მართლაც ძალიან გამიჭირდა. ვფიქრობდი, რომ ეს ყველაფერი ადაპტაციის ბრალი იყო და შემდეგი წლიდან მოვუმატებდი, მაგრამ შემდეგ მძიმე ტრამვა მივიღე. პირველად ოპერაცია ლიონში გამიკეთეს, შემდეგ გერმანიაში. მერე გადავწყვიტე, "ლიონში" არ დავრჩენილიყავი. გუნდის ექიმს თვალებში ველარ ვუყურებდი, რადგან მან შეცდომა დაუშვა. შემდეგ იყო შემოთავაზება მიონხენგლადბახიდან და მეც დიდხანს აღარ მიფიქრია – ლიონი დავტოვე და ბუნდესლიგაში დავბრუნდი.

**- იყო თუ არა ეს შეცდომა?**

- გლადბახის ბოსებს დიდი გეგმები ჰქონდათ. მათ მომავლის გუნდის მშენებლობა დაიწყეს. ჯერ იყო და დიკ ადვოკაატი გაუშვეს და მის ნაცვლად ჰიორსტ კიოპელი დანიშნეს, რომელთანაც ხშირად მუდმივად უთანხმოება მქონდა. თამაში ძალიან მინდოდა, ვარჯიშებზე ბოლომდე ვიხარჯებოდი, ვიბრძოდი, მაგრამ მწვრთნელი ყოველთვის სხვაზე აკეთებდა არჩევანს.

**- „ბორუსიაში" გადასვლას ნანობთ?**

- ცოტათი. გაოგნებული გახლდით "გლადბახის" ფანებით – მიუხედავად იმისა, რომ გუნდი გავარდნის პირას იყო და საშინელ ფეხბურთს თამაშობდა, სტადიონი მაინც ივსებოდა და სწორედ ამიტო, "ბორუსიის" ყველაზე მეტად სწორედ ფანების გამო მეწყინა - ყველაზე გულგატეხილნი ფანები დარჩნენ. არადა, მათ ბევრს ჰპირდებოდნენ. ქომაგებმა მხოლოდ 2-ჯერ მნახეს მოედანზე. სამწუხაროდ, ესეც ფეხბურთის ნაწილია.

**- კარიერის დასრულება ბრაზილიაში გადაწყვიტეთ. იყო თუ არა ეს სწორი არჩევანი?**

- ბრაზილიაში მხოლოდ ერთი სეზონი გავატარე. იქაური სტილი ძალიან განსხვავდება ევროპულისგან. ისინი არც ისეთი ორგანიზებულობით გამოირჩევიან როგორც ევროპაში. მიუხედავად ამისა, სამშობლოში თამაში მაინც დიდ სიამოვნებას მანიჭებდა.

**- ბრაზილიის ნაკრებში მხოლოდ 15 მატჩში მიიღეთ მონაწილეობა...**

- ნაკრებში თამაშისთვის სულ მზად ვიყავი. "სელესაოს" ყოველთვის კლუბზე წინ ვაყენებდი. საერთოდ, ბრაზილიის ნაკრებში მოხვედრა ძალიან ძნელია, რადგან ჩვენ უამრავი კარგი ფეხბურთელი გვყავს. სამწუხაროდ, ჩემ დროს კიდევ უფრო დიდი კონკურენცია იყო. მაგრამ მე მაინც მწყინს ის, რომ ქვეყნის პირველ გუნდში 15-ზე მეტი მატჩი არ დამიგროვდა და მსოფლიოს ჩემპიონატზეც არ მითამაშია. ისე კი, არასდროს არაფერი მინანია – რასაც მივაღწიე, ამისთვისაც მადლობელი ვარ. დროის უკან დაბრუნება რომ შემეძლოს, არაფერს შევცვლიდი.

**- ამჟამად თქვენ "ბაიერნის" სკაუტი ხართ და სამხრეთ ამერიკაში მოღვაწეობთ. მოგწონთ ეს საქმიანობა?**

- რა თქმა უნდა! რომ არ მომწონდეს, ამ საქმეს ხელს არ მოვკიდებდი. თითქმის სულ გზაში ვარ და უამრავ ფეხბურთელს ვაკვირდები. თუ რომელიმე მომეწონება, მაშინვე ჰიონესს და ჰიცფელდს ვურეკავ და ვეუბნები, რომ მათ უნდა ნახონ ესა თუ ის ფეხბურთელი. მაგალითად, ასე იყო ბრენოს შემთხვევაში...

**- ბრენოს ტრანსფერი თქვენი იდეა იყო?**

- დიახ. მისი 5-6 თამაში ვნახე და ძალიან მომეწონა. ამ დროს ბრაზილიაში პაულ ბრაიტნერი იმყოფებოდა და ბრენო საქმეში მანაც ნახა. მე და პაულმა ვისაუბრეთ და გადავწყვიტეთ, რომ ეს ბიჭი მიუნხენურ გიგანტს უნდა ეყიდა.

**გოტფრიდ ლენცი**



ხავიერ აგუერო

ატლეტიკო

# აგუერო დე კოსმა განზრახ დაამტვრია

## ლეო ფრანკომ მურსიელთან ანგარიშის გასწორება ქუჩური მეთოდებით სცადა...

"მურსიასთან" მატჩი "ატლეტიკოს" ძალიან ძვირად დაუჯდა. მადრიდელებმა მშობლიურ "ვისენტე კალდერონზე" კიდევ ერთი უსახური შეხვედრა ჩაატარეს და ორი ქულა დაკარგეს. შედეგად ისინი ჩემპიონთა ლიგის ზონის მიღმა აღმოჩნდნენ. ბუნებრივია, გულშემატკივრები უკიდურესად უკმაყოფილოები არიან. შეწუხებულია თავად **ხავიერ აგირეც**... უნდა აღინიშნოს, რომ ფრე იმ შეხვედრის ერთადერთი უარყოფითი გამოძახილი არ გახლავთ. საქმე ის არის, რომ "მურსიასთან" მატჩში "ატლეტიკოს" ვარსკვლავმა **სერხიო აგუერომ** მარჯვენა ტერფის ტრავმა მიიღო. ბუნებრივია, ფეხბურთელს საგულდაგულო გამოკვლევა ჩაუტარეს. ექიმების ვარაუდით, მის რეაბილიტაციას სულ მცირე ათი დღე დასჭირდება. აგუერო თავს უბედურად გრძნობს: *"უბედური ვარ, რომ მინუმუმ ათი დღის განმავლობაში ბიჭებთან ერთად ვერ ვივარჯიშებ და ვითამაშებ. ბოლო დროს სერიოზულ სირთულეებს წავაწყდით. მინდა, "ატლეტიკოს" პრობლემების მოგვარებაში დავეხმარო. ტრავმირებული ტერფით ამას, რა თქმა უნდა, ვერ შევძლებ. ახალგაზრდა ვარ და გული ძლიერად მიცემს. ამიტომ, რეალობას ვერ ვეგუები. ახლა უკიდურესად იმედგაცრუებული და სასოწარკვეთილი გახლავართ."*

გადაწყვეტილი ამბავია, აგუერო მომავალ უქმეებზე "რასინგს" ვერ შეუტევს. შესაძლოა, საქმე იმდენად გართულდეს, რომ 14 თებერვალს "ბოლტონთან" უეფას თასის დაპირისპირებაშიც ვერ მიიღოს მონაწილეობა. სერხიოს, რა თქმა უნდა, სანაკრებო დაპირისპირებაც გაუცდება. 6 თებერვალს არგენტინის ეროვნული გუნდი ლოს ანჯელესში გვატემალას ამხანაგურ მატჩში შეხვდება. **ალფიო ბასილემ** მნიშვნელოვანი დანაკლისის გამო მწუხარება უკვე გამოთქვა.

ამდენი უსიამოვნების მიზეზი მურსიელი **დე კოსის** არაკაცობა გახდა. კამერებმა ნათლად დააფიქსირეს, რომ მას შეეძლო ფეხი გაეწია და კოლეგისთვის ტრავმა არ მიეყენებინა, მაგრამ ეს არ ისურვა და აგუერო ლაზარეთში გაუშვა. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა არგენტინელმა წყენა გულში არ ჩაიდო და სახალხოდ განაცხადა, რომ დე კოსთან პრეტენზია არ გააჩნია. მისგან განსხვავებით, ნანახით განრისხებულმა **ლეო ფრანკომ** ნერვები ვერ მოთოკა და "მურსიასთან" მატჩის საფინალო სასტვენის შემდეგ დე კოსს გასახდელებისკენ მიმავალ გვირაბში დაუდარაჯდა. არგენტინელმა მურსიელს თანამემამულის განზრახ დაშავებაში დასდო ბრალი და ხელი კრა. განრისხებულმა დე კოსმა დანაშაული არ აღიარა, უკან არ დაიხია და ლეო ფრანკოს სამაგიერო დაუბრუნა. დაცვის თანამშრომელთა ოპერატიული ქმედება რომ არა, დაპირისპირება მუშტი კრივში გადაიზრდებოდა. მათი წყალობით ინციდენტი მხოლოდ დედის გინებით შემოიფარგლა. ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი მომხდარს საგულდაგულოდ განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებასაც მიიღებს. სავარაუდოა, რომ აღნიშნული ორგანო დე კოსის დისკვალიფიკაციაზეც იმსჯელებს.

ბარსელონა

# რონალდინიო კოკუს რეკორდს უმიზნებს

გასულ კვირას **რონალდინიომ** "ბარსელონას" ღირსება მე-200 დაიცვა. მართალია, ის თამაშში 68-ე წუთიდან ჩაერთო, მაგრამ ამით არაფერი იცვლება - სტატისტიკა სტატისტიკაა. აღსანიშნავია, რომ უცხოელთაგან კატალონიური გრანდის მაისურა პრიმერადივიზიონურ მატჩებში ყველაზე მეტჯერ **ფილიპ კოკუს** ჩაუცვამს. ჰოლანდიელმა "ბარსას" ღირსება 292 ორთაბრძოლაში დაიცვა. რონალდინიოს სურს, რომ ეს რეკორდი გააუმჯობესოს: *"მრავალი ჭორის გავრცელების მიუხედავად, თავს ძალიან მშვიდად ვგრძნობ. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ "ბარსელონაში" ბედნიერი ვარ. რა თქმა უნდა, ჩემთვის უსიამოვნოა, სათადარიგოთა სკამზე დროის გატარება, მაგრამ ეს ობიექტური მიზეზების შედეგია. ტრავმის გამო თითქმის ერთი თვე გამიცდა. როგორც კი ექიმებმავარჯიშის განახლების უფლება მომცეს, მინდორს დავუბრუნდი და დიდი შემართებით მუშაობა დავიწყე. მჯერა, მალე ისე ვითამაშებ, როგორც საუკეთესო წლებში."*

ოპტიმიზმი **ფრენკ რაიკაარდსაც** არ აკლია. ის დარწმუნებულია, რომ რონალდინიოს მხოლოდ დრო სჭირდება, რათა ჩვეული კონდიციები აღიდგინოს და მისთვის დამახასიათებელი მომაჯადოებელი ფეხბურთი ითამაშოს...



რონალდინიოს რეკორდამდე ბევრი უკლია

მანჩესტერ იუნაიტედი

# მეტ ბასბი და მისი ბიჭები

## ფერფლიდან აღდგომის საოცარი ამბავი, დღეს მიუნხენის ტრაგედიიდან ზუსტად 50 წელი შესრულდა...



სერ მეტ ბასბის ძეგლი ოლდ ტრეფორდზე

### სერ ალექსანდრ მეთიუ ბასბი

დაიბადა: 1909 წლის 26 მაისს, პატარა ქალაქ ორბისტონში, სულ რამოდენიმე მილში ქალაქ მოზერველიდან. გარდაიცვალა 1994 წლის 20 იანვარს. თამაშობდა "მანჩესტერ სიტისა" (1928-1936. დებიუტი ჰქონდა "მიდლსბროსთან" მატჩში. 228 მატჩი, 14 გოლი) და "ლივერპულში" (1936 – 1939, 125 თამაში, 3 გოლი).

იყო "მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი (1945-1969, 1970-1971).

ჯილდოები: 1934 წელს "სიტის" შემადგენლობაში ასოციაციის თასს დაეუფლა, როგორც მწვრთნელი ინგლისის ჩემპიონი შეიქმნა 1952, 1956, 1957, 1965, 1967 წლებში, ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა 1947, 1948, 1949, 1951, 1959, 1964, 1968 წლებში, ასოციაციის თასი მოიგო 1948, 1963-ში, ამავე თასზე ფინალური მატჩები დათმო 1957, 1958-ში, "ჩერითი შილდის" თასი მოიგო 1952, 1956, 1957, 1965, 1967-ში, ხოლო ფინალებში დამარცხდა 1948 და 1963 წლებში, ევროპის ჩემპიონთა თასს დაეუფლა 1968 წელს.

წარმოთქვით სადმე "ბასბის ბიჭები" და აუცილებლად აღმოაჩენთ თუკი თქვენ გარშემო ვინმე "მანჩესტერ იუნაიტედის" გულშემატკივარია, ის გაგიღიმებთ. ეს აუცილებლად მოხდება, რადგან "ალისფერი კოხტაპრუწების" ნებისმიერი თავმოყვარე გულშემატკივარი თვლის (არცთუ უსაფუძვლოდ), რომ **სერ მეტ ბასბის** ეპოქა მართლა ათვლის წერტილად იქცა ამ დიადი კლუბის ისტორიაში. ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერ იმას, რაც კლუბში იქამდე ხდებოდა, საკლუბო ისტორიაში ნათელი კვალი არ დაუტოვებია, არა, ბატონებო, არა! უბრალოდ, კლუბმა ლეგენდარულის სტატუსი მას შემდეგ შეიძინა, რაც კლუბში მეტი, მისი ბიჭები და შემდგომში მათი ღირსეული მემკვიდრეები მოვიდნენ. მით უფრო, რომ სერ მეტიუმ კლუბის ისტორიაში ალბათ ყველაზე დიდი საქმე გააკეთა, დააჯერა რა ყველა, რომ "მანჩესტერ იუნაიტედს" შეეძლო გამარჯვებების მოპოვება. და მაშინ, როდესაც 1986 წელს მეორე სერმა, ასევე პატივმოყვარემ, ასევე შოტლანდიელმა ალექს ფერგიუსონმა გუნდი ჩაიბარა, მან უკვე იცოდა, რომ ამ კლუბს ჰქონდა ტრადიცია, გადაელახა უფრო დიდი ბარიკადები, აგებული მათს სავალ გზაზე. ამიტომაც იყო, რომ ფერგიმ ყველა პრობლემა დაძლია. ბასბიმ სხვა დიდი საქმეც გააკეთა - მან სამუდამოდ დაამკვიდრა მანჩესტერული სათამაშო სტილი - აგრესიული და შემტევი. შედეგი ეს კარგია, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია, რომ გულშემატკივარმა თამაშისგან სიამოვნება მიიღოსო, დაახლოებით ასე მსჯელობდა სერ მეტი. მის მაგალითს სხვებიც ბაძავდნენ. ერთი სიტყვით, შოტლანდიელმა პირველმა ასწავლა "იუნაიტედს", ყოფილიყო მომხიბლავი. სხვათა შორის, "წითელი ეშმაკები" გუნდს ბასბიმ დაანათლა, ისესხა რა ეს სიტყვები რაგბის კლუბ "სელფორდისგან". მან მყარად ჩანერგა ის გულშემატკივრის გონებაში, თვლიდა რა, რომ მეტსახელში ასეთი სიტყვათანწყობა უფრო საშიში იყო.

სერ მეტ ბასბი პატარა შოტლანდიურ რეგიონში, ლანარკშირში დაიბადა. ამ რეგიონმა მსოფლიოს აჩუქა ისეთი დიდი მწვრთნელები, როგორებიც იყვნენ **ბილ შენკლი, ჯეკ სტეინი** და **სერ ალექს ფერგიუსონი**. დიახ, დიახ, ბრიტანული ფეხბურთის ისტორიაში ალბათ ყველაზე დიდი მწვრთნელები. სხვათა შორის, დიდი სამწვრთნელო კარიერის დაწყებამდე ბასბი საკმაოდ კარგ ფეხბურთელად ითვლებოდა. რაც უნდა გულზე მოხვდეს ნებისმიერ ფანს, მეტმა სახელი ჯერ "მანჩესტერ სიტიში", შემდეგ კი "ლივერპულში" გაითქვა. მერსისაიდელთა ბანაკში გადაბარგების უმალ ის ამ გუნდის კაპიტანი გახდა და, რაც ყველაზე საინტერესოა, ჯერ კიდევ ყველასთვის უცნობი **ბობ პეისლის** დიდზე დიდი სამსახური გაუწია. გუნდის კაპიტანი მას გუნდთან ადაპტაციაში ეხმარებოდა ახალგაზრდა, ნიჭიერ მოთამაშეს. ისინი დიდი მეგობრები გახდნენ და მიუხედავად იმისა, რომ მათი საფეხბურთო გზები გაიყო (პეისლიმ "ლივერპულის" არანაკლებ დიდი ისტორია შექმნა), საუკეთესო ურთიერთობა ლეგენდებმა ბოლომდე შეინარჩუნეს. ბასბის საფეხბურთო კარიერა მას შემდეგ შეწყდა, რაც მეორე მსოფლიო ომის დაწყების გამო, სამხედრო ვალდებულების მოსახდელად ჯარში წავიდა.

ასევე შეიძლება ძალიან სწყინდეთ "მანჩესტერ სიტისა" და "ლივერპულის" გულშემატკივრებს, მაგრამ მათმა ყოფილმა ფეხბურთელმა სამწვრთნელო ასპარეზზე სახელი "იუნაიტედში" გაითქვა. მას შესთავაზეს კიდეც "ლივერპულის" გაწვრთნა, მაგრამ უარი თქვა, რადგან მას იდეაში ჰქონდა სწორედ იმ სისტემის დანერგვა, რაც დღეს თითქმის ყველა ინგლისურ კლუბში მუშაობს, ანუ როდესაც მწვრთნელი მარტო მწვრთნელი კი არა, გუნდის მენეჯერიცაა. მერსისაიდელებმა ჩათვალეს, რომ ამბიციური სპეციალისტის ტონი უფრო ხმამაღალი იყო, ვიდრე ბასბი-ფეხბურთელს საფეხბურთო კარიერით ჰქონდა დამსახურებული. ასე აღმოჩნდა ის "მანჩესტერ იუნაიტედში".

"მანჩესტერი", ისევე როგორც ბრიტანული კლუბების უმრავლესობა, დიდ შეჭირვებას განიცდიდა, რადგან მსოფლიო ომის შედეგები უმძიმესი იყო. "ოლდ ტრეფორდი" "ლუფტვაფეს" იერიშებს შეეწირა, ის თითქმის მთლიანად მიწასთან იყო გასწორებული და კლუბის ხაზინაშიც ფული ქრონიკულად ცოტა იყო. სიმართლე ითქვას, ძნელად წარმოსადგენია, რომ ამ დროს ვინმეს ფეხბურთში დიდი ფული დაეხარჯა. საყოველთაო გაჭირვების მიუხედავად, ცხოვრება ლაგდებოდა და საკუთარ ტემპს პოულობდა. ფეხბურთიც ნელნელა იკრებდა ძალებს. "მანჩესტერსაც" არ შეეძლო, წინსვლისთვის ფეხი არ აეწყო. ბასბიმ პირველი გამარჯვებები მალე მოიპოვა. მისი გუნდი სატურნირო ცხრილში ნელა, მაგრამ ჯიუტად მიიწევდა წინ და აი, ისიც, 1952 წელი, გუნდი პირველად გაჩემპიონდა. თუმცა პირველი ტრიუმფის გმირები უკვე საკმაოდ მობერებულები იყვნენ. მათ მალე მიაღწიეს კიდეც კრიტიკულ ასაკობრივ ზღვარს. გუნდის მენეჯერის წინაშე დადგა სასიცოცხლო აუცილებლობა გუნდის მომავლისთვის, მას პერსპექტიული მოთამაშეები უნდა ენახა.

სწორედ აქ გამოჩნდა ახალგაზრდა მწვრთნელის საოცარი ალღო, როდესაც მან სხვების მიერ გაკვალულ გზაზე სიარულს, არჩია, საკუთარით ევლო. მან ნაცად ხერხს არ მიმართა და კლუბის ბოსებისთვის ფული არ უთხოვია. ბასბიმ მთელი ყურადღება ახალგაზრდებს მიაპყრო (მის გზას დაახლოებით 30-32 წლის შემდეგ სერ ალექს ფერგიუსონიც გაიმეორებს). ესენი იყვნენ: მცველი **ბილი ფოულკსი**, ნახევარმცველები **მარკ ჯოუნსი** და **ჯეკი ბლენჩფლაუერი**, განაპირა თავდამსხმელები **ედი კოლმანი, ალბერტ სკანლონი** და **დევიდ პეგი**, ფორვარდები **ბობი ჩარლტონი, დენის უაიოლეტი, ბილ ველანი** და შეუდარებელი **დანკან ედვარდსი**. ასე დაიბადნენ "ბასბის ბიჭები" (Busby Babes). ეს ბიჭები იმდენად დიდ მონსტრებად ჩამოყალიბდნენ, რომ სხვა ფეხბურთელების მოწვევა აზრს კარგავდა. 4 წლის განმავლობაში სერ მეტმა სულ 2 ფეხბურთელი შეიძინა, ცენტრფორვარდი **ტომი ტეილორი** და მეკარე **ჰარი გრეგი**. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ბასბის საოცარი თავდადება. ის უდიდეს ყურადღებას უთმობდა იუნიორთა აკადემიას და მუდმივად ეჭირა თვალი მომავალ თაობაზე.

"ბიჭები" ყველას აოცებდნენ დახვეწილი თამაშით. თითქოს საოცრად ადვილად გამოსდიოდათ მუზეუმის საპატიო თასებით შევსება: ზედიზედ ორი საჩემპიონო ტიტული 1956 და 1957 წლებში, ასოციაციის თასის ფინალში ასპარეზობა (1:2 ასტონ ვილასთან) მეორე საჩემპიონო წელს. ახალგაზრდობა ლვინდებოდა და ევროტიტულებისთვის ემზადებოდა. 1957-58 წლების სეზონში მეტ ბასბიმ მადრიდის "რეალის" დაჯაბნა და ჩემპიონთა თასის მოგება განიზრახა. ამისთვის განსაკუთრებული სტიმული ალბათ ის იყო, რომ ბასბის, როგორც ნოვატორ მწვრთნელს, სურდა, რომ ყველაფერში პირველი ყოფილიყო. იქამდე ხომ ბრიტანულ გუნდებს მსგავსი ტიტული მოპოვებული ჯერ არ ჰქონდათ. მით უფრო, რომ მისი გუნდი ყველასგან გამოირჩეოდა რაფინირებული თამაშით.

"ბასბის ბიჭების" თავდაჯერებასა და მიზანსწრაფულობას წინ მხოლოდ ტრაგედია აღუდგა: 1958 წლის 6 თებერვალი, მიუნხენი, თვითმფრინავი Airspeed AS-57 Ambassador, 40 მგზავრი და ეკიპაჟის 4 წევრი... შედეგი - 21 მძიმედ დაშავებული და 23 დაღუპული. უშუალოდ მანჩესტერელ ფეხბურთელთა მხრიდან დაიღუპნენ **ჯეფ ბენტი, როჯერ ბირნი, ედი კოლმანი, დანკან ედვარდსი** (გარდაიცვალა ავიაკატასტროფიდან 15 დღის თავზე, საავადმყოფოში), **მარკ ჯოუნსი, დევიდ პეგი, ტომი ტეილორი, ლაიამ (ბილი) ველანი**. მძიმედ დაშავდა თავად მეტ ბასბიც. ძალიან დიდი ხანი ის სიკვდილისა და სიცოცხლის ზღვარზე იმყოფებოდა. და მიუხედავად ექიმების პესიმისტური პროგნოზებისა, ის 3 თვის თავზე დაუსხლტა სიკვდილის კლანჭებს და მალე გუნდსაც დაუბრუნდა. სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო. მას უამრავი ტიტული ჰქონდა მოსაგები. შეფის არყოფნაში გუნდს **ჯიმი მერფი** ხელმძღვანელობდა. ბასბის დაობლებული ბიჭები იმ წელს იბრძოდნენ ისე, როგორც, არც იქამდე და არც მას მერე, არავის უბრძოლია. გმირები ბედს არ ურიგდებაინ ხოლმე, ისინი მას საკუთარი ხელით წერენ. სისხლისაგან დაცლილი "მანჩესტერი" ასოციაციის თასის ფინალში გავიდა და "ბოლტონთან" 0:2 დათმო. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ეს იყო პირველი და ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი შემდგომი აღმავლობისკენ. ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში გუნდმა ულაპარაკოდ დათმო "მილანთან" (2:1, 0:4). 1959 წელს "მანჩესტერი" მეორე ადგილზე გავიდა. ამის შემდეგ უკვე თავდაღმართი დაიწყო. გუნდი ცხრილის შუა ადგილებს გაუშინაურდა. ბასბი იძულებული გახდა, სხვა გუნდის მოთამაშეების გადმობირებაზე დაეწყო ფიქრი. ასე გახდნენ "ალისფერი ეშმაკები" **დევიდ ჰერდი, ალბერტ ქვიკსჰოლი, დენილ ლოუ, პედი კრერანდი** და, რაღა თქმა უნდა, **ჯორჯ ბესტი** (ვიზეც ბასბის მისმა სკაუტმა უთხრა, ცოცხალი გენიოსი საკუთარი თვალით ვიხილეო). ადგილობრივი საფეხბურთო აკადემიიდან გუნდში მოხვდნენ **შეი ბრენონი**, ცოტა მოგვიანებით **ნობი სტაილზი** და **ბრაიან კიდი**. 5 წლის თავაუღებელი მუშაობის შემდეგ ბასბიმ ინგლისის ასოციაციის თასი დაისაკუთრა, რაც გამოჯანმრთელების პირველი ნიშანი გამოდგა. საშინაო არენაზე მომძლავრების შემდეგ გუნდს ხელახლა გაუჩნდა ევროპული ამბიციები. ახლა მთავარი სტიმული ის იყო, რომ ვიდრე მანკუნიანელები ნანგრევებისგან განიწმინდებოდნენ, "სელტიკმა", პირველმა ბრიტანულმა გუნდმა, მოახერხა ჩემპიონთა თასის მოპოვება. მოკლედ რომ ვთქვათ, თავმოყვარეობის საქმე გახლდათ. მართლაც, მიუნხენის ტრაგედიიდან 10 წლის თავზე, 1969 წლის 29 მაისს, ბასბიმ ჩემპიონთა თასი მოიგო. ალბათ ზედმეტია იმის აღნიშვნა, თუ ვის მიუძღვნეს გამარჯვება "წითელმა ეშმაკებმა".

სერ მეტ ბასბიმ იდეალურად იგრძნო ის მომენტი, როდესაც გუნდი უნდა დაეტოვებინა. მორალურად გამოფიტულმა გუნდმა შემდეგი სეზონი სუსტად ჩაატარა და ლეგენდა წავიდა... მის შემცვლელად **ვილფ მაკგინესი** დანიშნეს, ვინც განწირული იყო იმისთვის, რომ მისი ყველა ნაბიჯი ბასბისას შეედარებინათ. ამ უკანასკნელმა ვერ გაუძლო მსგავს ზეწოლას და ბოსებმა მალევე გაათავისუფლეს. ბასბი დაბრუნდა, მაგრამ დაბრუნდა მხოლოდ დროებით და სეზონის ბოლოს სამუდამო წავიდა. ბასბის მემკვიდრეობის ჩაბარების სურვილს არავინ გამოთქვამდა. მის ჩრდილთან ბრძოლაც კი უმძიმესი ტვირთი ჩანდა.



კატასტროფას გადარჩენილი ბობი ჩარლტონი

თავად სერ მეტი გუნდში კიდევ დიდი ხანი დარჩა. 1982 წლამდე ის კლუბის დირექტორი იყო, ამის შემდეგ კი კლუბის პრეზიდენტად აირჩიეს. ბედის ირონიაა ის, რომ ეს ადამიანი სწორედ მაშინ გარდაიცვალა (1994 წელს), როდესაც ჰორიზონტზე გამოჩნდნენ უკვე "ფერგის ბიჭები" და გუნდი პერმანენტული გამარჯვებების გზას დაადგა. სწორედ მისი გარდაცვალების წელს შეძლო გუნდმა მოეგო ჩემპიონობა, ასოციაციის თასი და გასულიყო ლიგის თასის ფინალში (1:3 "ასტონ ვილასთან"). წარმოიდგინეთ, რომ 8 წლის განმავლობაში, 2002 წლამდე, ბასბის ადგილი კლუბის დირექტორთა საბჭოში ხელშეუხებელი იყო. ის უბრალოდ არავის დაუკავებია.

რაც შეეხება მის პიროვნებას, იმ ადამიანების უმრავლესობა ვისთანაც მას ურთიერთობა ჰქონდა, იხსენებდა, თუ რაოდენ ყურადღებიანი იყო ბასბი ნებისმიერი თაობის წარმომადგენელთან. როგორც ხელმძღვანელი ის იყო საოცრად მომთხოვნი (შეიძლება ითქვას, მკაცრიც), ის არასოდეს უშვებდა სუბორდინაციის დარღვევას თანამშრომლებს შორის, იშვიათად პატიობდა ვინმეს ზღვარს გადასვლას. დისციპლინა ყოველთვის მისი უმთავრესი იარაღი იყო (ამ დახასიათებაში გაავლეთ პარალელები სერ ალექს ფერგიუსონთან).

მერე რა, რომ ფერგიუსონმა ბასბიზე მეტი ტიტული მოიგო? (9 ჩემპიონობა 5-ის, 5 ასოციაციის თასი 2-ის წინააღმდეგ. ასევე თასების თასისა და ლიგის თასის 2 ტიტული, რაც პირველს არასოდეს მოუგია). ძნელია დაივიწყო ის, რაც მეტ ბასბიმ გადაიტანა. ჰო, ჩუმჩუმად ზოგი იმასაც ამბობდა, 1999 წელს, ბარსელონაში, სერ ალექსის უმთავრეს ტრიუმფში ბასბის სულიც ერიაო, 26 მაისი ხომ მისი დაბადების დღე გახლდათ.

ამიტომაცაა, რომ დღემდე, თუკი წაიჩურჩულებთ მაინც, "ბასბის ბიჭები" და ვინმე მადლობას ღიმილით, ცოტა სევდაშერეულით, მაგრამ მაინც, გადაგიხდით, ეს ნამდვილად "მანჩესტერის" გულშემატკივარი იქნება. ამ სიტყვებისთვის სევდა ყოველთვის თანმდევია, იმიტომ, რომ მათგან მათგან ბევრმა ვერ იგემა კუთვნილი დიდების ხეივანი.

ჰო, არ დაგვავიწყდეს ვთქვათ, რომ დღეს "ბასბის ბიჭების" დაღუპვიდან 50 წელიწადი შესრულდა.



მანჩესტერ იუნაიტედის დამსხვრეული თვითმფრინავი მიუნხენის აეროპორტში



ცენტრში გიორგი ჩხაიძე



ვარჯიში ოლიმპის სტადიონზე

9 თებერვალი. საქართველო-რუმინეთი

# ზირაქაშვილი, გორგოძე, გიორგაძე

## სერიოზული შევსება მთავარი მატჩის წინ

*პირველი გვერდიდან*

ღვანლმოსილმა ფეხბურთელებმა იქაურობა სწრაფად დატოვეს და ბურთიც და მოედანიც მორაგბეებს დაუთმეს. ბორჯღალოსანთა შორის არსად ჩანდა **ბესიკ ხამაშურიძე**, რომელიც კლუბს დაუბრუნდა. სამაგიეროდ ნაკრებმა სოლიდური შევსება მიიღო **დავით ზირაქაშვილის, მამუკა გორგოძისა** და **ირაკლი გიორგაძის** სახით.

როგორც წესი და რიგია,ვარჯიში მოთელვით დაიწყო, რის შემდეგაც **ტიმ ლეინმა** მორაგბეები შებოჭვაში ავარჯიშა. ამჯერად ამ ვარჯიშის სტრუქტურა რადიკალურად განსხვავდებოდა იმისაგან, რაც პორტუგალიელებთან თამაშისთვის მზადებისას ვიხილეთ. მაშინ მოკლე დისტანციაზე თითო მორაგბეს თითო ბოჭვის გაკეთება უწევდა. ამჯერად დისტანციაც უფრო შორი იყო და რაოდენობაც ოთხამდე გაიზარდა. ერთი სიტყვით ეს ვარჯიში უფრო დინამიური და საინტერესო გამოდგა.

ამის მერე შერკინებამაც და უკანა ხაზმაც ერთად ხელდახელ ბურთაობაში ივარჯიშა, რასაც შემდეგ სავარაუდოდ ძირითადი გუნდის დაცვაში თამაშში ვარჯიში მოჰყვა. შემადგენლობა ასეთი იყო.

15-9: **ოთარ ბარკალაია, გიორგი შკინინი, დავით კაჭარავა, ირაკლი გიორგაძე, ირაკლი ჩხიკვაძე, ლაშა მალაღურაძე, ირაკლი აბუსერიძე;**1-8: **გოდერძი შველიძე, ირაკლი ნატრიაშვილი, დავით ზირაქაშვილი, მამუკა გორგოძე, კახა უჩავა, შალვა სუთიაშვილი, გიორგი ჩხაიძე, დიმიტრი ბასილაია.**

სათადარიგოები: **ანტონ ფეიქრიშვილი, დავით ქუბრიაშვილი, დავით დადუნაშვილი, ლევან დათუნაშვილი, რატი ურუშაძე, ბიძინა სამხარაძე, მერაბ კვირიკაშვილი, ლაშა ხმალაძე, სანდრო ნიჟარაძე, ალექსანდრე თოდუა, ირაკლი ყიასაშვილი.**

დაცვაში ვარჯიშს შეტევაში წთრობა მოჰყვა. საწყისი წერტილი სტატიკური მდგომარეობები იყო - ხან შერკინება, ხანაც დერეფანი. მორაგბეები ცდილობდნენ, ხშირად ეცვალათ შეტევის მიმართულება და რამდენიმე ფაზის გადაბმით გასულიყვნენ ფონს.

დასასრულისკენ „ოლიმპის“ ბაზას საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები მოადგა. პირველნი მთავარი მწვრთნელი **კლაუს ტოპმიოლერი** და მისი ასისტენტი **ჰერბერტ ცანკერი** გამოჩნდნენ. ამ უკანასკნელმა მშვენიერი ქართულით მოგვმართა - მორაგბეთა ნაკრების მენეჯერი იკითხა. მერე რაგბისადმი მისი ინფორმირებულობაც გამოავლინა და გვითხრა, წინა შეხვედრაში მორაგბეებმა კარგად ითამაშეს, მშვენიერი შედეგი აჩვენესო. მალე ნაკრების ფეხბურთელებიც გამოჩნდნენ და ახლა მორაგბეებმა დაუთმესმათ ბურთიც და მოედანიც.

**ლევან ცაბაძე,** საქართველოს ნაკრების მწვრთნელი: - ნელ-ნელა ვცდილობთ, გუნდის თამაშში სიახლეები დავნერგოთ. გვინდა შევქმნათ დაცვაში თამაშის ახალი სტრუქტურა, რაც შეიძლება მეტს ვთამაშობთ ხელდახელ. ვამუშავებთ ახალ კომბინაციებს, შეტევის მიმართულების ხშირი ცვლით და შერკინებისა და უკანა ხაზის შეხამებული ურთიერთქმედებით. რუმინეთის ნაკრებთან მატჩამდე ცოტაოდენი დრო კიდევ გვაქვს და ვეცდებით ყოველივე ეს დავხვეწოთ.

**მერაბ კვირიკაშვილი:** - პორტუგალიასთან მატჩში ფეხით თამაში არ გამომივიდა, რამდენჯერმე უხეიროდ დავარტყი. სხვა შენიშვნა მწვრთნელს ჩემთან არ ჰქონია. მოწინააღმდეგეს 28 ქულით კი მოვუგეთ, მაგრამ მძიმე თამაში იყო მაინც. გრუნტი მძიმე იყო და გადაადგილება ძალიან ჭირდა. რუმინელებთან სათადარიგოთა შორის ვიქნები. თამაშს 10 ნომრის პოზიციაზე ლაშა მალაღურაძე დაიწყებს. ლეინმა თქვა, მინდა ისიც ვნახო საქმეშიო.

**ირაკლი ყიასაშვილი:** - საკუთარი თამაშით კმაყოფილი არ ვარ. მინდოდა, შეცდომები არ დამეშვა და ზედმეტად ვფრთხილობდი. ეს მზღუდავდა და თავისუფლად ვერ ვითამაშე. თუმცა ტიმ ლეინს რაიმე სერიოზული შენიშვნა არ მოუცია. მომდევნო თამაშში რუმინელებთან ჩემ პოზიციაზე ოთარ ბარკალაიას თამაშში ნახვა უნდა და მითხრა, არ გეგონოს, რომ გვერდზე გაგწიეო.

**დავით ქუბრიაშვილი:** - საკუთარი თამაშით მეც უკმაყოფილო ვარ, ბურთით ძალიან ცოტას ვთამაშობდი, არადა, მინდოდა უფრო აქტიურად მეთამაშა. არ გამომივიდა. ნამდვილად უკეთ შემიძლია. ამის დამტკიცების საშუალება ალბათ რუმინელებთან შეხვედრაში მომეცემა.

**ბოლოს აღსანიშნავია, რომ კომპანია “რომპეტროლ ჯორჯიამ“ საქართველო-რუმინეთის მატჩის საუკეთესო მოთამაშეებისთვის ორივე გუნდიდან ჯილდოდ 1500-1500 დოლარი დააწესა.**

**ბესიკ ჯანგავაძე**



ცენტრში: გოდერძი შველიძე, დავით ზირაქაშვილი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები




გამოვიდა ორნაწილიანი წიგნი „ცხელი ზაფხულის 40 დღე". წიგნში მოთხრობილია 2005 წელს, უშბასა და შხელდაზე დატრიალებული ტრაგედიების რეალური ისტორია. იმ ავბედით წელს, 40 დღის შუალედში დატრიალებულმა ორმა ტრაგედიამ შეძრა ქართული ალპინისტური და არა მხოლოდ ალპინისტური საზოგადოება. წიგნის პრეზენტაცია-გაყიდვა გაიმართება 2008 წლის 18 თებერვალს, 17 საათზე საქართველოს ეროვნული მუზეუმის ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმში (ქარვასლა). წიგნის გაყიდვიდან შემოსული თანხა გადაეცემა ამ ტრაგედიის დროს დაღუპული ორი მთამსვლელის, **მერაბ ხაბაზისა** და **მიხეილ ჩაჩანიძის** (კასალაპას) ოჯახებს.

**ჭიდაობა**

# სამ-სამი შანსი პეკინისთვის



ლუკა კურტანიძე სეზონს ანკარაში გახსნის

ქართველმა მოჭიდავეებმა სეზონის ერთ-ერთი უმთავრესი ტურნირი მოილიეს - საქართველოს ჩემპიონატი ჩაატარეს და ოლიმპიური გუნდის ძირითადი ბირთვი გამოარკვიეს. ახლა ყველაფერი მათზეა დამოკიდებული - რამდენად გამოიჩენენ თავს უცხოეთში, ასევე შესარჩევ ტურნირებში. თუმცა უმეტესობამ ოლიმპიურ ნაკრებში მოხვედრამდე ჯერ თამაშებზე წასვლა უნდა გაინაღდოს.

მოგეხსენებათ, „თავისუფალთა“ ნაკრებში ჯერ მხოლოდ ორი ლიცენზირებული სპორტსმენია - **ოთარ თუშიშვილი** (66) და **გელა სალირაშვილი** (74), „ანტიკოსებში“ სამი - **დავით ბედინაძე** (60), **ბადრი ხასაია** (84) და **რამაზ ნოზაძე** (96), სხვებმა კი საგზურები წლევანდელ სალიცენზიო ტურნირებში უნდა მოიპოვონ. თუ გავითვალისწინებთ, რომ საამისოდ მხოლოდ სამ-სამი შეჯიბრებაა განსაზღვრული და იქაც ლიცენზიები ძალზე ხელმომჭირნედ გაიცემა, მათი მოპოვება არ იქნება იოლი.

შეგახსენებთ ამ სალიცენზიო შეჯიბრებებს. „თავისუფლებში“ პირველი ასეთი ტურნირი 18-20 აპრილს შვეიცარიულ მარტინიში გაიმართება და იქ საგზურს ხუთეულის წევრები მიიღებენ ანუ წონაში 6-6 კაცი. მეორე ტურნირს 2-4 მაისს ვარშავა უმასპინძლებს, ოღონდ იქ მხოლოდ 4-4 ლიცენზია გათამაშდება, ანუ - მარტო მედალოსნებზე. ამ ორ ტურნირს 1-6 აპრილს ფინურ ტამპერეში გასამართი ევროპის ჩემპიონატიც დაემატება, სადაც ერთადერთი საგზური გაიცემა. მთავარი ტურნირის დაწყებამდე იქ უსაგზუროდ დარჩენილთათვის ცალკე შეჯ იბრება გაიმართება და სწორედ მისი გამარჯვებული იჭიდავებს პეკინში.

„ანტიკოსთა“ პირველი სალიცენზიო შეჯიბრება 9-11 მაისს რომში ჩატარდება, მეორე - 23-25 მაისს - სერბულ ნოვი სადში. ამ ორს ევროპის პირველობაც დაემატება. აქაც სამივე ტურნირზე ლიცენზიები ზუსტად იმ პრინციპით გაიცემა, როგორც თავისუფალში.

ამ უქმეებზე „თავისუფალთა“ ნაკრები სომხეთში, წახკაძორის ოლიმპიურ ბაზაზე გაემგზავრა საბაზო შეკრებისთვის. იქ 2 კვირით დარჩებიან და ძირითადად ფიზმომზადებაში ივარჯიშებენ. ნაკრების თავკაცმა **ზაზა თურმანიძემ** წახკაძორში ძირითადი შემადგენლობა წაიყვანა, სათადარიგოები კი ამ უქმეებზე ანკარაში, იაშარ დოგუს სახელობის „ოქროს დიდი პრიზის“ ტურნირში იასპარეზებენ. თურმანიძის მოუცლელობის გამო, ამ გუნდს **ალექსანდრე კახნიაშვილი** უთავკაცებს, ანკარაში კი წავლენ: **კოკა კოტორაშვილი** (55), **მალხაზ ზარქუა** (60), **გიორგი ბალიაშვილი** (60), **მიხეილ ზარქუა** (66), **კობა მაქარაშვილი** (74), **ნიკოლოზ გაგნიძე** (84), **ირაკლი მარსაგიშვილი** (84), **ლუკა კურტანიძე** (96), **ალექსანდრე მოდებაძე** (მძიმე) და **ლაზარე მარსაგიშვილი** (მძიმე).

როგორც ვხედავთ, ამ გუნდში ბევრი ახალგაზრდაა, რომელთაგან ორიც - კოტორაშვილი და მაქარაშვილი ჭაბუკთა ნაკრებიდან ეს-ესაა ახალგაზრდულში გადავიდნენ, გაგნიძე და ძმები მარსაგიშვილები კი ეროვნულში დამკვიდრებას ახლა იწყებენ. მათთვის ეს ტურნირი უფროსებში სადებიუტოც იქნება. ამ შემადგენლობაში ძველი გვარდიიდან მხოლოდ ორია - კურტანიძე და მოდებაძე. როგორც ახალგაზრდების, ასევე ვეტერანებისთვის ეს ტურნირი გამოსაცდელი იქნება, სადაც ორივე თაობას ბევრი რამის დამტკიცება მოუწევს.

რაც შეეხება „ანტიკოსთა“ ნაკრებს, რამდენიმე დღეში ისინიც შეკრებას დაიწყებენ თბილისში, ფალავანთა კლუბში, 28-29 თებერვალს კი უნგრულ სომბათჰეიში მსოფლიო თასზე იჭიდავებენ.

**ირაკლი თავაძე**

**კალათბურთი**

ლეგიონერები

# ფაჩულიას ორი შვიდიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში, მორიგი მატჩი გამართა „ატლანტამ“. ზაზა ფაჩულიას გუნდმა ზედიზედ მეორე შეხვედრა მოიგო. ამჯერად, ჯორჯიელებმა „ფილადელფია სიქსერსი“ დაამარცხეს - 96:91.

რაც შეეხება ზაზას მონაგარს, თუკი იგი ორ მატჩში „მშრალად“ დარჩა, ახლა 20 წუთში 7 ქულა მოაგროვა. ქართველმა ცენტრმა 5-დან 3 ორქულიანი და 2-დან 1 ჯარიმა ჩააგდო. ამას გარდა, ფაჩულიას აქტივ-პასივში იყო 7 მოხსნა, 2 პასი, 1 დაფარება, 1 შეცდომა და 3 ფოლი.

ალბათ უპრიანი იქნება, რომ აქვე ზაზას უშუალო კონკურენტ **ელ ჰორფორდის** მონაგარსაც გავეცნოთ. მან 27 წუთში 6 ქულა, 8 მოხსნა და 2 დაფარება გააკეთა.

ამრიგად, „ატლანტას“ 20 მოგება და 24 წაგება დაუგროვდა. ჯორჯიული კლუბის სატურნირო მდგომარეობა უცვლელია - მესამე ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონში და მეშვიდე პოზიცია აღმოსავლეთ კონფერენციაში. შესაბამისად, „ატლანტა“ ფლეი ოფში გამსვლელ ზონაშია.

# ლიტველებთან, ესპანელებთან და თურქებთან



ვლადიმერ ბოისა

საკალათბურთო ევროლიგაზე მეორე ეტაპის წილისყრა გაიმართა. კონტინენტის საუკეთესო 16 კლუბი 4 ქვეჯგუფში გადანაწილდა. რასაკვირველია, ჩვენთვის ყველაზე საინტერესო იყო **ვლადიმერ ბოისას** გუნდის მეტოქეების ვინაობის გაგება. წილისყრამ ბოისას ბერძნული „არისი“ ქვეჯგუფში მოახვედრა ლიტვის „ლიეტუვოს რიტასთან“, ესპანეთის „ტაუ კერამიკასა“ და თურქეთის „ფენერბახჩესთან“.

აღსანიშნავია, რომ „ლიეტუვოს რიტასი“ ბერძნებთან ერთად ჯგუფში პირველ ეტაპზეც მოხვდა და ლიტველებმა „არისს“ ორივე შეხვედრაში მოუგეს.

მეორე ეტაპი 13-14 თებერვალს დაიწყება. ჯგუფიდან მეოთხედფინალში ორი საუკეთესო გადის.

დასასრულ კი „არისის“ მთავარი მწვრთნელის, საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი თავკაცის **გორდონ ჰერბერტის** კომენტარს გთავაზობთ წილისყრის შემდეგ: „ჩემი აზრით, საკმაოდ ნორმალურ ჯგუფში მოვხვდით. სავსებით შესაძლებელი იყო, რომ უფრო ძლიერ გუნდებს გადავყროდით. ვღელავთ, რადგან წინსვლას კვლავაც გვთხოვენ. ევროპის საუკეთესო 16 გუნდს შორის მოხვედრამ და წილისყრამ ახალი შესაძლებლობების გზა გაგვიხსნა. ჩვენი კონკურენტებიდან ყველაზე ახლოს ვიცნობთ „ლიეტუვოს რიტასს“, რომელსაც პირველ ეტაპზეც ვეთამაშეთ. ჩვენ უნდა ვითამაშოთ გუნდურად, გავაუმჯობესოთ დაცვა და ყველა მატჩში მაქსიმალურად კონცენტრირებულნი ვიყოთ. რაც შეეხება მიზანს, ჯერ ჩემს კალათბურთელებს გავესაუბრები და მერე ერთად დავსახავთ მიზანს - ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. მხოლოდ ასეთი კონსულტაციების შემდეგ შეგვეძლება კონკრეტულ გეგმებზე საუბარი“

**ვაჟა სიმონიშვილი**

**ჭადრაკი**

# პირველი მარცხი

მოსკოვის ღია ტურნირის საინფორმაციო მომსახურება საკმაოდ გვიან რომ გვაწვდის საბოლოო შედეგებს, გუშინ მოგახსენეთ. ამ მიზეზით ვერ გაცნობეთ მესამე ტურის შედეგები. პირდაპირ ეთერში ორი ქართველის **ბაადურ ჯობავასი** და **სალომე მელიას** პარტიები გადაიცემოდა. ჯობავამ სომეხ **ზავენ ანდრიასიანს** შავებით ვერ მოუგო და ყაიმს დასჯერდა, ხოლო სალომე მელია თეთრებით ეთამაშებოდა ტურნირის უმთავრეს ფავორიტს, სლოვენიელ **ანა უშენინას**. სამწუხაროდ, სალომემ ვერ შეძლო სათავისოდ წარმართვა პარტია და დამარცხდა. ეს ქართველ მოჭადრაკეთა პირველი მარცხი იყო ამ ტურნირზე. გუშინ თეთრებით იმარჯვა **სოფიო გვეტაძემ** - რუს ნადეჟდა **ხარმენოვას** (2170) მოუგო; **ლელა ჯავახიშვილმა** კვლავ ვერ მოიგო - რუს **გალინა ოსტერტაგთან** (2210) ყაიმზე შეთანხმდა. ასევე დასრულდა შეხვედრა **ნაზი პაიკიძესა** და რუს **მარგარიტა ფახრეტდინოვას** (2160) შორის.

ცხადია, მეტოქეთა რეიტინგებს და, შესაბამისად, სიძლიერის გათვალისწინებით, ჩვენი გოგონების შედეგები მთლად მოსაწონი არ არს, მაგრამ წინ კიდევ 6 ტურია და იმედი გვაქვს, რომ ჩვეულად ათამაშდებიან.

სამი ტურის შემდეგ ქალებში მაქსიმალური ქულა 7 მონაწილეს აქვს. ქართველთაგან საუკეთესო შედეგი გვეტაძეს აქვს - 2,5 ქულა; 2-2 ქულა დააგროვეს მელიამ, ჯავახიშვილმა და პაიკიძემ.

კაცებშიც 7 მონაწილე ლიდერობს მაქსიმუმით. 2,5 ქულა კი 36 მონაწილეს აქვს, მათ შორის ჯობავასაც.

ისევ და ისევ ტურნირის ტექნიკური სირთულეების გამო მეოთხე ტურის შედეგებს ოპერატიულად ვერ გაცნობებთ, მაგრამ პირდაპირ ეთერში მოხვედრილ ჯობავას პარტიაზე კი შეგვიძლია გესაუბროთ. წილისყრამ რუსი **ილდარ ხაირულინი** შეახვედრა. თეთრი ფერით ბაადური იყო და კვლავ წარმატებით გადაჭრა პრობლემები - 32 სვლაში აიძულა რუსი, დანებებულიყო.

შედეგებს ვერა, მაგრამ ჩვენი გოგონების მეტოქეებს კი წარმოგიდგენთ: ოთხივეს რუსი მეტოქე შეხვდა და ოთხივე ჩვენებური შავებით იყო: გვეტაძე **ანა კოსტრიგინას** ხვდებოდა, (2138), ჯავახიშვილი **ტატიანა ბოგუმილას** (2186), მელია - **მარგარიტა ფახრეტდინოვას** (2160), პაიკიძე - **ელვირა კარიბაევას** (2153).

**ზვიად შათირიშვილი**

**სამთო თხილამურობა**

# ჯაბა გელაშვილი პირველია



ჯაბა გელაშვილი

14 წლის ქართველმა მოთხილამურემ ჯაბა გელაშვილმა ავსტრიაში, ტიროლის რეგიონალურ ტურნირზე, სპეციალურ სლალომსა და გიგანტურში ორი პირველი ადგილი მოიპოვა. ეს ტურნირი 26-27 იანვარს ინსბრუკში გაიმართა.

2 თებერვალს კი ზამთრის სპორტის სახეობების საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით გამართულ ტურნირზე, სადაც მასზე უფროსი, 16-წლამდელი მოთხილამურეები მონაწილეობდნენ, ჯაბამ მე-5-6 ადგილები დაიკავა სლალომსა და გიგანტში.

ქართველი მოთხილამურე უკვე რამდენიმე წელია სტაბილური წარმატებით ასპარეზობს ევროპულ შეჯიბრებებში. დეკემბერში სპეციალურ სლალომში ორივე ცდაში საუკეთესო დრო აჩვენა და პირველი ადგილი დაისაკუთრა 1993-1994 წელს დაბადებულ სპორტსმენებს შორის.

„ჯაბა გელაშვილი ყველაზე პერსპექტიული ქართველი სპორტსმენია სპორტის ამ სახეობაში, ის 8 წლის ასაკიდან ინტენსიურად ვარჯიშობს ავსტრიაში. მისი პირადი მწვრთნელი საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი **გერა აბრამიშვილია**, მას ასევე ჰყავს ავსტრიელი კონსულტანტი **ჰანს ენოვეი**.

- ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებთ გელაშვილზე და მიუხედავად იმისა რომ სპორტის ეს სახეობა ძალზე საფრთხილოა ტრამვების გამო, მჯერა რომ ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიადაში ის უკვე მონაწილეობას მიიღებს, ოლიმპიურ ჯილდოს კი მისგან სოჭის 2014 წლის ოლიმპიადაზე უნდა ველოდოთ. -აცხადებს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **გოგი თოფაძე**.

ინტერვიუ გიორგი ცინცაძესთან

# ოლ სტარში მოხვედრამ უფრო გამახარა, ვიდრე თამაშმა



ქართულ ინტერნეტ-ფორუმზე ერთ-ერთმა ქომაგმა დაწერა - ესტონეთში ბალტიის ლიგის „ოლ სტარს" დავესწარიო. იგი საინტერესო სანახაობას იხილავდა და შეიძლება შეგვშურდეს კიდეც. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იმ შეხვედრას მეორე ქართველიც ესწრებოდა - მეტიც, გიორგი ცინცაძე მატჩის უშუალო მონაწილე იყო და ვარსკვლავთა მატჩის ამბების მოთხრობა სწორედ მას ვთხოვეთ. გიორგიმ არ დაიზარა და ვრცელი ინტერვიუც გამოგვივიდა.

- „ოლ სტარი" ხალისიანი გამოვიდა. ყველა ცდილობდა ტრავმა არ მიეღო და დაცვაში მჭიდროდ არავინ თამაშობდა. იყო ბევრი ეფექტური ჩატენვა, თავისუფალი სროლა, რასაც ანგარიშიც მოწმობს - 154:136 - ლეგიონერთა ნაკრების სასარგებლოდ. მოკლედ ყველამ ისიამოვნა, ლეგიონერებმა - ორმაგად, რადგან მატჩი ჩვენი გამარჯვებით დასრულდა.

**- შენ თუ მოახერხე ტრიბუნებისთვის ტაშის დატყუება?**

- მოვახერხე, მაგრამ ნეტავ ეს არ გამეკეთებინა...

**- რატომ?**

- ბოლო პერიოდში ბურთის ჩასატენად წავედი, მაგრამ იგი კალათიდან ამომიხტა. აი, ამით დავამახსოვრე თავი პუბლიკას.

**- ვარსკვლავების გვერდით თამაში რამდენად საინტერესო იყო?**

- მართალია, ვინც მატჩში მონაწილეობდა, მაღალი დონის კალათბურთელია, მაგრამ უშუალოდ ურთიერთობაში ვერავისგან იგრძნობდი ქედმაღლობას. პირიქით, ახალგაზრდა მოთამაშეებს თბილად, მეგობრულად გვექცეოდნენ.

**- შენი ძველი ნაცნობი ხომ არავინ იყო?**

- ვლადიმირ შტიმაც ჩემი ასაკისაა და მანამდეც არაერთხელ ვიყავი შეხვედრილი. საბოლოოდ ის შეხვედრის საუკეთესო კალათბურთელად დაასახელეს.

**- 154 ქულიდან შენს ანგარიშზე მხოლოდ 8 იყო...**

- ჩემთვის მთავარი არა უშუალოდ თამაში, არამედ „ოლ სტარში" მოხვედრის ფაქტი იყო. ყველაზე მეტად 11 ათასი ხმის მიღებამ გამახარა. მადლობელი ვარ ყველასი, ვინც ხმა მომცა. ვიცი, გამოკითხვაში ქართველებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი და ესტონელებიც.

**- ვარსკვლავთა მატჩში მოხვედრა რით დაიმსახურე?**

- კარგად ვიცი, რომ ხმებს ლამაზი თვალებისთვის არავინ იძლევა. ალბათ, „ტარტუ როკის" კარგმა თამაშმაც იმოქმედა, გუნდში მეც სერიოზული ფუნქცია მაკისრია...

**- კერძოდ?**

- გამთამაშებელი ყველგან მთავარი ფიგურაა. სწორედ მისით იწყება ყველა შეტევა, ის ალაგებს თამაშს... ეს მწვრთნელსაც კარგად მოეხსენება და თავისუფლებას მაძლევს. ოღონდ ნორმის ფარგლებში. როცა გუნდის თავკაცის ასეთ ნდობას გრძნობ, თავისთავად თამაშიც კარგად გამოგდის.

**- ახლა „ტარტუ" მართლაც კარგად გამოიყურება, სეზონის დასაწყისში კი ბალტიის ლიგის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი გუნდი გყავდათ.**

- სეზონის დასაწყისში გუნდი ახალი შეკრებილი იყო. შესათამაშებლად და სქემების დასაწყობად დრო გვჭირდებოდა. კალათბურთელები ერთმანეთს რომ შევეწყვეთ კარგადაც ავთამაშდით. ეს თუნდაც სტატისტიკიდან ჩანს: არ გვყავს ისეთი კალათბურთელი, რომელიც ყოველ დღე 25-30 ქულას ჩააგდებს. ეს არცაა საჭირო, რადგან 5-6 ისეთი მოთამაშე გვყავს, რომლებიც მონაცვლეობით იღებენ სნაიპერის ფუნქციას. ხან ერთი ჩააგდებს 20 ქულას, ხან - მეორე, ხან - მესამე. სწორედ ესაა გუნდური თამაში.

**- ევროთასზე წარმატების საიდუმლოც გუნდურობაა?**

- დიახ. მაგალითად ჩემი ყოფილი კლუბის, „სამარას" ბიუჯეტი ერთორად აღემატება „როკისას", მაგრამ ჯგუფში პირველი ადგილი ჩვენ დავიკავეთ. ეს კარგი მწვრთნელის, მონდომებისა და გუნდური თამაშის ბრალია.

**- „ტარტუ", როგორც წესი პირველ ტაიმში ახერხებს სოლიდური უპირატესობის მოპოვებას. რა არის ამის მიზეზი?**

- ალბათ მონდომება. თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ პირველ ნახევარში ენერგიულად ვთამაშობდით, მესამე პერიოდში ყოველთვის ვდუნდებით, მაგრამ საბედნიეროდ უმეტეს შემთხვევაში გამარჯვებას მაინც ვაღწევთ.

**- შენს ერთ ყოფილ კლუბს, „სამარას" უკვე აჯობე, „ურალ გრეიტს" რას უპირებ?**

- სხვათა შორის, „ურალიდანაც" ისევე ნაწყენი წამოვედი, როგორც სამარადან - მწვრთნელები არ მენდობოდნენ. ვეცდები შესაძლებლობები პერმელებსაც დავუმტკიცო. ევროთასზე რთული ნახევარფინალი გველის, მაგრამ მოედნის უპირატესობა ჩვენს მხარესაა და შესაბამისად ნახევარფინალში მოხვედრის შანსიც იზრდება.

**- ესტონეთის ჩემპიონატში რას აპირებთ?**

- მოქმედი ჩემპიონები ვართ და ტიტულის დაცვა გვინდა, მაგრამ არც ეს მიზანი იქნება ადვილი მისაღწევი, რადგან შიდა ჩემპიონატში ჩვენზე არანაკლებად ძლიერი კლუბი თამაშობს - „კალევი".

**- რადგან მწვრთნელებს გავკარით კბილი (კარგი გაგებით), მინდა საქართველოს ნაკრების მომავალ დამრიგებელზე გკითხო. კალათბურთის ფედერაცია 16 თებერვლის წილისყრას ელის, მწვრთნელს ამის შემდეგ დავნიშნავთო. შენი აზრით, როგორი უნდა იყოს საქართველოს ნაკრების მწვრთნელი?**

- ყველა პარამეტრის ჩამოთვლას არ მოვუყვები, მთავარზე ვიტყვი: ნაკრების თავკაცი პირველ რიგში მომთხოვნი უნდა იყოს. მისთვის გამონაკლისები არ უნდა არსებობდეს. რა მნიშვნელობა აქვს ნაკრების წევრი საქართველოს ჩემპიონატიდანაა, თუ ევროპის რომელიმე წამყვანი კლუბიდან, ყველას ერთი საქმე უნდა ჰქონდეს და არანაირი ნიშნით არ უნდა განსხვავდებოდეს. თუ მომავალი მწვრთნელი ასეთი პრინციპების დამცველი იქნება, შედეგიც აუცილებლად მოვა. თუ არა - იგივე შედეგს მივიღებთ, რაც აქამდე გვქონდა.

ვაჟა სიმონიშვილი





## ტატიშვილიც იწყებს

საჩოგბურთო სეზონს ქართველთა მეორე ჩოგანი **ანა ტატიშვილიც** იწყებს. ჩოგბურთელი, რომელიც ახლახან 18 წლის შესრულდა, მისურის შტატის ქალაქ მიდლენდში მე-20 „ტენის კლასიკში" მონაწილეობს. ანა 75-ათასიანი საპრიზო ფონდის ძირითად ბადეშია, სადაც კენჭისყრამ მას მეოთხე ნომრად განთესილი **სანდრა კლოზელი** არგუნა. 28 წლის გერმანელი მსოფლიოს 122-ე ჩოგანია, შარშან კი მონინავე ასეულის წევრიც ყოფილა. ანა ტატიშვილი მსოფლიო კლასიფიკაციაში 285-ე პოზიციაზეა. ქართველი წყვილთა ტურნირში არ თამაშობს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

## უფროსი კალაშნიკოვა უნივერსიტეტთა ლიგაში



17 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა** საქართველოს ნაკრების ლიდერია და ის ქართული ჩოგბურთის ერთ-ერთ ამომავალ ვარსკვლავად ითვლება. თუმცა ახალგაზრდულ ასპარეზზე ოქსანასთან ერთად ხშირად თამაშობდა მისი ერთი წლით უფროსი და **მარია**, რომელსაც 2006 წლის მერე ამ ასპარეზზე არ უთამაშია. ვიფიქრეთ, ქართველ ჩოგბურთელთა უმრავლესობის დარად მარიამ კარიერა დაწყებამდე დაასრულაო, თუმცა ასე არ ყოფილა. მარია კალაშნიკოვა ამერიკაში ვარჯიშობს და სწავლობს და უნივერსიტეტთა საჩოგბურთო ლიგის ჩემპიონატში „ოკლაჰომა სუნერსის" ღირსებას იცავს.

მარია 16 წლის ასაკში ევროპის საუკეთესო ორმოცდაათეულში შედიოდა, ასე რომ ამერიკული უნივერსიტეტის გუნდში ის უპრობლემოდ მოხვდა. სხვათა შორის, მისი გუნდი საკმაოდ ინტერნაციონალურია, კალაშნიკოვას გარდა იქ კიდევ ორი უცხოელია რუსი **ელენა ანტაკოვა** და რუმინელი **ანა-მარია კონსტანტინესკუ**. ოკლაჰომას უნივერსიტეტში მარია მარკეტინგის სპეციალობით სწავლობს, სადაც მას საკმაოდ კარგად ახასიათებენ. „სუნერსმა" ტურნირი „მილუოკის" განადგურებით დაიწყო - 7:0. გუნდის მეორე ჩოგანმა კალაშნიკოვამ თავის მეტოქეს 6:1, 6:3 მოუგო. მან წყვილთა მატჩშიც იმარჯვა. მეორე მატჩში „სუნერსი" ოკლაჰომას შტატის უნივერსიტეტის გუნდთან 1:6 დამარცხდა. ამჯერად მარიამ თავისი მატჩი 3:6, 1:6 დათმო. მესამე ტურში კალაშნიკოვას გუნდმა „მარკეტს" 4:3 მოუგო, თავად ჩვენებურმა 7:5, 6:4 მოიგო.

ნიკოლოზ ნეფარიძე




## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ნიუ ჯერსი-პიტსბურგი 4:3 (ო)**

0:0, 1:2, 2:1, 1:0

გოლები: 0:1 მელოუნი-15 (მალკინი-34, სიდორი-7), 0:2 სიკორა-17 (მალკინი-35, გონჩარი-36), 1:2 ლანგენბრუნერი-9 (პარიზე-27, ელიაში-28), 1:3 ჯ. სტაალი-7 (ტელბოტი-9, ლეტანგი-7), 2:3 ელიაში-16 (პარიზე-28), 3:3 კლარკსონი-7 (ოდუია-14, მადენი-15), 4:3 პარიზე-20 (ელიაში-19, ბროდო-1).

**კოლორადო-ფინიქსი 3:4**

1:1, 1:1, 1:1, 0:1

გოლები: 1:0 პენსიკი-4 (არნასონი-15, ლაილსი-19), 1:1 პ. მიულერი-16 (ქოვანოესკი-30, დოუნი-33), 1:2 ვინიკი-6 (მარლი-1, ნ. კაპანენი-15), 2:2 ლაპერიერი-4 (რიჩარდსონი-3), 3:2 პენსიკი-5 (პლინკა-16, არნასონი-16), 3:3 ვრბატა-23 (რაინპრეხტი-21), 3:4 ვრბატა-24 (დოუნი-34, ზ. მიხალეკი-9).

**ედმონტონი-კალგარი 5:0**

2:0, 1:0, 2:0

გოლები: 1:0 პიზანი-4 (კოლიანო-16), 2:0 პენერი-16 (სანდერსონი-9, გილბერტი-11), 3:0 პემსკი-14 (სემ განიე-18, სტოლი-16), 4:0 სტაიოსი-6 (მორო-3, გრებეშკოვი-6), 5:0 სემ განიე-5 (სტოლი-17, პემსკი-33).

### კვირის სამი ვარსკვლავი

ამ სეზონში პირველად, კვირის პირველი ვარსკვლავი გახდა "დეტროიტ რედ უინგზის" ცენტრალური თავდამსხმელი **პაველ დაციუკი**. გასულ კვირას, "დეტროიტმა" სამიდან სამი მატჩი მოიგო და რვა გოლი გაიტანა. ამ რვა შაიბიდან, დაციუკმა შვიდში მიიღო მონაწილეობა - ერთი გოლისა და ექვსი შედეგიანი პასის ავტორი გახდა.

დაციუკს ამ სეზონში 65 ქულა (19+47) დაუგროვდა და დაეწია კლუბის საუკეთესო ბომბარდირ **ჰენრიკ ზეტერბერგს**.

კვირის მეორე ვარსკვლავი მეკარეა - "დალას სტარზის" **მარტი ტურკო**. ეს გოლკიპერი საკუთარ კარში 1.67 შაიბას უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 94.8 პროცენტს იგერიებდა. მისი წყალობით, გასულ კვირას "დალასმა" 3-დან სამი მატჩი მოიგო.

რაც შეეხება მესამე ვარსკვლავის სტატუსს, ის "ნიუ იორკ რეინჯერსის" ცენტრალურმა თავდამსხმელმა **კრის დრურიმ** დაიმსახურა, რომელმაც 4 მატჩში 4 გოლი და 2 შედეგიანი პასი ჩაიწერა აქტივში.

**აღმოსავლეთი კონფერენცია**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ოტავა* | 53 | 32 | 17 | 4 | 68 |
| 2. ფილადელფია* | 51 | 29 | 17 | 5 | 63 |
| 3. კაროლინა* | 55 | 26 | 25 | 4 | 56 |
| 4. მონრეალი | 53 | 28 | 16 | 9 | 65 |
| 5. ნიუ ჯერსი | 53 | 30 | 20 | 3 | 63 |
| 6. პიტსბურგი | 53 | 29 | 19 | 5 | 63 |
| 7. რეინჯერსი | 55 | 27 | 22 | 6 | 60 |
| 8. ბოსტონი | 52 | 27 | 20 | 5 | 59 |
| 9. ატლანტა | 55 | 26 | 25 | 4 | 56 |
| 10. აილენდერსი | 53 | 24 | 23 | 6 | 54 |
| 11. ბაფალო | 51 | 23 | 21 | 7 | 53 |
| 12. ვაშინგტონი | 53 | 24 | 24 | 5 | 53 |
| 13. ფლორიდა | 54 | 24 | 25 | 5 | 53 |
| 14. ტორონტო | 54 | 21 | 24 | 9 | 51 |
| 15. ტამპა ბეი | 53 | 21 | 27 | 5 | 47 |

**დასავლეთი კონფერენცია**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. დეტროიტი* | 54 | 40 | 10 | 4 | 84 |
| 2. დალასი* | 56 | 31 | 20 | 5 | 67 |
| 3. მინესოტა* | 52 | 30 | 19 | 3 | 63 |
| 4. სან ხოსე | 52 | 29 | 16 | 7 | 65 |
| 5. კოლორადო | 54 | 28 | 21 | 5 | 61 |
| 6. ანაჰაიმი | 56 | 27 | 22 | 7 | 61 |
| 7. კალგარი | 53 | 26 | 19 | 8 | 60 |
| 8. ფინიქსი | 53 | 28 | 22 | 3 | 59 |
| 9. ნეშვილი | 53 | 27 | 21 | 5 | 59 |
| 10. ვანკუვერი | 53 | 26 | 21 | 6 | 58 |
| 11. კოლამბუსი | 54 | 25 | 23 | 6 | 56 |
| 12. სტ. ლუისი | 51 | 24 | 20 | 7 | 55 |
| 13. ედმონტონი | 55 | 24 | 26 | 5 | 53 |
| 14. ჩიკაგო | 52 | 23 | 24 | 5 | 51 |
| 15. ლოს ანჯელესი | 54 | 21 | 30 | 3 | 45 |

* - დივიზიონის ლიდერი

| ბომბარდირები | (გოლი+პასი) |
|---|---|
| ოვეჩკინი (ვაშ) | 70 (43+27) |
| ალფრედსონი (ოტა) | 68 (32+36) |
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 68 (31+37) |
| იგინლა (კალ) | 65 (32+33) |
| ზეტერბერგი (დეტ) | 65 (31+34) |
| დაციუკი (დეტ) | 65 (18+47) |
| კოვალჩუკი (ატლ) | 64 (38+26) |
| მალკინი (პიტ) | 63 (28+35) |
| კროსბი (პიტ) | 63 (20+43) |
| სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 62 (19+43) |
| ჯ. ტორნტონი (ს-ხოს) | 62 (15+47) |

| გოლეადორები | |
|---|---|
| ოვეჩკინი (ვაშ) | 43 |
| კოვალჩუკი (ატლ) | 38 |
| იგინლა (კალ) | 32 |
| ალფრედსონი (ოტა) | 32 |
| ზეტერბერგი (დეტ) | 31 |
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 31 |
| ბოიესი (ს-ლუი) | 29 |
| მალკინი (პიტ) | 28 |
| გაბორიკი (მინ) | 28 |
| პერი (ანა) | 27 |
| ე. სტაალი (კარ) | 27 |

| ასისტენტები | |
|---|---|
| ჯ. ტორნტონი (ს-ხოს) | 47 |
| დაციუკი (დეტ) | 47 |
| სავარი (ბოს) | 46 |
| ლიდსტრომი (დეტ) | 45 |
| სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 43 |
| კროსბი (პიტ) | 43 |
| ჰ. სედინი (ვან) | 43 |
| სპეცა (ოტა) | 41 |
| გომესი (რეინ) | 40 |
| გეტცლაფი (ანა) | 39 |



## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# მაკგრეიდი სიბერის კმაყოფილია



ტრეისი მაკგრეიდი

თუ "ჰიუსტონი" წლევანდელ რეგულარულსა და პლეიოფში რაიმე ღირებულს გააკეთებს, ეს არა **იაო მინის**, არამედ ფეთქებადი, უნიჭიერესი, მაგრამ ზარმაცი **ტრეისი მაკგრეიდის** დამსახურება იქნება. რეგულარულის მსვლელობისას რამდენჯერმე დაშავებული ვარსკვლავი ცოტა ხნით (მისივე ინიციატივით) სათადარიგოებში გადაისროლეს, ბოლო ორ შეხვედრაში კი ლიგის ორგზის საუკეთესო მექულე კვლავ სასტარტოშია და ჩვეულად აწიოკებს ოპონენტებს.

მას მერე, რაც ტრეისი ტეხასელებს დაუბრუნდა, გუნდმა 9 მატჩი გამართა და მხოლოდ ერთხელ დამარცხდა, მნიშვნელოვნად გამოიკეთა სატურნირო მდგომარეობა და ალბათ, ნელ-ნელა იმ გუნდს დაემსგავსა, რომელსაც სეზონის დაწყებამდე ჩემპიონობის ერთ-ერთ კანდიდატად მიიჩნევდნენ.

"ჰიუსტონმა" ზედიზედ მერვე საგარეო გამარჯვება მოიპოვა, მაკგრეიდიმ კი ამჯერად თავისი უნივერსალიზმი ერთხელაც წარმოაჩინა და 26 ქულას შვიდი ზუსტი პასი, ექვსი მოხსნა და მატჩის მიწურულს ორი უმნიშვნელოვანესი სროლა მიაყოლა. "ჰიუსტონმა" ბოლო მატჩებში მოღონიერებულ "მინესოტას" გასვლაზე აჯობა.

*"ტრეისი ჩვენი გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელივიდაა. Მისი გამოცდილება, ნიჭი და ლტოლვა ყველას გვასაზრდოებს და იმედი მაქვს, რომ მას ჯანმრთელობის მხრივ პრობლემები აღარ შეექმნება"*, - ამბობს მინი, რომელმაც ამჯერად დათმო ჯახი **რიჩარდ ჯეფერსონთან** და შეხვედრა მისთვის მოკრძალებული 16 ქულით დაასრულა.

მიუხედავად იმისა, რომ ტრეისიმ 7 შეცდომით ამ ჩემპიონატის პირადი ანტირეკორდი დაამყარა, სწორედ მან მოაგებინა "როკეტსს". ძირითადის დასრულებამდე 1 წუთითა და 38 წამით ადრე, ჯეფერსონმა მასპინძლები ერთი ქულით დააწინაურა, რასაც ტრეისიმ წუთშესვენების მერე, საშუალო სროლით უპასუხა. "მგლები" ერთხელაც შეცდნენ და კვლავ მაკგრეიდიმ გაისროლა (ამჯერად სამქულიანი), დარჩენილ წამებში კი "ჰიუსტონმა" არათუ შეინარჩუნა ოთხქულიანი ჰანდიკაპი, არამედ კიდევ მოწყდა გამარჯვებებს მონყურებულ მონინაალმდეგეს.

*"ტრეისი საკმაოდ შორს არის ოპტიმალური კონდიციებისგან, თუმცა იმედი გვაქვს, რომ მისი ამჟამინდელი ფორმაც კი ბევრ გამარჯვებას მოგვაპოვებინებს"*, - მიაჩნია "ჰიუსტონის" მთავარ მწვრთნელს, გამოცდილ **რიკ ადელმანს**.

არადა, "ჰიუსტონს" დრამატულ დასასრულამდე საქმე ნამდვილად არ უნდა მიეყვანა – ძირითადის დასრულებას 7 წუთი რომ უკლდა, სტუმრები არგენტინელი **ლუის სკოლას** აქტიურობითა და **რაფერ ალსტონის** რამდენიმე ზუსტი სროლით, 75:65 გავიდნენ წინ. ჯეფერსონმა და **კრეიგ სმიტმა** იყოჩაღეს, დაცვაში **რაიან გომესმა** გამოილო ფხა და ანგარიში გათანაბრდა.

ადელმანს ამჯერადაც არ ჰყოლია ორი სათადარიგო უკანახაზელი. **სტივ ფრენსისი** ჯერაც მიკროტრავმას იშუშებს და სავარაუდოდ, მოედანზე ორი კვირის შემდეგ თუ გავა, ხოლო "მინესოტის" ყოფილი წევრი **მაიკ ჯეიმსი** კი გუნდმა ტრანსფერზე დააყენა, რადგან ამ ახალგაზრდამ მასზე გაცემული ავანსები ვერ გაამართლა.

### კვირის მოთამაშეები

ზედიზედ მეორე კვირაა, აღმოსავლეთი კონფერენციის საუკეთესო მოთამაშედ "ორლანდო მეჯიქის" თურქი მცველი **ჰედო თურქოგლუ** დასახელდა. გასულ კვირას, ეს კალათბურთელი საშუალოდ მატჩში 24.3 ქულას, 8.0 მოხსნასა და 6.3 შედეგიან გადაცემას აგროვებდა. სწორედ ჰედოს ყველაზე დიდი წვლილია იმაში, რომ "ორლანდომ" წინა შვიდ დღეში, 3-დან სამივე შეხვედრა მოიგო.

დასავლეთის რჩეული გახდა "საკრამენტო კინგზის" ცენტრი **ბრედ მილერი**. მან სამივე მატჩში ორმაგი დუბლის გაკეთება შეძლო, ხოლო ოთხშაბათს, "შარლოტთან" მატჩში, მილერი **კრის უებერის** შემდეგ კლუბის პირველი მოთამაშე გახდა, ვინც ერთ შეხვედრაში 20-ზე მეტი ქულა და მოხსნა მიითვალა.

**ზურაბ თალაკვაძე**

**მინესოტა-ჰიუსტონი 86:92**

18:24, 24:23, 21:19, 23:26

**მინესოტა:** ე. ჯეფერსონი (33 ქ. 16 მ. 3 ჩ. 3 დ), მაკკენტსი (15 ქ), გომესი (12 ქ. 6 მ).

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (26 ქ. 7 პ. 6 მ), მინი (16 ქ. 5 მ. 2 ჩ), ლანდრი (13 ქ. 7 მ), ალსტონი (12 ქ. 8 პ. 6 მ. 2 ჩ), სკოლა (11 ქ. 8 მ).

**სიეტლი-ჩიკაგო 106:118**

25:27, 24:29, 24:27, 35:35

**სიეტლი:** შჩერბიაკი (21 ქ), დიურანი (20 ქ. 3 ჩ), უილკოქსი (13 ქ), დელონტე უესტი (11 ქ), რიდნური (11 ქ), ე. უოტსონი (10 ქ. 8 პ), პეტრო (10 ქ. 2 დ).

**ჩიკაგო:** ჯო სმიტი (25 ქ. 10 მ. 2 ჩ), გორდონი (20 ქ), ჰაინრიხი (15 ქ. 5 პ. 2 ჩ), ნოჩიონი (14 ქ), გრეი (14 ქ. 2 ჩ), სეფოლოშა (10 ქ. 9 მ), ბ. უოლასი (7 ქ. 10 მ. 7 პ. 3 ჩ).

**ატლანტა-ფილადელფია 96:91**

14:32, 30:18, 28:20, 24:21

**ატლანტა:** ჩილდრესი (21 ქ. 6 მ), ჯოშ სმიტი (19 ქ. 9 პ. 9 დ. 6 მ), ჯო ჯონსონი (18 ქ), ლიუ (11 ქ), **ზაზა ფაჩულია (7 ქ. 7 მ. 2 პ. 1 დ)**.

**ფილადელფია:** ა. მილერი (29 ქ. 6 მ. 6 პ. 2 ჩ), იგუოდალა (22 ქ. 7 მ. 3 ჩ), ტ. იანგი (11 ქ. 6 მ), უ. გრინი (10 ქ), დალემბერი (9 ქ. 13 მ. 5 დ).

**იუტა-ნიუ ორლეანი 110:88**

21:20, 29:19, 32:23, 28:26

**იუტა:** დ. უილიამსი (29 ქ. 11 პ), კორვერი (20 ქ), ბუზერი (19 ქ. 17 მ), ოქური (14 ქ. 7 მ. 3 ჩ), რ. ბრიუერი (11 ქ. 4 ჩ).

**ნიუ ორლეანი:** პარგო (24 ქ. 2 ჩ), პიტერსონი (16 ქ), დევიდ უესტი (12 ქ. 3 დ), სტოიაკოვიჩი (12 ქ), ჩენდლერი (8 ქ. 11 მ).

**ორლანდო-დალასი 98:107**

16:29, 25:26, 23:16, 34:36

**ორლანდო:** დ. ჰოვარდი (28 ქ. 7 მ. 2 ჩ), მ. ევანსი (16 ქ), დულინგი (14 ქ), თურქოღლუ (13 ქ. 13 პ. 12 მ), რ. ლიუისი (13 ქ. 2 დ), აროიო (12 ქ).

**დალასი:** ჯოშ ჰოვარდი (28 ქ. 7 მ), ნოვიცკი (20 ქ. 9 მ. 5 პ), ტერი (20 ქ), ბასი (16 ქ. 6 მ. 2 ჩ).

**პორტლენდი-დენვერი 103:105 (ო)**

14:20, 30:30, 34:28, 22:22, 3:5

**პორტლენდი:** როი (26 ქ. 8 პ. 7 მ. 2 ჩ), ჯეკი (17 ქ. 9 მ. 9 პ. 3 ჩ), უებსტერი (17 ქ), ბლეიკი (11 ქ. 9 პ. 2 ჩ), ოლდრიჯი (4 ქ. 12 მ. 4 დ. 3 ჩ).

**დენვერი:** ენტონი (28 ქ. 15 მ. 5 პ), აივერსონი (25 ქ. 8 პ. 6 მ. 3 ჩ), კლეიზა (15 ქ), კენიონ მარტინი (13 ქ. 11 მ. 2 დ), ჯეი. არ. სმიტი (10 ქ).

**ფინიქსი-შარლოტი 118:104**

31:26, 23:25, 33:23, 31:30

**ფინიქსი:** ბარბოსა (30 ქ), ა. სტაუდმაიერი (24 ქ. 11 მ. 4 დ), რ. ბელი (24 ქ), მერიონი (14 ქ. 7 მ. 3 ჩ), ნეში (8 ქ. 11 პ).

**შარლოტი:** ჯ. რიჩარდსონი (25 ქ. 2 ჩ), ოკაფორი (18 ქ. 13 მ. 2 დ), ფელტონი (18 ქ. 2 ჩ), მოჰამედი (12 ქ. 11 მ).

**მაიამი-ტორონტო 82:114**

12:33, 29:26, 21:30, 20:25

**მაიამი:** დ. რაიტი (17 ქ. 8 მ), უეიდი (12 ქ. 2 ჩ), ბლაუნტი (12 ქ), ქვინი (11 ქ), ე. ჯონსონი (10 ქ. 10 მ).

**ტორონტო:** ბოში (24 ქ), ბარნიანი (22 ქ), ე. პარკერი (18 ქ), კაპონო (13 ქ. 4 ჩ), კალდერონი (11 ქ. 10 პ).

**ნიუ იორკი-კლიპერსი 94:103**

30:31, 30:20, 14:28, 20:24

**ნიუ იორკი:** კარი (19 ქ. 2 დ), ჯ. კროუფორდი (18 ქ), კ. რიჩარდსონი (14 ქ), ზ. რენდოლფი (12 ქ. 9 მ), ფ. ჯოუნსი (11 ქ. 7 მ).

**კლიპერსი:** მაგეტი (19 ქ. 6 მ), კამანი (15 ქ. 9 მ. 3 დ), მობლი (14 ქ. 5 პ. 2 ჩ), პაუელი (13 ქ. 8 მ), კასელი (13 ქ. 7 პ), ტორნტონი (11 ქ), ტიმ ტომასი (10 ქ. 2 ჩ).




# საუკეთესო ევროპელები

როგორც ცნობილია, ორშაბათს მადრიდში ევროლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის კენჭისყრა გაიმართა. ამ მნიშვნელოვანი მოვლენის პარალელურად, ULEB-მა იმ 50 ადამიანის ვინაობა დაასახელა, რომლებმაც ყველაზე დიდი როლი ითამაშეს ევროპული კალათბურთის განვითარებაში. ამ სიაში 35 კალათბურთელი, 10 მწვრთნელი და 5 არბიტრი მოხვდა.

არჩევის პროცედურა ევროლიგის ექსპერტთა კომიტეტმა ჩაატარა, რომელსაც სათავეში ედგა FIBA-ს საპატიო გენერალური მდივანი **ბორისლავ სტანკოვიჩი**, ვიცე-პრეზიდენტი კი, ULEB-ის შეფი **ედუარდო პორტელა** გახლდათ.

წილისყრაში მონაწილეობას იღებდნენ: ორი მოთამაშე (რუსი **სერგეი ბელოვი** და იტალიელი **დინო მენეგინი**), ორი მწვრთნელი (ესპანელი **ლოლო საინსი** და ამერიკელი **დენ პიტერსონი**), თელ-ავივის "მაკაბის" პრეზიდენტი **შიმონ მიზრაჰი** და პრესის ერთი წარმომადგენელი (**ჟან-ლუკ ტომასი** ფრანგული გაზეთ "ეკიპიდან". სწორედ ამ გაზეთის ინიციატივით ჩატარდა ევროპაში პირველი საკლუბო ტურნირები).

აი როგორი იყო ამ კომისიის არჩევანი

**მოთამაშეები**

ფრანცისკოს ალვერტისი
სერგეი ბელოვი
მიკი ბერკოვიჩი
დეიან ბოდიროგა
უეინ ბრაბენდერი
მაიკ დ'ანტონი
დრაჟენ დალიპაგიჩი
პრედრაგ დანილოვიჩი
მირზა დელიბაშიჩი
ვლადე დივაცი
ალექსანდრ ჯორჯევიჩი
ნიკოს გალისი
მანუ ჯინობილი
რადივოე კორაჩი
ხუან ანტონიო კორბალანი
ტონი კუკოჩი
კლიფორდ ლიუკი
პიერლუიჯი მარცორატი
ბობ მაკადუ
დინო მენეგინი
ბობ მორსი
ალდო ოსოლა
თეოდოროს პაპალუკასი
ენტონი პარკერი
დრაჟენ პეტროვიჩი
დინო რაჯა
მანუელ რაგა
ანტონელო რივა
ემილიანო როდრიგესი
არვიდას საბონისი
ხუან ანტონიო სან-ეპიფანიო
კრასიმირ ჩოსიჩი
უოლტერ შჩერბიაკი
პანაიოტის იანაკისი
შარუნას იასიკიავიჩუსი

**მწვრთნელები**

პედრო ფერნანდესი
პინი გერშონი
ალექსანდრ გომელსკი
დუშან ივკოვიჩი
ბოჟიდარ მალკოვიჩი
ეტორე მესინა
ალექსანდრ ნიკოლიჩი
ჟელიმირ ობრადოვიჩი
დენ პიტერსონი
ლოლო საინსი

## ავტოსპორტი

რასიზმი სპორტში

# ესპანეთმა შეიძლება ორივე დიდი პრიზი დაკარგოს

ის, რაც ამ დღეებში ბარსელონას "კატალუნია მონტმელოს" ავტოდრომზე ხდებოდა, შეიძლება ესპანეთს ფორმულა ერთის ორივე ეტაპის – ესპანეთისა და ევროპის დიდი პრიზების დაკარგვის ფასად დაუჯდეს. ხდებოდა კი ის, რომ ოფიციალური სატესტო სესიების დროს, პადოკებში სიარულისას, მსოფლიოს ვიცე ჩემპიონ, ბრიტანელ **ლუის ჰემილტონს** რასისტული გამოხტომების მოთმენა უწევდა.

საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციამ (ფია – ფედერასიონ ინტერნასიონალ აუტომობილ) გააკეთა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ "მონტმელოზე" მომხდარ ინციდენტს შეიძლება სანქციები მოჰყვეს. ოღონდ, სანამ საქმე სანქციებამდე მივიდოდეს, საქმე დაწვრილებით შესწავლას საჭიროებს.




ლუის ჰემილტონ

გადაწყვეტილების მიღებამდე, ფიამ ესპანეთის სამართალდამცავებს მიმართვა გაუგზავნა, რომელშიც მომხდარის გამოძიებას და საქმის მასალების მისთვის გადაგზავნას ითხოვს.

*"ფორმულა ერთი გლობალური, მრავალკულტურული სპორტია. ჩვენს სპორტში მსგავსი შემთხვევები ადრე არასოდეს მომხდარა და ვიმედოვნებთ, რომ ბარსელონაში მომხდარი ინციდენტი ერთეულ გამონაკლისად დარჩება"*, - ნათქვამია ფია-ს განცხადებაში.

ესპანეთში სწორედ ჰემილტონს ადანაშაულებენ იმაში, რომ მათმა ფავორიტმა, ესპანელმა **ფერნანდო ალონსომ** მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის ზედიზედ მესამედ მოპოვება ვერ შეძლო. უფრო მეტიც, ესპანელებს სჯერათ, რომ ჰემილტონი რომ არა, "მაკლარენი" მთელ თავის მონდომებას და გამოცდილებას სწორედ ალონსოს მოახმარდა, რომელიც იოლად შეძლებდა "ფერარის" ფინელი **კიმი რაიკონენის** დამარცხებას.

მაყურებელთა ნაწილი, იმ დროს, როდესაც ჰემილტონი პადოკში გამოჩნდებოდა, მას უხამსი შეძახილებით აცილებდა. ზოგს კი სახე შავად შეღებილი და ტანზე მაისურები ეცვა წარწერით, "ჰემილტონის ოჯახი", მათ კი სხვები შეურაცხყოფას აყენებდნენ. ტრასის დირექცია ირწმუნება, რომ რასიზმში ეჭვმიტანილი მაყურებლების წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელს შეიტანს, რომლითაც მათ რასიზმში დაადანაშაულებენ.

*"მე ძალიან მიყვარს ეს ქვეყანა, მისი ხალხი, მაგრამ ასეთ რამეს როცა ვხედავ, გული მწყდება. მსოფლიო ჩემპიონატის ტრასებიდან სამს გამოვარჩევ და ამ სამეულში ბარსელონას ტრასაც შედის. მაგრამ რაც აქ ხდება, ეს ნამდვილად არ არის სასიამოვნო"*, - ამბობს ჰემილტონი და დასძენს: *"მინდა, ესპანელმა ქომაგმა გაიგოს ჩემი მდგომარეობა. ერთადერთი, რასაც მე წინა ჩემპიონატში ვცდილობდი, ის იყო, რომ მთელი ჩემი შესაძლებლობები გამომეყენებინა ტიტულის მოსაპოვებლად. ჩემსა და ფერნანდოს შორის მეტად დაძაბული პაექრობა მიმდინარეობდა, რამაც საბოლოოდ, ესპანელ მაყურებელს ჩემი თავი შეაძულა"*.

სხვათა შორის, კვირის ტესტების შემდეგ, ჰემილტონს ესპანელი მაყურებელი გულთბილად დახვდა, ბრიტანელ პილოტს ბევრი ავტოგრაფის გაცემაც მოუხდა და ფოტოსესიისთვის პადოკის გარეთ კარგა ხნით შეყოვნებაც მოუხდა. რა თქმა უნდა, ამ დროს არანაირი ინციდენტი აღარ მომხდარა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## სამთო თხილამურები

ამომავალი ვარსკვლავი

# შვეიცარიელების ახალი იმედი

სამთო სათხილამურო სპორტში ახალი შვეიცარიელი ვარსკვლავი გამოჩნდა, რომლის სახელი **ლარა გუტია**. თინეიჯერმა მოთხილამურემ რამდენიმე დღის წინ, შვეიცარიის სენ მორიცში ჩატარებულ დაშვების ეტაპზე, მიუხედავად იმისა, რომ ფინიშის ხაზი წაქცეულმა გადაკვეთა, მესამე ადგილი დაიკავა, მეორე დღეს კი, სუპერგიგანტში მეხუთე შედეგი აჩვენა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შვეიცარიელებს ახალი ვარსკვლავი ამოუბრწყინდათ.

რომ არა ის წაქცევა, 16 წლის მოთხილამურეს მოგებაც კი შეეძლო. შეგახსენებთ, რომ ის რბოლა სლოვენიელმა **ტინა მაზემ** მოიგო, ვისაც დაშვებაში ადრე თავი არასოდეს გამოუჩენია. გამარჯვებაში კი მას ხელი ამინდმა შეუწყო, რომელიც ფავორიტების გამოსვლისას, ასპარეზობის მონაწილეებს უხვი თოვლით და სქელი ნისლით გაუმასპინძლდა, აუტსაიდერების ჯერი რომ დადგა, სწორედ მაშინ გამოიდარა. და... ძლიერთა და სუსტთა შანსებიც გათანაბრდა.

ბოლო შვეიცარიელი ქალი მოთხილამურე, ვინც მსოფლიო თასს ფლობდა, **ვრენი შნაიდერია**, რომელმაც ეს 1995 წელს შეძლო. მას შემდეგ კი, მსოფლიო თასის ეტაპებზე, შიგადაშიგ თავის გამოჩენას ახერხებდნენ **სონია ნეფი**, ვინც 2001 წელს გიგანტურ სლალომში მსოფლიო ჩემპიონი გახდა და დაშვების სპეციალისტი **კორინ რეიბელეტი**, ვინც ორი წლის წინ მოკლეს.

და აი, გუტის ბრწყინვალე დებიუტით, შვეიცარიელებს იმედი ჩაესახათ, რომ მათ შნაიდერის, **მარია ვალიზერისა** და **მიშელა ფიჯინის** დონის ვარსკვლავი გამოუჩნდათ.

გუტი ამბობს, რომ სენ მორიცის დაშვებაში მიღწეულით თავადაც გაოცებული დარჩა. თანაც, ეს წაქცეულმა შეძლო: *"წარმოდგენაც არ მაქვს, რა მოხდა. უცებ აღმოვაჩინე, რომ ზურგზე ვეგდე და ქვევით საშინელი სიჩქარით მივექანებოდი. ფინიშიც ასე გავიარე. რომ გავჩერდი, ტაბლოს გავხედე და თვალებს არ დავუჯერე. ეს გიჟური რბოლა არასოდეს დამავიწყდება. მსოფლიო თასზე პირველივე რბოლა კვარცხლბეკზე ასვლით დავასრულე. ეს მართლაც ფანტასტიკურია"*, - ნარბოლევს განაცხადა გუტმა და ისიც აღიარა, რომ მის წარმატებას ხელი ცვალებადმა ამინდმა შეუწყო. თუმცა, იქვე გაიხსენა, რომ კორვილიას ფერდობი მისთვის იღბლიანია – აქ მას ევროპის თასზე ორჯერ უასპარეზია და ორივე შემთხვევაში, კვარცხლბეკზე ასვლა შეძლო.

ბრწყინვალე დებიუტის მიუხედავად, გუტი, ვინც შარშან, გერმანიის ფლახაუში, 21 წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი მოიპოვა, თვლის, რომ მსოფლიო თასზე დიდი მიზნების დასახვა მისთვის ჯერ მეტისმეტად ნაადრევია.

*"მე ჯერ 16 წლის ვარ და ძალიან მინდა, რომ ჩემი ასაკის შესაფერის ტურნირებში მოვიპოვო მედლები, მერე კი ევროპის თასს დავეუფლო. ამ ეტაპზე, ჩემთვის მსოფლიო თასზე ასპარეზობა პრიორიტეტული არაა. ვნახოთ, იქნებ აქ მერმის გამოვიდე. თუმცა, ჯერ გადაწყვეტილი არც ეს მაქვს"*, - ამბობს გუტი, ვინც მსოფლიო თასზე სენტ მორიცამდე სამჯერ სცადა გამოსვლა, მაგრამ ერთხელ დაეცა (კორტინა დ'ამპეცოს სუპერგიგანტზე), ორჯერ კი გიგანტური სლალომის რბოლაზე კვალიფიცირება ვერ შეძლო.




ლარა გუტი

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## TV სპორტი

### 6 თებერვალი. ოთხშაბათი

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**13:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**13:20** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
**15:10** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
**17:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**17:15** გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**18:15** ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
**18:45** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
**20:35** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:55** ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-მანჩესტერ იუნ.
**22:45** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**23:00** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
**00:50** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**01:50** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**SPORT 1 (უკრაინა)**

**09:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი.
**10:00** სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
**10:14** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**11:13** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ ჯერსი-პიტსბურგი.
**13:01** ჩემი სპორტი.
**13:28** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-არსენალი.
**15:15** ფეხბურთი. Barca TV.
**15:22** სპორტდოსიე.
**15:50** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ხეტაფე-ესპანიოლი.
**17:37** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**18:03** ფეხბურთი. Barca TV.
**18:11** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-მილანი.
**19:56** ფეხბურთი. Barca TV.
**20:02** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**20:30** სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
**20:45** რეტრო-ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1998-99. ფინალი. მანჩესტერი-ბაიერნი.
**22:40** სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
**22:52** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-ფილადელფია.
**00:40** სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
**00:52** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**01:29** კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა. ტელეჟურნალი.
**02:00** სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
**02:12** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-არსენალი.
**03:59** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**04:56** სპორტდოსიე.
**05:22** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**06:00** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ედმონტონი-ჩიკაგო (LIVE).

**EUROSPORT**

**11:30** ექსტრემალური სპორტი.
**12:00** ფეხბურთი. აფრიკის თასი. ლეგენდები. კამერუნი.
**13:00** ფეხბურთი. აფრიკის თასი. ლეგენდები. ტუნისი. 2004.
**14:30** ფეხბურთი. ევრო 2008.
**15:00** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. III დღე. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
**18:30** სნუკერი. მალტის თასი. III დღე (LIVE).
**21:00** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**21:15** მულტისპორტი.
**21:20** ცხენოსნობა. მსოფლიო თასი. ბორდო. საფრანგეთი.
**22:20** ახალი ამბები.
**22:25** გოლფი. PGA-ს ტური.
**23:25** გოლფი. ევროპის ტური.
**23:55** გოლფ-კლუბი.
**00:00** აფროსნობა.
**00:30** აფროსნობა. იახტ-კლუბი.
**00:25** აფროსნობა.
**00:40** მულტისპორტი.
**00:45** ოლიმპიური დღიური. ტელეჟურნალი.
**01:15** სნუკერი. მალტის თასი. III დღე.
**02:00** ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩები.
**03:00** სნუკერი. მალტის თასი. III დღე.
**04:00** ოლიმპიური დღიური. ტელეჟურნალი.

**EUROSPORT-2**

**10:30** ახალი ამბები.
**13:00** ფეხბურთი. ევრო 2008.
**14:00** ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. სან ხოსე-მინესოტა.
**15:00** ახალი ამბები.
**17:00** ფეხბურთი. აფრიკის თასი. 1/4 ფინალი. განა.
**18:00** ენდურო. მსოფლიო თასი. გენუა. იტალია.
**19:00** ფეხბურთი. ევრო 2008.
**20:30** ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
**21:00** ახალი ამბები.
**21:30** ფრისტაილი. მსოფლიო თასი. ავსტრია.
**22:00** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. III დღე. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
**23:45** სნუკერი. მალტის თასი. III დღე (LIVE).
**01:00** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მიმოხილვა.
**01:30** პრო-რესტლინგი.
**02:00** ახალი ამბები.
**02:15** ექსტრემალური სპორტი.
**02:45** ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ევრო 2009**

| UNDER 21 | |
|---|---|
| ინგლისი-ირლანდია | 3:0 |
| მალტა-უელსი | 0:4 |

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| საბერძნეთი-ჩეხეთი | 1:0 |
| შვედეთი (U21)-უკრაინა (U21) | 1:0 |
| გერმანია (U21)-ბელგია (U21) | 2:1 |
| პორტუგალ. (U21)-შოტლანდია (U21) | 2:1 |
| ნორვეგია (U21)-ავსტრია (U21) | 2:3 |
| ესპანეთი (U21)-საფრანგეთი (U21) | 2:0 |

**ინგლისი**

| I ლიგა | |
|---|---|
| როვერსი-ჩელტენემი | 2:0 |

| II ლიგა | |
|---|---|
| ბერი-სტოკპორტი | 2:3 |
| მაკლსფილდი-ლინკოლნი | 1:2 |
| როჩდეილი-ბარნეტი | გადაიდო |

| შოტლანდიის თასი | |
|---|---|
| მოზერველი-დანდი | გადაიდო |

| შოტლანდიის ლიგის თასი | |
|---|---|
| აბერდინი-დანდი იუნ | 1:4 |

### ჩოგბურთი

| WTA. პარიზი | |
|---|---|
| მედინა გარიგესი-კვიტოვა | 2:6, 3:6 |
| ტუ-გარბინი | 3:6, 4:6 |
| შავაი-გოვორცოვა | 6:1, 6:1 |
| პინი-ციბულკოვა | 5:7, 3:6 |
| ფედაკი-კნაპი | 7:6, 4:6, 6:2 |
| მორესმო-დიტი | 6:1, 6:2 |
| პეტროვა-კ. ბონდარენკო | 6:7, 6:3, 4:6 |

| WTA. პატაია | |
|---|---|
| ბიჩკოვა-შვედოვა | 3:6, 7:6, 6:3 |
| კუდრიავცევა-პუჩკოვა | 2:6, 3:6 |
| კრეიბასი-სავჩუკი | 6:1, 6:1 |
| ჩინკი-ვორაკოვა | 3:6, 1:6 |
| ზახვალოვა-ამანმურადოვა | 3:6, 2:6 |
| კერბერი-იუანი | 6:3, 7:5 |
| ოსტერლო-ჟანგი | 7:5, 6:2 |
| ტანასუგარნი-როდიონოვა | 6:2, 6:1 |

კალათბურთი

### დევეინ ჯორჯმა გაცვლა მოითხოვა

"დალას მავერიქსის" მცველმა **დევეინ ჯორჯმა** კლუბის ხელმძღვანელობას სხვა კლუბში გაშვება სთხოვა. კალათბურთელმა ამის მიზეზად არასაკმარისი სათამაშო დრო დაასახელა.

"მე უნდა ვითამაშო. ადრე ტრავმები მქონდა, მაგრამ ახლა ყველაფერი წესრიგში მაქვს და უნდა დავამტკიცო, რომ შემიძლია გუნდისთვის სარგებლობის მოტანა. ახლა კი, სინამდვილეში უმუშევარი მგონია თავი", - მოჰყავს ჯორჯის სიტყვები სააგენტო AP-ს.

### გერშონი იანაკისმა შეცვალა

როგორც უკვე ვიუწყებოდით, საბერძნეთის "ოლიმპიაკოსის" ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვა **პინი გერშონი**. ამ სპეციალისტს უკვე მოუძებნეს შემცვლელი - როგორც მოსალოდნელი იყო, "ოლიმპიაკოსს" საბერძნეთის ნაკრების დამრიგებელი **პანაიოტის იანაკისი** ჩაუდგება სათავეში. კლუბის ხელმძღვანელობამ ლეგენდარულ კალათბურთელს 2.5-წლიანი კონტრაქტი შესთავაზა.

სამწვრთნელო დონეზე იანაკისის მთავარი მიღწევა 2005 წლის ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვებაა. გარდა ამისა, ბერძნებმა 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ვერცხლის მედლები მოიპოვეს. იანაკისის მიერ გაწვრთნილი ბოლო კლუბი ათენის "მარუსი" იყო - ის ამ გუნდში 2002-06 წლებში მუშაობდა.

ფორმულა 1

### შუმახერი უმცროს საინსს პატრონობს

მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი **მიხაელ შუმახერი** ახალ ტალანტებს ეძებს. გერმანელმა პილოტმა რალიში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, **კარლოს საინსის** ვაჟი კარტინგის საკუთარ პროფესიონალურ გუნდში, KMS-ში აიყვანა.

*"მეც კარტინგით ვიწყებდი კარიერას. საიდუმლო არ არის, რომ სპორტის ეს სახეობა ძირითადი განმსაზღვრელია მთელი მომდევნო კარიერისთვის. იმედი მაქვს, ჩემი გუნდიდან რამდენიმე პილოტი ფორმულა 1-ის დონემდე გაიზრდება"*, - აცხადებს შუმახერი.

კარლოს საინსი-უმცროსი პირველად სტარტზე თებერვალში, გერმანიის ქალაქ კერპენში გავა, სადაც ავტოსპორტის ზეიმი - Deutsche Kart-Meisterschaft გაიმართება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სხვადასხვა

ჰოკეი

### ედმონტონმა ბომბარდირი დაკარგა

ისედაც კრიზისში მყოფი "ედმონტონ ოილერზი" კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამ გუნდს სეზონის ბოლომდე გამოაკლდა თავისი საუკეთესო ბომბარდირი **შონ ჰორკოფი**. "ყველა ვარსკვლავის მატჩის" დროს, რომელიც 27 იანვარს გაიმართა, ჰორკოფი ყინულზე დაეცა და მარცხენა მხარის ტრავმა გაიმიზეზა, რომლის გამოც, მთელი სეზონი ისედაც გამაყუჩებელი ნემსებით თამაშობდა.

სამედიცინო გამოკვლევამ აჩვენა, რომ თავდამსხმელს სასწრაფო ოპერაცია ესაჭიროება, რომლის შემდეგაც აღდგენითი პროცესი საკმაოდ დიდ დროს დაიკავებს.

ჰორკოფმა ამ სეზონში 53 მატჩის გამართვა მოასწრო, რომლის დროსაც 50 ქულა დააგროვა.

### სენატორები ერთმანეთს დაერივნენ

აღმოსავლეთი კონფერენციის ლიდერი "ოტავა სენატორზი" კრიზისშია. ამ გუნდს ბოლო 10 მატჩში 7 ნაგება დაუგროვდა. როგორც ჩანს, ამგვარი სიტუაცია მოთამაშეებსაც გადაედოთ, რისი დამადასტურებელიცაა ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე მეკარე **რეი ემერისა** და ძალისმიერ ფორვარდ **კრის ნილს** შორის მომხდარი ჩხუბი.

*"მე უბრალოდ შაიბას დავარტყი. არც კი ვიცი, მოხვდა თუ არა ის ემერის. მან რამდენიმე უსიამოვნო ფრაზა მესროლა, მე კი ის ადამიანი ვარ, ვინც მსგავს რამეებზე პასუხის გაცემა იცის"*, - განაცხადა ნილმა.

ემერის მომხდარზე კომენტარი არ გაუკეთებია. მან განაცხადა, რომ ახლა მისი პერსონის მიმართ პრესის გადამეტებული ყურადღება ნაკლებად სასურველია. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ, კლუბმა ვარჯიშზე დაგვიანებისთვის დასაჯა გოლკიპერი. გარდა ამისა, ემერის სეზონის განმავლობაში ხშირად ჰქონდა კონფლიქტები პარტნიორებთან.

### შჩასტნი მალე დაბრუნდება

"კოლორადო ეველანშის" ერთ-ერთი ლიდერი **პოლ შჩასტნი** ამ კვირის ბოლოს დაუბრუნდება რეგულარულ ჩემპიონატს.

როგორც იცით, ლიგის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდა დაახლოებით სამი კვირა არ თამაშობდა ტრავმის გამო. სააგენტო "როიტერის" ცნობით, შჩასტნის ჯერ არ განუახლებია ყინულზე ვარჯიში, მაგრამ ექიმების თქმით, ეს ჰოკეისტისთვის დიდ პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს.

ჩოგბურთი

### სუარესი გათხოვდა

31 წლის არგენტინელი **პაულა სუარესი** ესპანელ მამაკაცზე დაქორწინდა. ამ უკანასკნელის ვინაობა ცნობილი არ არის. ჟურნალისტებმა მხოლოდ ის იციან, რომ სუარესს მომავალი ქმარი წყვილთა თანრიგში მისმა პარტნიორმა, ესპანელმა ჩოგბურთელმა **ვირხინია რუანო პასკუალმა** დუბაის ტურნირის დროს გააცნო.

სუარესი წყვილთა თანრიგში თამაშის სპეციალისტად ითვლება. აქ მას კარიერაში 44 ტიტული აქვს მოპოვებული, აქედან შვიდჯერ "დიდი სლემის" ტურნირებზე იმარჯვა. გარდა ამისა, არგენტინელმა ერთეულებშიც შეძლო 4 ტურნირის მოგება.

### ივანოვიჩმა შარაპოვას გაასწრო

ჟურნალ ASKMEN-ის მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში, სერბმა ჩოგბურთელმა **ანა ივანოვიჩმა** მსოფლიოს ყველაზე სასურველი ქალების სიაში რუს **მარია შარაპოვას** გაასწრო.

Askmen-ის შედგენილ რეიტინგში ძირითადად მოდელები, მომღერლები და მსახიობები მოხვდნენ. აქ სპორტსმენი მხოლოდ ორია - ივანოვიჩი და შარაპოვა. სერბს 73-ე ადგილი ერგო, მარია კი, ერთი საფეხურით დაბლა იმყოფება.

## ჩოგბურთი



ინტერვიუ ელენა იანკოვიჩთან

# არშემდგარი პიანისტი

**გასულ უიქ ენდზე, ქალთა გუნდური მსოფლიო ჩემპიონატის - ფედერაციის თასის პირველი ეტაპის მატჩები გაიმართა. ჩოგბურთის ბევრმა მოყვარულმა კურიოზად მონათლა ის ფაქტი, რომ მსოფლიო ჯგუფში თამაშობდა მაგალითად, ისრაელის ნაკრები და ამ დროს, ქვედა დივიზიონში უწევდა ბრძოლა სერბეთის ნაკრებს, რომელსაც თანამედროვე ჩოგბურთის ორი ვარსკვლავი - ელენა იანკოვიჩი და ანა ივანოვიჩი ჰყავს.**

**სერბებმა ამ გაუგებრობის გამოსწორება დაიწყეს და ევრო-აფრიკულ ზონაში პირველი მატჩი მოიგეს. გუნდი ბრძოლას აპრილში გააგრძელებს. მანამდე კი, სერბთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერს, ელენა იანკოვიჩს ჟურნალ TENNIS-ის მეშვეობით გულშემატკივრები გაესაუბრნენ.**

**- როდის მოიგებს სერბეთის ნაკრები ფედერაციის თასს?**

- ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ ეს მალე მოხდება. უდიდესი პოტენციალი გვაქვს, ახალგაზრდები და ნიჭიერები ვართ, ასე რომ, ჩვენი დრო აუცილებლად დადგება.

**- დღეს სერბული ჩოგბურთის ფენომენზე ძალიან ბევრს წერენ. არ დაიღალეთ მუდმივად თქვენს ნიჭზე საუბრით.**

- გეთანხმებით, ეს უკვე მოძველებული თემაა. აღარავისთვის არ არის საიდუმლო, რომ სერბი ჩოგბურთელები მსოფლიო ჩოგბურთის ელიტაში შედიან. ჩვენ წარმატებით ვუწევთ კონკურენციას სხვა ვარსკვლავებს და ყველაფერს ვაკეთებთ, რაც ჩვენზეა დამოკიდებული. ძალიან მიხარია, რომ ხუთ საუკეთესო ჩოგბურთელს შორის, სამი სერბია შესული.

**- ვინ არიან პროფესიონალ მოთამაშეებს შორის თქვენი საუკეთესო მეგობრები?**

- პროფესიულ ჩოგბურთში ჩემი საუკეთესო მეგობრები - ბიჭები არიან (იცინის). რა თქმა უნდა, ქალ მოთამაშეებთანაც ვმეგობრობ, მაგრამ ნამდვილ მეგობრებად მხოლოდ იმათ დავასახელებ, რომლებიც ATP-ის ტურში თამაშობენ.

**- კონკრეტულად ხომ ვერ დაგვისახელებთ?**

- ამჯერად თავს შევიკავებ. სინამდვილეში, კორტის მიღმა ბევრი მეგობარი მყავს. როცა შინ ვბრუნდები, ყოველთვის მიხარია მათი ხილვა.

**- ვინ არის თქვენი აზრით, ქალთა ტურის ყველაზე გამორჩეული და თვითმყოფადი მოთამაშე?**

- ალბათ, სერენა უილიამსი. ის ქარიზმატული პიროვნებაა, მხიარულება და სხვების გართობა უყვარს. სასიამოვნოა მისთვის თვალის დევნება.

**- რა არის საჭირო "დიდი სლემის" ტურნირის მოსაგებად?**

- პირველ რიგში, ჯანმრთელობა. აგრეთვე, მუდმივად უნდა ცდილობდე თამაშის სხვადასხვა კომპონენტის დახვეწას. და კიდევ, საკუთარი თავის უნდა გჯეროდეს, რომ შეგიძლია ამის გაკეთება.

**- ყველაზე მეტად "დიდი სლემის" რომელი ტურნირის მოგება გსურთ?**

- არ ვიცი, ჩემთვის ყველა მნიშვნელოვანია და ნებისმიერის მოგებით უზომოდ ბედნიერი ვიქნები. ჯერ მოვიგო და მერე ვნახოთ.

**- არსებობს ისეთი ქვეყანა, სადაც უფრო მეტი დროის გატარება გსურთ, ვიდრე სერბეთში?**

- ჩემი სახლი - ბელგრადი და სერბეთია. მიყვარს ჩემი სამშობლო და ყოველთვის მიხარია შინ დაბრუნება, განსაკუთრებით ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ. აქ არის ჩემი ოჯახი, აქ არიან ჩემი მეგობრები. მშობლიურ ენაზე ვსაუბრობ და ეს ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია.

**- დღევანდელი და თქვენი ბავშვობის ბელგრადი - ეს სხვადასხვა ქალაქებია?**

- განსხვავება არ არის. ადამიანები ისეთივენი დარჩნენ. მე მიყვარს ეს ქალაქი და ის სამუდამოდ დარჩება ჩემს გულში.

**- სერბეთის საზღვრებს გარეთ რომელი ქალაქი მოგწონთ ყველაზე მეტად?**

- რომი. საოცარი ქალაქია. გარდა ამისა, მომწონს მაიამი. იქ საკუთარი სახლი მაქვს, სადაც ასევე მიყვარს დროის გარკვეული პერიოდის გატარება.

**- რომში ყველაზე მეტად რა მოგეწონათ?**

- მიყვარს იქაური ხალხი, თავად ქალაქი, მისი მდიდარი ისტორია. მოკლედ, მიყვარს ყველაფერი, რაც რომს უკავშირდება.

**- კორტის მიღმა რა გატაცებები გაქვთ?**

- მიყვარს მოდა და ყველაფერი, რაც სამსახიობო პროფესიას უკავშირდება. თავის დროზე, რამდენიმე როლიც მაქვს ნათამაშები. ამ პროფესიაში ბევრი საგულისხმო და სახალისო მომენტია. ვინ იცის, იქნებ მომავალში სწორედ ეს პროფესია ავირჩიო. საერთოდ, ბევრი რამით ვარ დაკავებული, რადგან მხოლოდ ჩოგბურთით არ მთავრდება სამყარო.

**- რას ნიშნავს თქვენთვის მსოფლიო ჩოგბურთის ვარსკვლავის სტატუსი?**

- სიმართლე გითხრათ, ამაზე სერიოზულად არ მიფიქრია. ვცდილობ, ჩვეულებრივი გოგო ვიყო და გამომწვევად არ მოვიქცე. რა თქმა უნდა, ადამიანები ქუჩაში მცნობენ, მაგრამ მირჩევნია მოკრძალებულ ადამიანად დავრჩე, ისეთად, როგორიც წარმატების მიღწევამდე ვიყავი.

**- დედათქვენის შესახებ მოგვიყევით. ჟურნალისტები გაკვირვებულნი რჩებიან, რომ მას ყოველთვის აქვს პრესისთვის მოსაყოლი...**

- ის ჩემი მეგობარია, ყოველთვის თან მახლავს მოგზაურობების დროს. დედაჩემს არასოდეს შეპარვია ეჭვი ჩემს შესაძლებლობებში. ასე რომ, მისი დიდი მადლიერი ვარ.

**- ჰგავხართ მას?**

- სინამდვილეში, ჩემი მშობლების ერთგვარ ნაზავს წარმოვადგენ. ვერ ვიტყვი, რომ ხასიათი და ტემპერამენტი მხოლოდ დედისგან მაქვს. ორივესგან მერგო რაღაც. რაც შეეხება კარგ ფიზიკურ მონაცემებს, ეს მამის გენი გახლავთ.

**- ის სპორტსმენი იყო?**

- პროფესიონალი სპორტსმენი არ ყოფილა, მაგრამ სპორტის ბევრ სახეობას მისდევდა. თამაშობდა ფეხბურთს, კალათბურთს. ძალიან სპორტული ადამიანი იყო.

**- რატომ აირჩიეთ ჩოგბურთი?**

- ბავშვობაში ვერ წარმოვიდგენდი, რომ ჩოგბურთს გავყვებოდი. თავშიც კი არ მომდიოდა აზრად, რომ ეს ჩემი პროფესია გახდებოდა. ყოველთვის მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის ვთამაშობდი, რათა სკოლის შემდეგ გასართობი მქონოდა. პარალელურად, პიანინოზე დაკვრას ვსწავლობდი და ტანვარჯიშზე დავდიოდი.

**- პიანინოზე დღემდე უკრავთ?**

- სამწუხაროდ, არა. ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას მივატოვე. გარკვეულ მომენტში ყველაფრისთვის დრო აღარ მყოფნიდა და რაიმე ერთი გატაცება უნდა დამეტოვებინა. ჩოგბურთი ავირჩიე და არ ვნანობ.

## მძლეოსნობა

ვარსკვლავი

# მორის გრინმა კარიერა დაასრულა

ას მეტრზე სპრინტში მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ყოფილმა ჩემპიონმა, მსოფლიო რეკორდის ყოფილმა ავტორმა, ამერიკელმა **მორის გრინმა** თავისი სახელოვანი სპორტული კარიერის დასრულება გადაწყვიტა. 33 წლის სპრინტერმა, ვისმა მსოფლიო რეკორდმაც (9.79 წამი) სულ სამი წელი გაძლო, განაცხადა, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება წვივის ტრავმამ აიძულა, რომელიც მან ერთი თვის წინ, ვარჯიშის დროს მიიღო.

*"სპორტიდან მივდივარ. მომბეზრდა ამდენი ტრავმები. იმის თავი აღარ მაქვს, რომ ტრავმის შემდეგ, ფორმის აღსადგენად დაუსრულებლად ვივარჯიშო იმ ფიქრით, რომ ეს ტრავმა შეიძლება ისევ განმეორდეს. ყველაფერმა დეპრესიამდე მიმიყვანა და გადაწყვეტილებაც მივიღე. ეს ოლიმპიური სეზონია და ძალიან მინდოდა, პეკინში მესაპარეზა, მაგრამ ვამჯობინე, წავსულიყავი"*, - განაცხადა გრინმა, ვინც პირველად 1997 წელს გაიბრწყინა, როცა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

1999 წლის ივნისში ათენში ასპარეზობისას, მან ასი მეტრი 9.79 წამში გაირბინა და მსოფლიოს რეკორდი, რომელიც სამი წლით ადრე **დონოვან ბეილიმ** დაამყარა, 0.05 წამით გააუმჯობესა. მოგვიანებით, სევილიაში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე, სპრინტის ისტორიაში ის გახდა პირველი მამაკაცი მორბენალი, ვინც ერთ ჩემპიონატზე სპრინტის დუბლი შეასრულა – მოიგო 100 და 200 მეტრზე სპრინტი. მომდევნო სეზონში კი, სიდნეის ოლიმპიადაზე, ას მეტრზე სპრინტში ოლიმპიურ ოქროს დაეუფლა. სიდნეიშივე მან 4X100 მეტრზე ესტაფეტაშიც მოიპოვა ოქროს მედალი.

გრინის მსოფლიო რეკორდი 2002 წელს დაეცა, როცა ამერიკელმა **ტიმ მონტგომერიმ** ასი მეტრი 9.78 წამში გაირბინა. მაგრამ, მოგვიანებით მონტგომერი დოპინგზე ჩავარდა, რის გამოც მისი რეკორდი გაუქმებულად გამოცხადდა.

გრინის გადაწყვეტილებით გაოცებული დარჩა მსოფლიოს ჩემპიონი ორივე სპრინტერულ დისტანციაზე, ამერიკელი **ტაისონ გაი**, ვინც გრინთან ერთად, მათი სპონსორის, სპორტული ინვენტარის მწარმოებელი გერმანული კომპანია "ადიდასის" სარეკლამო სავარჯიშო სესიაში მონაწილეობდა.

*"ჩემთვის ეს ნამდვილი შოკია. მძლეოსნობა გრინის გარეშე ჩემთვის იგივეა, რაც კალათბურთი მაიკლ ჯორდანის გარეშე. ჩემი აზრით, ის ყველა დროის უდიდესი სპრინტერია"*, - განაცხადა გაიმ, ვინც სპრინტის დუბლის შესრულებას პეკინის ოლიმპიადაზეც გეგმავს.

გრინი, ვინც ასი მეტრში ათ წამზე ნაკლებში 52-ჯერ გაირბინა (ჯერჯეობით, ეს რეკორდული მაჩვენებელია), კარიერის განმავლობაში კი ოთხი ოლიმპიური ოქრო მოიპოვა და ხუთჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, ამბობს, რომ კარგი იქნება, თუ სპორტის მოყვარულთა ცნობიერებაში ის დარჩება არამხოლოდ როგორც თავისი დროის საუკეთესო სპრინტერი, არამედ როგორც კარგი პიროვნებაც. *"ჩემთვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ხალხს უნდა ახსოვდე, როგორც დიდი ჩემპიონი და როგორც კარგი პიროვნება. სხვანაირად შენს მიღწევებს ფასი ეკარგება"*, - დასძენს გრინი, ვინც თავისი კარიერის განმავლობაში, არასოდეს გახვეულა დოპინგსკანდალებში.




მორის გრინი

**მერაბ ლორთქიფანიძე**


ეროვნული სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), ბივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონისტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995. 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა